

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2012, №6

## კერძო საჩივარი

### საძიებელი

გადაწყვეტილებაში უსწორობათა გასწორება  
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა  
მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს  
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა  
სააპელაციო საჩივრის ღირებულება  
სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა  
სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირი  
სააპელაციო საჩივრის ღირებულება  
სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა  
განუხილველად დატოვება  
საჩივრის განუხილველად დატოვება  
გადაწყვეტილების განმარტება  
სასამართლო უწყების გაგზავნა-ჩაბარება  
საქმის წარმოების შეწყვეტა-შეჩერება

## გადაწყვეტილებაში უსწორობათა გასწორება

### განჩინება

№ას-636-597-2011

24 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით დ. ზ-იას, მესამე პირების დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით – ი. და რ. მ-შვილების სარჩელები დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ე. ბ-იანის მიერ 2008 წლის 28 მარტს გაცემული დადგენილება დ. ზ-იას, ი. და რ. მ-შვილების მიმართ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე (კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემაზე) უარის თქმის ნაწილში, ნოტარიუს ე. ბ-იანს დაევალა სამკვიდრო მოწმობის გაცემა დ. ზ-იას, ი. და რ. მ-შვილების მიმართ ი. მ-შვილის დანაშთი ქონების 1/3-1/3 წილებზე; გ. მ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა გ. მ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, დ. ზ-იასა და მესამე პირების დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით – ი. და რ. მ-შვილების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით გ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ე. ბ-იანის მიერ 2008 წლის 28 მარტს გაცემული დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე (კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემაზე) უარის თქმის შესახებ, ი. მ-შვილის სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსს დაევალა სამკვიდრო მოწმობების გაცემა დ. ზ-იას, ი. მ-შვილის, რ. მ-შვილის, გ. მ-შვილის მიმართ ი. მ-შვილის დანაშთი ქონების 1/4-1/4 წილებზე.

2011 წლის 4 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა დ. ზ-იამ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14.09.2009 წლის გადაწყვეტილებასა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვრისა და 2010 წლის 9 მარტის განჩინებებში დაშვებული უსწორობის გასწორება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინებით დ. ზ-იას განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; დ. ზ-ს განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვრისა და 2010 წლის 9 მარტის განჩინებებში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. ზ-იას განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე არ შეესაბამებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლით განსაზღვრული უსწორობის გასწორების წესს, რადგან მხარეს უთითებდა არა სასამართლოს მიერ დაშვებულ უსწორობაზე, არამედ იგი არ ეთანხმებოდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც ვერ მიიჩნეოდა უსწორობად.

სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვრისა და 2010 წლის 9 მარტის განჩინებებში დაშვებული უსწორობის გასწორების შესახებ დ. ზ-იას განცხადება დაუშვებლად მიიჩნია, იმ საფუძველით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო წარმოადგენდა არაგანსჯად სასამართლოს მითითებულ ნაწილებში განცხადების განხილვაზე და, შესაბამისად, არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა აღნიშნულ განჩინებებში დაშვებული უსწორობის გასწორების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. ზ-იამ და მოითხოვა მისი გაუქმება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ დალი ზერაგიას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, დაუშვებელია გადაწყვეტილებაში ისეთი შესწორების შეტანა, რომელიც არსებითად ცვლის გადაწყვეტილებას, მის აზრსა და შინაარსს. დასაშვებია მხოლოდ ისეთი შესწორებებისა და დაზუსტებების შეტანა, როგორცაა მაგალითად, მხარეთა გვარი, სახელი, თუ მხარე იურიდიული პირია – მისი სახელწოდების აღნიშვნა, ასევე, არითმეტიკული შეცდომები, რომლებმაც გამოიწვია გადასახდევინებელი თანხის ოდენობის აშკარად შემცირება ან გადიდება, მაგალითად ციფრის დაკლება, რაც ისე ცვლის თანხის ოდენობას, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე, აშკარად არ შეესაბამება მოთხოვნის ოდენობას, რის შესახებაც იყო მსჯელობა სასამართლო სხდომაზე.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ დ. ზ-იას მოთხოვნა არ შეესაბამება ზემოხსენებული ნორმით განსაზღვრული უსწორობის გასწორების წესს, რადგან განმცხადებელი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებაში არსებითი ცვლილებების შეტანას, რაც კანონსაწინააღმდეგოა, კერძოდ, განმცხადებელი ითხოვდა მითითებული გადაწყვეტილების იმ ნაწილის უსწორობის გასწორებას, რომელიც შეეხებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. მ-შვილისათვის სამკვიდროს არ ჩამორთმევის თაობაზე ფაქტობრივი გარემოების დადგენას და მიიჩნევდა, რომ საქმეში არსებულ მასალებსა და დადგენილ ფაქტობრივ გარემოებს შორის არსებობდა წინააღმდეგობა, რაც ფაქტობრივ უსწორობად უნდა ჩათვლილიყო. ამდენად, განმცხადებელი სადავოდ ხდიდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ვერ მიიჩნევა უსწორობად, რის გამოც, საკასაციო პალატა თვლის, რომ განცხადებაში მოყვანილი მოტივები სცილდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან კანონის თანახმად, გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობის გასწორება ნიშნავს სასამართლოს მიერ დაშვებული მექანიკური შეცდომის გასწორებას და არა გადაწყვეტილებაში არსებითი სახის ცვლილების შეტანას.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას დ. ზ-ს მოთხოვნის განუხილველად დატოვების თაობაზე განცხადების იმ ნაწილში, რომლითაც იგი ითხოვდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11.02.2010 წ. და 09.03.2010წ. განჩინებებში უსწორობის გასწორებას, ვინაიდან მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო, როგორც არაგანსჯადი სასამართლო, არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა მითითებულ განჩინებებში უსწორობის გასწორების შეტანის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დალი ზერაგიას კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

დ. ზ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 მარტის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## გადაწყვეტილებაში უსწორობათა გასწორება

### განჩინება

№ას-1072-1102-2011

19 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** უსწორობის გასწორება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 28 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა მ. გ-ამ მოპასუხე დ. ა-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მოპასუხეს უხარისხო სარემონტო სამუშაოების ხელახლა შესრულებისათვის აუცილებელი საჭირო თანხის სახით მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 16000 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით მ. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 აპრილის განჩინებით მ. გ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ამავე სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში ნაცვლად შეცდომით მითითებული სიტყვებისა: «სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს», მიეთითა «სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს».

სააპელაციო სასამართლომ მოიხმო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილი, რომლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 აპრილის განჩინების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილებით უდავოდ დასტურდება, რომ მ. გ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილებულ იქნა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში ნაცვლად შეცდომით მითითებული სიტყვებისა: «სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს», უნდა მითითებულიყო «სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს».

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის განჩინება დ. ა-მა კერძო საჩივრით გაასაჩივრა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ამავე სასამართლოს 2011 წლის 28 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტის იმ სახით დატოვება, რა სახითაც იგი თავდაპირველად ჩამოყალიბდა.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. როგორც სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, 2011 წლის 28 აპრილის განჩინებაში ერთ შემთხვევაში მითითებულია, რომ დაშვებულია შეცდომა, ხოლო მეორე შემთხვევაში მითითებულია, რომ განჩინებაში დაშვებულია უსწორობა. ხსენებული მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ამ ნორმით გათვალისწინებული შემთხვევა გულისხმობს იმას, რომ ადგილი უნდა ჰქონდეს ერთ-ერთ მათგანს. გარდა ამისა, თუ თავდაპირველად სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მ. გ-ას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, მაშინ რატომ შეცვალა შემდგომში აღნიშნული გადაწყვეტილება. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნული მეტყველებს სასამართლოს მიკერძოებასა და საქმის შედეგით დაინტერესებაზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ა-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მაისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. კანონის აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, დასაშვებია გადაწყვეტილებაში ისეთი შესწორებებისა და დაზუსტებების შეტანა, რომლებიც შეესაბამება და არსებითად არ ცვლის სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსს.

მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული განჩინებით გასწორდა სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 აპრილის განჩინებაში დაშვებული უსწორობა, რაც იმაში გამოიხატა, რომ განჩინების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში ნაცვლად შეცდომით მითითებული სიტყვებისა: «სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს», მიეთითა: «სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს».

იმ გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული შემთხვევა წარმოადგენს განჩინებაში დაშვებულ უსწორობას, ცხადყოფს საქმის მასალები, კერძოდ, აღნიშნულს ადასტურებს: ა. მ. გ-ას სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მან მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოში დაბრუნება; ბ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი, რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს; გ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 აპრილის განჩინების სამოტივაციო ნაწილის შინაარსი, საიდანაც ჩანს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ნათელია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 აპრილის განჩინებით მ. გ-ას სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. შესაბამისად, აშკარაა, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 აპრილის განჩინებაში დაშვებულია მექანიკური ხასიათის შეცდომა, რაც ექვემდებარება გასწორებას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლი.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დ. ა-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **გადაწყვეტილებაში უსწორობათა გასწორება**

#### **განჩინება**

№ას-236-221-2011

19 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: მესაკუთრედ ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. მ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. მ-შვილის მიმართ უძრავი ქონების 1/4-ზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე დაიბადა 1965 წელს, 1960 წლიდან მისი მშობლები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. 1973 წელს აშენებულ იქნა მათი საცხოვრებელი სახლი ქ.ქუ-

თაისში, ... ქ. №51/20-ში და იმავე ... ქ. №49-ში. ერთად ცხოვრების პერიოდში აშენებული სახლი ტექადრიცხვის ბიუროში აღირიცხა მამის – თ. მ-შვილის სახელზე, მაგრამ საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა. სახლის აშენებიდან მხარეები ერთ ოჯახად ცხოვრობენ. მოსარჩელის დედა გარდაიცვალა 2003 წელს. ოჯახში უკმაყოფილების გამო მოპასუხემ მოითხოვა მისი და მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლება, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ გ. მ-შვილი ითვლება ნ. პ-შვილის დანაშთი ქონების სადავო სახლის 1/4-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ.

მოპასუხე თ. მ-შვილმა სარჩელი არ ცნო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 20 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, გ. მ-შვილი ცნობილ იქნა ქ.ქუთაისში, ... ქ. №51-20-ში, იმავე ... ქ. №49-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4-ის მესაკუთრედ, რაც საჩივრით გაასაჩივრა თ. მ-შვილმა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინებით უარი ეთქვა მოპასუხე თ. მ-შვილს 2010 წლის 20 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ საჩივრის დაკმაყოფილებაზე და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, რაზედაც სააპელაციო საჩივარი შეიტანა თ. მ-შვილმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განჩინებით თ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 20 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და ამავე სასამართლოს 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინებაზე დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე თ. მ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსთვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად, ვინაიდან იგი, «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის «მ» ქვეპუნქტის საფუძველზე, განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (ინვალიდი).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 მარტის განჩინებით თ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განჩინება დარჩა უცვლელად.

საკასაციო პალატის 2011 წლის 21 მარტის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე აბზაცში დაშვებულია უსწორობა, კერძოდ, «ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს» ნაცვლად მითითებულია «თბილისის სააპელაციო სასამართლო».

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. თუ სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შესწორებათა შეტანის საკითხი შეიძლება გადაწყდეს სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია სასამართლო განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხის გადაწყვეტა სასამართლო სხდომაზე.

ზემოხსენებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, როგორც მხარეთა მოთხოვნით, ისე საკუთარი ინიციატივით გაასწოროს სასამართლო გადაწყვეტილებასა თუ განჩინებაში დაშვებული შეცდომები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოთმითითებული უსწორობა სასამართლოს ინიციატივით ექვემდებარება გასწორებას, შესაბამისად უნდა შესწორდეს აღნიშნულ განჩინებაში დაშვებული უსწორობა და განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ნაცვლად «თბილისის სააპელაციო სასამართლოს» უნდა მიეთითოს «ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს».

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 284-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

გასწორდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2011 წლის 21 მარტის № ას-236-221-2011 განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მეორე აბზაცში დაშვებული უსწორობა და ნაცვლად «თბილისის სააპელაციო სასამართლოს» მიეთითოს «ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს».

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა

### განჩინება

№ას-418-396-2011

16 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

დავის საგანი: საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

#### აღწერილობითი ნაწილი:

რ. დ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ბ-შვილის, თ. ნ-ძისა და შპს «ბ-ის» მიმართ არბიტრაჟის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი დასაბუთებით: 2007 წლის 25 აგვისტოს რ. დ-მეს, ა. ბ-შვილსა და თ. ნ-ძეს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც რ. დ-მემ ა. ბ-შვილისაგან ისესხა 6 800 აშშ დოლარი, ხოლო თ. ნ-ძისაგან 4 500 აშშ დოლარი სამი თვის ვადით. აღნიშნული ხელშეკრულების მე-9 პუნქტის თანახმად, მხარეთა შორის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მხარეთა მოთხოვნით დავას განიხილავს და გადაწყვეტს კანონით დადგენილი წესით კერძო არბიტრაჟი. აღნიშნული საარბიტრაჟო შეთანხმებით, არ განსაზღვრა არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი. გარდა ამისა, საარბიტრაჟო შეთანხმებით არ იყო განსაზღვრული საქმის განმხილველი კონკრეტული არბიტრაჟი, შესაბამისად, შპს «ბ-ი» არ იყო უფლებამოსილი განეხილა აღნიშნული დავა. 2008 წლის 8 თებერვალს ა. ბ-შვილმა და თ. ნ-მემ მიმართეს მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟს შპს «ბ-ს» საარბიტრაჟო პრეტენზიით და მოითხოვეს ზემოთხსენებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო რ. დ-ძისათვის თანხის დაკისრება და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია. მოცემული საარბიტრაჟო შეთანხმებით არ იყო განსაზღვრული საქმის განმხილველი კონკრეტული არბიტრაჟი, შესაბამისად, შპს «ბ-ი» არ იყო უფლებამოსილი, განეხილა აღნიშნული დავა. ხელშეკრულების მე-4 პუნქტის მიხედვით, იპოთეკით იტვირთება უძრავი ქონება 16 კვ.მ. კერძო არბიტრაჟის მიერ 2008 წლის 6 მარტს გამოტანილი გადაწყვეტილებით მისი განმარტებით საბოლოოდ იძულებით აუქციონზე მიექცა 30,49 კვ.მ უძრავი ქონება.

მოპასუხე შპს «ბ-მა» სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2008 წლის 8 თებერვალს რ. დ-მეს ჩაჰბარდა გზავნილი, სადაც აღნიშნულია, რომ მას ეძლევა 5 დღიანი ვადა წარადგინოს შესაგებელი საარბიტრაჟო პრეტენზიისა და მასში დასმულ საკითხებზე. აღნიშნული უფლებით რ. დ-მეს არ უსარგებლია. რაც შეეხება არბიტრაჟის ფორმირებისა და არბიტრების დანიშვნის წესს, ზემოთ მოყვანილი კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, «თუ მხარეები და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, არბიტრაჟის წევრთა რაოდენობასა და დანიშვნის წესს განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თავისი დებულებით». ამდენად, რადგან მხარეებმა არ განსაზღვრეს არც არბიტრთა რაოდენობა და არც არბიტრთა დანიშვნის წესი, არბიტრაჟის დებულების შესაბამისად არბიტრების რაოდენობა განსაზღვრა ერთი არბიტრით. რაც შეეხება იპოთეკის საგანს, როგორც 2007 წლის 25 აგვისტოს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაშია აღნიშნული, იპოთეკით დაიტვირთა რ. დ-ძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე, ქ. თბილისში, ... ქ №38-ში. მართალია, აღნიშნულ ხელშეკრულებაში უძრავი ქონების წილობრივ მონაცემად მითითებულია 16.00/131.00 კვ.მ, მაგრამ ხელშეკრულებაში ნათლადაა მითითებული, რომ იპოთეკით დაიტვირთა უძრავი ქონება მთლიანად და არა მისი კონკრეტული ნაწილი.

სასამართლოში წარმოდგენილი შესაგებლით ა. ბ-შვილმა, სარჩელი ასევე არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით რ. დ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. დ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 24 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით რ. დ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარეების მიერ სააპელაციო პასუხის წარუდგენლობის გამო. აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანეს ა. ბ-შვილმა და თ. ნ-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის განჩინებით ა. ბ-შვილისა და თ. ნ-ძის საჩივარი დარჩა განუხილველად.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 24 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ჩაჰბარდა მოწინააღმდეგე მხარეების თ. ნ-ძისა და ა. ბ-შვილის წარმომადგენელ – ა. ჩ-ძის დედას – მ. ჩ-ძეს საქმეში არსებულ მისამართზე ხაშური, ... ქუჩა 22. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა დამატებით განმარტა, რომ, მართალია, ა. ჩ-ძის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში მისამართად მითითებულია თბილისი, ... №46, მაგრამ

დასახელებულ მისამართზე სააპელაციო სასამართლოს მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია არ ჩაჰბარდა ადრესატს, რაზედაც ფოსტის კურიერის მიერ 2010 წლის 25 ნოემბერს შედგენილ იქნა სათანადო აქტი. რაც შეეხება მისამართს – ხაშური, ... ქუჩა №22, აღნიშნულზე ა. ჩ-ძეს პირადად აქვს ჩაბარებული სასამართლოს გზავნილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ 2011 წლის 1 თებერვალს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ა. ჩ-ძის დედა მ. ჩ-ძისათვის ჩაბარება მიიჩნია ადრესატ ა. ჩ-ძისათვის ჩაბარებულად. დადგენილი, რომ 2011 წლის 24 იანვრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარდგენილია 2011 წლის 18 თებერვალს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად პალატამ განმარტა, რომ მხარის მიერ საჩივარი, წარდგენილია კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, რაც საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრეს ა. ბ-შვილმა და თ. ნ-ძემ და მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ 2010 წლის 23 სექტემბრის განჩინება და რ. დ-ძის სააპელაციო საჩივარი ჩაჰბარდა აპელანტების წარმომადგენლის, ა. ჩ-ძის ოჯახის სრულწლოვან წევრს, კერძოდ დედას – ბ. ტ-ძეს, გაუგებარია ვის დედას ჩაჰბარდა შესაბამისი გზავნილი, როცა ა. ჩ-ძისათვის სრულიად უცნობია სასამართლოს მიერ დედად მიჩნეული ვინმე ბ. ტ-ძე. აღნიშნული დასტურდება ა. ჩ-ძის დაბადების მოწმობის ასლით, საიდანაც ირკვევა, რომ ა. ჩ-ძის დედა გახლავთ მ. ჩ-ძე შესაბამისად, სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული გარემოება აშკარად არ შეესაბამება სიმართლეს, რითაც დაირღვა კანონის მოთხოვნა და კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარებია სასამართლო გზავნილი და სააპელაციო საჩივარი.

კერძო საჩივრის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად აითვალა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა ა. ჩ-ძის დედაზე ჩაბარების დღიდან, ვინაიდან ისინი წლების განმავლობაში არ ცხოვრობენ ქ.ხაშურში, ... ქ.№22-ში, რაც დასტურდება საქმის მასალებით. კერძო საჩივრის ავტორების განმარტებით, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ა. ბ-შვილს ჩაჰბარდა მის მიერ მითითებულ მისამართზე 2011 წლის 9 თებერვალს, ხოლო საჩივარი წარდგენილია კანონით დადგენილ ვადაში 2011 წლის 18 თებერვალს, შესაბამისად არ არსებობდა საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ბ-შვილის და თ. ნ-ძის წარმომადგენლის ა. ჩ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ ა. ბ-შვილის და თ. ნ-ძის საჩივარი დატოვა განუხილველად იმ საფუძველით, რომ მათ გაუშვეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ვადა. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მისამართზე ხაშური, ... ქუჩა 22. მოწინააღმდეგე მხარეების თ. ნ-ძისა და ა. ბ-შვილის წარმომადგენელ ა. ჩ-ძის დედას – მ. ჩ-ძეს ჩაჰბარდა 2011 წლის 1 თებერვალს და საჩივარი წარადგინა 10-დღიანი ვადის დარღვევით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებულმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს.

კერძო საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად აითვალა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა ა. ჩ-ძის დედისათვის, მ. ჩ-ძისათვის ჩაბარების დღიდან, ვინაიდან ისინი წლების განმავლობაში არ ცხოვრობენ ქ.ხაშურში, ... ქ.№22-ში, რაც დასტურდება საქმის მასალებით. ამასთან, სააპელაციო პალატამ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა იმ მოტივით, რომ სასამართლო გზავნილი ჩაჰბარდა იმავე ა. ჩ-ძის დედას ბ. ტ-ძეს. ამდენად, სასამართლომ ერთ შემთხვევაში ა. ჩ-ძის დედად მიიჩნია ბ. ტ-ძე, ხოლო მეორე შემთხვევაში მ. ჩ-ძე.

საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში არასწორად დაუკავშირა საჩივრის ვადის ათვლა მ. ჩ-ძისათვის გზავნილის ჩაბარების თარიღს. საქმის მასალებით დგინდება, რომ ერთ შემთხვევაში ქ. ხაშურში ... ქ. №22-ში გაგზავნილ გზავნილზე მიმღებ პირად მითითებულია ა. ჩ-ძის დედა ბ. ტ-ძე, ხოლო მეორე შემთხვევაში ამავე მისამართზე გზავნილი ჩაიბარა ასევე ა. ჩ-ძის დედა – მ. ჩ-ძემ. აღსანიშნავია, რომ ორივე შეტყობინების ბართზე უწყების მიმღების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (პირადი ნომერი) აღნიშნული არ არის. ამასთან, საქმეში ასევე წარმოდგენილია მტკიცებულება, რომლითაც უწყების ჩამბარებლის ინფორმაციით ირკვევა, რომ იმავე მისამართზე ქ. ხაშური ... ქ. №22-ში განთავსებულია საწყობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა სარწმუნოდ ვერ მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მხარისათვის (ამ შემთხვევაში წარმომადგენლის) კანონით გათვალისწინებული წესით შეტ-



ყოზინების ჩაბარების თაობაზე. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ სასამართლომ სააპელაციო საჩივარზე შესაგებლის წარუდგენლობის გამო მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუგზავნა თვით მხარე ა. ბ-შვილს, რომელმაც დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა კანონით განსაზღვრულ ვადაში.

ზემოაღნიშნული გარემოებების გავალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს, სააპელაციო სასამართლომ საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას მხედველობაში უნდა მიიღოს მითითებული გარემოებები და შესაბამისად გადაწყვიტოს საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ა. ბ-შვილის და თ. ნ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 22 თებერვლის განჩინება და საქმე საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს**

**განჩინება**

№ას-896-938-2011

18 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

სს «... ბანკმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. გ-ძის მიმართ 7909.31 აშშ დოლარის, 3255.59 ლარის, დავალიანების ძირითადი თანხის დაფარვამდე 5430.30 აშშ დოლარსა და 2524.31 ლარზე სარგებლის – წლიური 18%-ის დარიცხვის მოთხოვნით.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხემ სარჩელი დაკისრებული თანხის ნაწილში ცნო და მოითხოვა თანხის გადახდის განაწილვადება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით სს «... ბანკის» სარჩელი დაკმაყოფილდა, დ. გ-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 7909.31 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, 3255.59 ლარის, სესხის ძირითად თანხაზე – 5430.30 აშშ დოლარსა და 2524.31 ლარზე დარიცხული სარგებლის – წლიური 18 %-ის, ასევე სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის მხოლოდ ძირითადი თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის ნაწილში დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინებით დ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას, 2008 წლის 30 იანვარს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ესწრებოდა აპელანტი დ. გ-ძე. სასამართლო გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით და მოპასუხის ცხობრებული ადგილიდან – ქ.ბათუმი, ... ქ№5, ბინა №22-დან დაბრუნებული ჩაუბარებელი გზავნილის თანახმად, დ. გ-ძე მითითებულ მისამართზე არ ცხობრობს. სასამართლომ ასევე ჩათვალა დადგენილად ის ფაქტი, რომ დ.გ-ძემ სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2011 წლის 27 აპრილს.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით, 76-ე მუხლით და ჩათვალა, რომ ვინაიდან მისამართის შეცვლის თაობაზე დ.გ-ძეს სასამართლოსათვის არ უცნობებია, მას სასამართლო შეტყობინება ჩაბარდა გზავნილის მის მიერ მითითებულ მისამართზე მიტანის დღეს – 2008

წლის 26 მაისს და ამ უკანასკნელმა დაარღვია სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა, რომლის დენაც ამოიწურა 2008 წლის 9 ივნისს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა დ. გ-მემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი დასაბუთებით:

სასამართლომ არასწორად ჩათვალა დადგენილად, რომ მოპასუხეს სასამართლო გადაწყვეტილება ჩაბარდა 2008 წლის 26 მაისს. ამ დასკვნის გაკეთებისას სასამართლო არასწორად დაეყრდნო კურიერის მინაწერს, ამასთან, სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლით.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მას საცხოვრებელი მისამართი არასოდეს შეუცვლია, პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას სასამართლოს კორესპოდენციას ის სწორედ მითითებულ მისამართზე იღებდა. კურიერის მინაწერი არასრულია, რადგანაც მითითებული ინფორმაცია არ არის დადასტურებული მეზობლებისა თუ სხვა პირთა მიერ, არაა მითითებული ადრესატის მისამართზე გამოცხადების საათი და სხვა. ამასთან, ვინაიდან 26 მაისი უქმე დღე იყო, მხარე შესაძლოა არც კი ყოფილიყო შინ. მისამართის შეუცვლელობის დასადასტურებლად მხარემ ასევე წარმოადგინა ელექტროენერჯის გადახდის ქვითრები.

დ. გ-მის განმარტებით, სასამართლოს ასეთ დროს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2008 წლის მაისის მდგომარეობით მოქმედი 78-ე მუხლის რედაქციით და სასამართლო შეტყობინება გაეგრძელებინა პრესის მეშვეობით, ამდენად, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლსა და 264-ე მუხლზე და განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დღემდე არ არის შესული კანონიერ ძალაში სასამართლო შეტყობინების გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის მოქმედი რედაქციით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად, მხარისათვის ჩაუბარებლობის გამო. სააპელაციო საჩივრის განუხილველად არასწორად დატოვების შედეგად სააპელაციო პალატამ დაარღვია დ. გ-მისათვის საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე-390-ე და 414-ე მუხლების შესაბამისად, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. გ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

განსახილველი საქმის მასალებით დასტურდება, რომ დ. გ-მის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამართლებრივ საფუძველად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლსა და 76-ე მუხლზე და ჩათვალა, რომ მხარემ დაარღვია სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის კანონით დადგენილი ვადა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დ. გ-მეს გაეგზავნა მის მიერ საქმეში მითითებულ მისამართზე – ქ.ბათუმში, .... ქ№5-ში მდებარე ბინა №22-ში. სასამართლოში დაბრუნებული გზავნილის თანახმად, ადრესატი მითითებულ მისამართზე აღარ ცხოვრობს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს. დასახელებული ნორმის გამოყენება დასაშვებია სწორედ ისეთ შემთხვევებთან მიმართებით, როდესაც სასამართლოსათვის ცნობილია მხარის მისამართი, მას სასამართლო შეტყობინება ბარდება ამ მისამართზე და მხარე ისე შეიცვლის მისამართს, რომ სასამართლოს არ აცნობებს აღნიშნულის თაობაზე.

მოცემული საქმის მასალებით დადასტურებულია და არც კერძო საჩივრის ავტორი ხდის სადავოდ იმ ფაქტს, რომ მას საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას მას სასამართლო შეტყობინებები ბარდებოდა ზემოაღნიშნულ მისამართზე. ამასთან, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისას დ. გ-მე ესწრებოდა სასამართლო სხდომას.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 2008 წლის მაისში მოქმედი რედაქციის შესაბამისად და სასამართლო შეტყობინება გაეგრძელებინა პრესის მეშვეობით, რადგანაც, ამ დროს მოქმედი 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება

სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში. დასახელებული ნორმის ანალიზით დასტურდება, რომ სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო უფლებამოსილი, ეხელმძღვანელა ზემოაღნიშნული დანაწესით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობი იქნებოდა, სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე კი შეტყობინება არ ბარდებოდა და არა მაშინ, როდესაც მხარე შეიცვლიდა საცხოვრებელ მისამართს. მოცემულ შემთხვევასთან მიმართებით, ვინაიდან მხარეს სასამართლოს სხვა კორესპოდენცია ბარდებოდა საქმეში არსებულ მისამართზე, სპეციალურ ნორმას წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 76-ე და არა 78-ე მუხლი. ამდენად, საპეალაციო პალატას არ დაურღვევია კანონი.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ კურიერის აქტის ნამდვილობისათვის საჭიროა აქტი შეიცავდეს მითითებას გამოცხადების საათზე და მეზობელთა და სხვა პირთა დადასტურებას, რადგანაც მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აქტის ნამდვილობისათვის შესაბამის დანაწესს არ ითვალისწინებს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დ. გ-მე სათანადოდ იყო ინფორმირებული და ესწრებოდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მხარე, რომელიც ესწრებოდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ან რომლისთვისაც ცნობილი იყო მისი გამოცხადების დროის თაობაზე და არ ბარდება სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, გონივრული ვარაუდიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, მიაკითხოს სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების თხოვნით. აღნიშნული, მართალია, არ გამორიცხავს კანონით გათვალისწინებულ სასამართლოს ვალდებულებას მხარისათვის სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების თაობაზე, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით დადგენილი დისპოზიციურობის პრინციპირადნ გამომდინარეობს მხარის უფლების სასამართლო წესით დაცვის აქტიურად და არა პასიურად რეალიზება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების აღსრულებაუნარიანი აქტია, რომელიც მიმართულია გადაწყვეტილებით დადგენილი მხარის უფლების რეალიზებისაკენ და კანონით დადგენილი დანაწესების გათვალისწინებით, გასაჩივრების ვადის გასვლის შემდომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. აღნიშნულითაა განპირობებული საპროცესო კოდექსის 369-ე და 397-ე მუხლების დებულებები, რომ გასაჩივრებისათვის დადგენილი საპროცესო ვადის აღდგენა ან გაგრძელება დაუშვებელია.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის დანაწესით და სწორად ჩათვალა კურიერის მინაწერის საფუძველზე გადაწყვეტილების მოპასუხისათვის ჩაბარების დღედ 2008 წლის 26 მაისი, საკასაციო პალატა ეთანხმება საპეალაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საპეალაციო წესით გასაჩივრების ვადა ამოიწურა 2008 წლის 9 ივნისს, სწორედ ამ ვადის გასვლის შემდეგ შევიდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად.

რაც შეეხება დ. გ-ძის მითითებას, რომ მას მისამართი არასოდეს შეუცვლია, სასამართლო აღნიშნულს ვერ გაიზიარებს და ვერ ჩათვლის დადასტურებულად, რადგანაც მისამართის შეცვლაში უმთავრესად იგულისხმება არა რეგისტრაციის ადგილი, არამედ, ფაქტობრივი მისამართის შეცვლა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი.

ამასთან, მისამართის არშეცვლის ფაქტი არ დასტურდება ასევე კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით – კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებითაც, ვინაიდან მოდავე სუბიექტი დ. გ-მეა, ხოლო სადავო მისამართზე, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დასტურდება, რომ რეგისტრირებულია გ. გ-მე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ დ. გ-ძის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, ხოლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

## დაადგინა:

1. დ. გ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს

### განჩინება

№ას-1272-1119-2010

17 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

#### აღწერილობითი ნაწილი:

კ. ბ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ს-ძის მიმართ 10 000 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით იმ საფუძველით, რომ გ. ს-ძეს აქვს კ. ბ-ძის დავალიანება 10 000 აშშ დოლარი და იგი ნებყოფლობით უარს აცხადებს ვალის გასტუმრებაზე.

მოპასუხემ ნაწილობრივ ცნო სარჩელი შემდეგი საფუძველებით: მას მოსარჩელის წინაშე ეკისრება 5000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება, დანარჩენი თანხის ნაწილში მოთხოვნა უსაფუძველოა, ვინაიდან ვალის აღიარების ხელწერილი ამ ოდენობით დავალიანების არსებობის თაობაზე, მიღებულია მისი იძულები-სა და მოტყუების საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით კ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, გ. ს-ძეს კ. ბ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 10 000 აშშ დოლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ს-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით გ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 26 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო და აპელანტს განესაზღვრა 10 დღის ვადა ხარვეზის შესავსებად. ამავე სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის განჩინებით აღნიშნული ვადა გაგრძელდა 5 დღით და აპელანტს დაევალა სახელმწიფო ბაჟის – 400 აშშ დოლარის გადახდა, მის მიერ უკვე გადახდილი 150 ლარის გათვალისწინებით. ამავე სასამართლოს 2010 წლის 20 ივლისის განჩინებით გ. ს-ძეს კვლავ 5 დღით გაუგრძელდა დადგენილი ხარვეზის შევსების ვადა და დაევალა სახელმწიფო ბაჟის – 400 აშშ დოლარის გადახდა, მის მიერ გადახდილი 350 ლარის გათვალისწინებით. სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 20 ივლისის განჩინების ასლი აპელანტ გ. ს-ძეს სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე (ქ.თბილისი, ... ჩიხ №3-ში) გაეგზავნა ორჯერ 2010 წლის 22 ივლისსა და 2010 წლის 7 სექტემბერს. პირველი გზავნილი სასამართლოში დაბრუნდა წარწერით – ადრესატი გაყრილია თავის მეუღლესთან, რის გამოც მითითებულ მისამართზე აღარ ცხოვრობს, ხოლო მეორე გზავნილი დაბრუნდა წარწერით, რომ ადრესატი წასულია ოჯახიდან, კონტაქტი აქვს მხოლოდ შვილებთან, თუმცა არც შვილს შეატყობინა ბინის ადგილსამყოფელი. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილით, 74-ე მუხლით, 76-ე მუხლით, 71-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 73-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით და ხარვეზის შესახებ განჩინება აპელანტისათვის ჩაბარებულად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილი-სა და 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში აპელანტისთვის ხარვეზის შევსების ვადის დინება დაიწყო 2010 წლის 9 ოქტომბრიდან და ამოიწურა 2010 წლის 13 ოქტომბერს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა გ. ს-ძის წარმომადგენელმა ა. ს-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძველებით: თბილისის საა-

პელაგო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინება გ.ს-მეს არ ჩაჰბარებია, შესაბამისად მისთვის შინაარსი უცნობი იყო, და ვერ შეასრულებდა განჩინებაში დადგენილ მოქმედებებს. აღნიშნული განჩინების თაობაზე გ. ს-მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ 2010 წლის 1 დეკემბერს. განჩინებაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად აღნიშნულია, რომ 2010 წლის 20 ივლისის განჩინების ასლი სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა გ. ს-მეს ორჯერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე და გზავნილები სასამართლოს დაუბრუნდა წარწერით, რომ აპელანტი გაყრილია თავის მეუღლესთან, რის გამოც მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მეორე გზავნილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი წასულია ოჯახიდან, კონტაქტი აქვს მხოლოდ შვილთან, თუმცა არც შვილს შეატყობინა ბინის ადგილსამყოფელი. კერძო საჩივრის ავტორისათვის უცნობი იყო აღნიშნული გზავნილების შესახებ, ასევე უცნობი იყო, თუ ვინ მისცა გზავნილის მიმტანს ასეთი განმარტებები, მისი განზრახვა არ ყოფილა არც საქმის გაჭიანურება და არც ხარვეზის შევსებაზე უარის თქმა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ შეავსებდა ორჯერ სასამართლოს მიერ დადგენილ ხარვეზს. ამასთან, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ გ. ს-მემ შეიცვალა მისამართი და ამის შესახებ არ აცნობა სასამართლოს, ასევე არ დასტურდება ის გარემოებაც, რომ მას უწყება ჩაჰბარდა სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ს-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი, სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი, რომლის თანახმად მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს. მითითებული ნორმით კანონმდებელი დაინტერესებულ მხარეს ვალდებულებას აკისრებს, სასამართლოს აცნობოს სწორი მისამართი. აღნიშნული მოვალეობის შეუსრულებლობა კი, ფაქტობრივად, მხარეს ართმევს მისთვის მინიჭებულ საპროცესო უფლებას, მიიღოს სასამართლო უწყება ან გზავნილი. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. ს-მეს სასამართლო გზავნილი საქმეში მითითებულ მისამართზე ორჯერ გაეგზავნა – 2010 წლის 22 ივლისსა და 2010 წლის 7 სექტემბერს, თუმცა იგი მხარეს არ ჩაჰბარდა იმ მიზეზით, რომ ადრესატი აღნიშნულ მისამართზე აღარ ცხოვრობს. გ. ს-მეს არ შეუტყობინებია სასამართლოსათვის მისამართის შეცვლის თაობაზე, და აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ კანონიერად გააგზავნა შეტყობინება საქმეში მითითებულ მისამართზე. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გ. ს-მისათვის ხარვეზის განჩინების ჩასაბარებლად კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი შეასრულა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, გასაჩივრებული განჩინების უკანონობის თაობაზე, იმ მოტივით, რომ მხარეს ხარვეზის განჩინება სათანადო წესით არ გაგზავნია. როგორც ზემოთ აღინიშნა სააპელაციო სასამართლომ აპელანტს ხარვეზის განჩინება კანონის მოთხოვნათა დაცვით გაუგზავნა მის მიერვე მითითებულ მისამართზე. საგულისხმოა, რომ მხარე მისამართის შეცვლის ფაქტს არც კერძო საჩივრით არ ადასტურებს, ხოლო რაც შეეხება ამ მისამართზე გზავნილის ჩაუბარებლობის გამო – შედგენილ აქტებს, მასში მითითებული გარემოებების საწინააღმდეგო კერძო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. ს-მეს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-420-ე მუხლებით და

## დაადგინა:

გ. ს-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა

### განჩინება

№ას-684-645-2011 28 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** სამკვიდრო მოწმობისა და ჩუქების ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სამკვიდრო ქონების ნაწილზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ხ-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. და თ. ხ-იანების, ასევე ქ. ფ-ვას მიმართ სამკვიდრო მოწმობისა და ჩუქების ხელშეკრულების ნაწილის ბათილად ცნობის, სამკვიდრო ქონების ნაწილზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი დასაბუთებით: ქ.თბილისში, ... ქ.№12-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი საკუთრების უფლებით ირიცხებოდა მოსარჩელე მ. ხ-იანის დედის – ნ. კ-ძის სახელზე, ქ.მცხეთაში, ... ქ.№2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი კი, საკუთრების უფლებით ირიცხებოდა მ. ხ-იანის მამის – გ. ხ-იანის სახელზე. ნ. კ-ძე გარდაიცვალა 1996 წლის 4 დეკემბერს, გ. ხ-იანი კი – 1999 წლის 17 ივლისს. ქ.თბილისში, ... ქ.№12-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მესაკუთრე ნ. კ-ძისა და გ. კ-ძის გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდეგაც ცხოვრებას აგრძელებდნენ მათი შვილები: გნ. და მ. ხ-იანები, რომლებიც მათივე ძმასთან – ი. ხ-იანთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1336-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენენ პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებს. რაც შეეხება ქ.მცხეთაში მდებარე საცხოვრებელ სახლს, მისი მესაკუთრე ნ. კ-ძისა და გ. კ-ძის გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდეგაც ცხოვრებას აგრძელებდნენ მათი შვილები: გნ., ი. და მ. ხ-იანები.

დედის, ნ. კ-ძის გარდაცვალების შემდეგ და-ძმა გნ. და მ. ხ-იანები ერთობლივად შეუდგნენ და აგრძელებდნენ დედისა და მამის დანაშთი უძრავ-მოდრავი ქონების, მათ შორის, ქ.თბილისში, ... ქ.№12-სა და ქ.მცხეთაში, ... ქ.№2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთის ფლობასა და სარგებლობას. ამდენად, გნ. და მ. ხ-იანებს შორის არსებული შეთანხმებით, მშობლების დანაშთი ქონება, რომელიც იყო მათ მფლობელობაში, გაიყვეს, რა დროსაც მ. ხ-იანს დამატებით ერგო ასევე დედის კუთვნილი სამკაულები, რომლებიც დღემდე მას აქვს. აღნიშნული კი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ, როგორც გნ., ისე მ. ხ-იანები ფაქტობრივად შეუდგნენ სამკვიდროს ფლობასა და მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მათ სამკვიდრო მიიღეს. 2000 წელს მ.ხ-იანი, ოჯახური პირობების გამო, მართალია, წავიდა ინგლისში, ქ.ლონდონში, სადაც ცხოვრობდა 2008 წლის შემოდგომამდე, მაგრამ იგი ძმას, გნ. ხ-იანს, მის შვილებს და სხვა ახლობელ-ნათესავებს ეხმარებოდა, უზრუნველყოფდა ფულს და სხვადასხვა საჩუქრებს. 2002 წლის 12 დეკემბერს კი, როცა გარდაიცვალა მ.ის ძმა გნ. ხ-იანი, მ. ხ-იანი საქართველოში ჩამოვიდა და დაესწრო მის დაკრძალვას. იგი სამი თვე დარჩა საქართველოში და პერიოდულად ცხოვრობდა, როგორც ქ.თბილისში, ... ქ.№12-ში, ისე ქ.მცხეთაში, ... ქ.№2-ში, ანუ მშობლების მიერ დანატოვარ სამკვიდროში, რაც ადასტურებს ამ სამკვიდრო ქონებაში მისი წილის რეალურად მიღების ფაქტს, შემდეგ კი ისევ წავიდა ლონდონში.

2009 წლის აპრილში მ. ხ-იანისათვის შემთხვევით ცნობილი გახდა, რომ ქ.თბილისში, ... ქ.№12-ში მდებარე უძრავი ნივთი – საცხოვრებელი სახლი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში საკუთრების უფლებით თითქოსდა აღრიცხული იყო გნ. ხ-იანის მეუღლე ქ. ფ-ვას სახელზე, ხოლო ქ.მცხეთაში, ... ქ.№2-ში მდებარე უძრავი ნივთი, საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურში საკუთრების უფლებით ირიცხება ა. და თ. ხ-იანების სახელზე.

2003 წლის 29 აპრილს, გნ. ხ-იანის გარდაცვალების შემდეგ, ქ. ფ-ვამ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს. ქ-ძეს და მოითხოვა გარდაცვლილი მეუღლის გნ. ხ-იანის სამკვიდრო ქონების მიღება, რომელშიც შედიოდა ქ.მცხეთაში, ... ქ.№2-ში მდებარე გნ. ხ-იანის გარდაცვლილი მამის, გ. ხ-იანის, კუთვნილი საცხოვრებელი სახლი. ამასთან, ქ. ფ-ვამ დაუმალა ნოტარიუსს, რომ ქ.მცხეთაში, ... ქ.№2-ში მდებარე საცხოვრებელ

სახლს და 600 მ<sup>2</sup> მიწის ნაკვეთს ფაქტობრივად ფლობდა და სარგებლობდა გ. ხ-იანის ყველა შვილი, თავის ოჯახებით და არა მხოლოდ გნ. ხ-იანი.

2003 წლის 12 ივლისს, ნოტარიუსმა ლ. ქ-მემ ქ. ფ-ვას სახელზე გასცა სამკვიდრო მოწმობა გნ. ხ-იანის ზემოაღნიშნულ სამკვიდრო ქონებაზე. 2006 წლის 20 აპრილს, ქ. ფ-ვამ, ქ.თბილისში, ... ქ.№4-ში ნოტარიუს ლ.ქ-მესთან გააფორმა სანოტარო აქტი ქ.მცხეთაში, ... ქ.№2-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი თავის არასრულწლოვან შვილებზე: ა. და თ. ხ-იანის სახელზე ნაჩუქრობის შესახებ. 2007 წლის 17 აგვისტოს ნოტარიუსმა ლ. ქ-მემ, ქ. ფ-ვას სახელზე, როგორც გნ. ხ-იანის პირველი რიგის კანონით მემკვიდრეზე გასცა სამკვიდრო მოწმობა №2-84.

მ. ხ-იანს მართალია, კანონით დადგენილ 6-თვიან ვადაში არ მიუმართავს ნოტარიუსისათვის სამკვიდრო მოწმობის მისაღებად, მაგრამ იგი ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობა-სარგებლობას, რაც უნდა ჩაითვალოს სამკვიდროს მიღებად. მოწმობის მიღება არის მემკვიდრის უფლება და არა მოვალეობა. მისი მიუღებლობა კი, არ იწვევს სამკვიდროზე უფლების დაკარგვას, თუ სამკვიდრო მიღებული იყო კანონით დადგენილი წესების დაცვით. გნ. ხ-ანმაც კი დედის გარდაცვალებიდან 4 წლის შემდეგ ფაქტობრივი ფლობით მიიღო კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქონება თანაბრად უნდა გაყოფილიყო პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეებზე: გნ., მ. და ი. ხ-იანზე, თითოეულის სასარგებლოდ 1/3-ის ოდენობით. იმის გამო, რომ მ. ხ-იანი და გნ. ხ-იანი ფაქტობრივად ფლობდნენ და სარგებლობდნენ დედის, ნ. კ-ძის, საკუთრებაში არსებული ქონებით და ი. ხ-იანს მემკვიდრეობის გარდაცვალებიდან 6 თვის განმავლობაში არ მიუმართავს ნოტარიუსისთვის კანონისმიერი მემკვიდრის მოწმობის მისაღებად, მოსარჩელე მ. ხ-იანის წილი სამკვიდრო ქონებაში შეადგენს ქ.თბილისში, ... ქ.№12-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და ქ.მცხეთაში, ... ქ.№2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლსა და მიწის ნაკვეთის სამკვიდრო ქონების 1/2-ს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ სცნეს და განმარტეს, რომ ნოტარიუსთან სამკვიდროს მიღებისათვის დადგენილ ვადაში წარდგენილი არ იყო სხვა მემკვიდრეების განცხადებები სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, მემკვიდრეებელ ნ. კ-ძის გარდაცვალების შემდეგ სადავო სახლში ცხოვრობდა მისი შვილი – გნ. ხ-იანი. ნოტარიუსმა კანონის სრული დაცვით გასცა მასზე სამკვიდრო მოწმობა. ნოტარიუსმა პრივატიზაციის ხელშეკრულება დაამოწმა წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე. მოპასუხეების აზრით, სადავო სამკვიდრო მოწმობის, ასევე პრივატიზაციის ხელშეკრულების დამოწმების დროს არ დარღვეულა კანონი, რის გამოც არ არსებობს მათი გაუქმების საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ხ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მ. ხ-იანი ცნობილ იქნა ქ. თბილისში ... ქ. №12 მე-2 სართულზე მდებარე ბინის 1/2 იდეალური წილის მესაკუთრედ, წილობრივი მონაწილეობით 78/189. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. და თ. ხ-იანებმა და ქ. ფ-ვამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 29 მარტის განჩინებით ა. და თ. ხ-იანების და ქ. ფ-ვას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად აპელანტების გამოუცხადებლობის გამო. პალატამ მიუთითა, რომ 2011 წლის 29 მარტის სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტები, ასევე მათი წარმომადგენელი, რომელთათვისაც სხდომის დღე ცნობილი იყო სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აპელანტების კანონიერი წარმომადგენლის ქ. ფ-ვას წარმომადგენელ ხ. გ-შვილს 2011 წლის 1 მარტის სხდომაზე ეცნობა სხდომის გადადების შესახებ 2011 წლის 29 მარტს, 16:00 საათისთვის, რაზეც ჩამოერთვა ხელწერილი, რომელსაც პირადად აწერს ხელს. ამდენად, მისთვის როგორც წარმომადგენლისათვის ცნობილი იყო სხდომის თარიღის შესახებ. წარმოდგენილ დოკუმენტში, რომლითაც იგი ასაბუთებს სხდომის გადადების საფუძვლიანობას არ არის მითითებული, რომ მას აქვს წოლითი რეჟიმი ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობას. ამდენად, შუამდგომლობის ავტორის მიერ ვერ იქნა მითითებული აპელანტის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს სხდომის გადადების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის, 372-ე მუხლის, 229-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 275-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად აპელანტების წარმომადგენლის შუამდგომლობა სხდომის გადადების შესახებ არ დააკმაყოფილა და სააპელაციო საჩივარი განუხილველი დატოვა.

ზემოაღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ა. და თ. ხ-იანების და ქ. ფ-ვას წარმომადგენელმა ხ. გ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: 2011 წლის 29 მარტს სააპელაციო საჩივრის განხილვის დღეს იგი გახდა ავად, რის გამოც გამოიძახეს სასწრაფო დახმარების ბრიგადა. ვინაიდან იმ დროისათვის ორსულობის გამო შეუძლოდ იყო, არ შეეძლო გამოცხადებულიყო სასამართლოში, მით უმეტეს ვერ შესძლებდა სასწრაფო დახმარების სათავო ოფისში წასვლას და ამავე დაწესებულების ხელმძღვანელი პირის ხელმოწერილი ცნობის აღებას და სასამართლოში წარდგენას. სასწრაფო დახმარების ბრიგადა მასთან იმყოფებოდა სწორედ 29 მარტს, დღის 14:30-დან 16:00 საათამდე, ხოლო საქმის განხილვა დაინიშნული იყო 16:00 საათზე. განცხადება საქმის გადადების შესახებ და ცნობა სასამართლოში წარადგინა

მისმა ძმამ. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად ჩათვალია მისი გამოუცხადებლობა არასაპატიოდ და საქმე დატოვა განუხილველი.

გასაჩივრებული განჩინება ემყარება იმ ფაქტს, თითქოს ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, რაც არასწორია, სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად მოითხოვა ისეთი დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილი იქნებოდა ამავე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხელმძღვანელი პირის მიერ, რაც, დროის სიმცირისა და ავადმყოფობის გამო, შეუძლებელი იყო. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ 28 კვირის ორსულის, რომელსაც ჰქონდა დაბალი წნევა და ტაქიკარდია, სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა არასაპატიოდ უმართებულოდ მიიჩნია სასამართლომ. კერძო საჩივარს თან ერთვის ცნობა, რომელიც ხელმოწერილია ამავე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხელმძღვანელი პირის მიერ და რომლის წარდგენასაც ვერ მოახერხებდა 2011 წლის 29 მარტს, 16.00 საათამდე ავადმყოფობის გამო. შესაბამისად, მისი გამოუცხადებლობაც და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხელმძღვანელი პირის მიერ გაცემული ცნობის წარუდგენლობაც საპატიო მიზეზით ვერ მოხერხდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. და თ. ხ-იანებისა და ქ. ფ-ვას წარმომადგენელ ხ. გ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ელი და მე-3 პუნქტის, 229-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე და მთავარ სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. ამავე კოდექსის 233-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა (სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება) დაუშვებელია, თუ სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენას, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის. საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობაში, რაზეც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლი მიუთითებს, იგულისხმება, რომ საქმის არსებითი განხილვა ჯერ არ დაწყებულა და მოსარჩელის გამოუცხადებლობა სასამართლოს უქმნის რწმენას, რომ მოსარჩელემ დაკარგა საქმის განხილვის ინტერესი. ამ შემთხვევაში მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას განაპირობებს, ერთი მხრივ, ვარაუდი საქმის განხილვის მიმართ მისი ინტერესის არარსებობის შესახებ და, იმავდროულად, იგი ისჯება თავისი არაკეთილსინდისიერებისათვის, რაც, სხდომის თარიღის შეტყობინების მიუხედავად, სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობაში მდგომარეობს. დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ერთგვარ სანქციას იმ მხარის მიმართ, რომელიც უპატივცემლობას გამოიჩინა სასამართლოს მიმართ, საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდება და არც თავისი გამოცხადებლობის შესახებ მას არ აცნობებს, რასაც სასამართლო უკავშირებს თავის ვარაუდს, რომ მხარე ცნობს მის მიმართ წარდგენილ პრეტენზიას და საქმის მიმართ ინტერესი აღარ გააჩნია.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში ა. და თ. ხ-იანებისა და ქ. ფ-ვას სააპელაციო საჩივრის განხილვა 2011 წლის 29 მარტს, 16:00 საათისთვის, გამართულ სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდნენ აპელანტები – ა. და თ. ხ-იანის კანონიერი წარმომადგენელი ქ. ფ-ვა და მისი წარმომადგენელი ადვოკატი ხ.გ-შვილი. აპელანტების წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს სხდომის გადადების შესახებ იმ საფუძველით, რომ იგი ავადაა, მწოლიარეა და არ შეუძლია გამოცხადდეს პროცესზე. განცხადებას თან დაერთო სასწრაფო დახმარების მიერ გაცემული ცნობა.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ აპელანტებს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი სასამართლოსათვის არ უცნობებიათ, კერძოდ, წარმოდგენილ დოკუმენტში, რომლითაც წარმომადგენელი ასაბუთებს სხდომის გადადების საფუძვლიანობას, არ არის მითითებული, რომ მას აქვს წოლითი რეჟიმი ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლოს აზრით, შუამდგომლობის ავტორის მიერ ვერ იქნა მითითებული აპელანტის სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის თაობაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს სხდომის გადადების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.



დადგენილია, რომ აპელანტების წარმომადგენელმა ხ. გ-შვილმა სასამართლოში საქმის განხილვის დღეს განცხადებით მიმართა სასამართლოს ავადმყოფობის გამო საქმის გადადების მოთხოვნით, მან განცხადებასთან ერთად წარადგინა სასწრაფო სამედიცინო დახმარება «მკურნალის» მიერ გაცემული ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ 2011 წლის 29 მარტს ხ. გ-შვილს, 28 კვირის ორსულს დაუდგინდა დიაგნოზი არტერიული ჰიპოტონია და სინუსური ტაქიკარდია. სასწრაფო დახმარების ბრიგადა ავადმყოფთან იმყოფებოდა დღის 14:30-დან 16:00 საათამდე, ხოლო საქმის განხილვა დანიშნული იყო 16:00 საათზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ცნობა სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას აძლევდა, გაეთვალისწინებინა ორსულობის პერიოდში ქალის ფიზიოლოგიური მდგომარეობა და გადაედო საქმე სხვა დროისათვის. ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, დროის იმ შუალედში იგი ვერ მოახერხებდა მარწმუნებლბთან დაკავშირებასა და გაფრთხილებას და ვერც სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი ცნობის სასამართლოში წარდგენას. მართალია, ავადმყოფობის ცნობაში არ არის მითითებული, რომ ხ. გ-შვილს აქვს წოლითი რეჟიმი ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა პროცესზე გამოცხადების შესაძლებლობას, მაგრამ ორსულობის პერიოდში ქალის ფიზიოლოგიური მდგომარეობა ქალის ასაკისა და ორსულობის ხანგრძლივობის (მოცემულ შემთხვევაში – 7 თვე) გათვალისწინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, სასამართლოსათვის იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ადგილი აქვს ისეთ გაუთვალისწინებელ შემთხვევას, რომელსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის. ამდენად, მხარის გამოუცხადებლობის მიზეზის შემოწმებისას სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი ევარაუდა, რომ მხარე არაკეთილსინდისიერად იქცევა და გამოხატავს სასამართლოს მიმართ უპატივცემულობას ან საქმის განხილვის მიმართ ინტერესი არ გააჩნია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან, ხ. გ-შვილმა წარმოადგინა სასამართლოში განცხადება საქმის გადადების შესახებ, სამედიცინო ცნობასთან ერთად, საიდანაც ირკვევა, რომ, ორსულობის გამო, აღენიშნებოდა არტერიული ჰიპოტონია და სინუსური ტაქიკარდია, მისი გამოუცხადებლობა უნდა ჩაითვალოს საპატიოდ. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ა. და მ. ხ-იანების კანონიერი წარმომადგენლის ქ. ფ-ვას წარმომადგენელ ხ. გ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

#### **განჩინება**

№ას-1422-1437-2011

20 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტიდან ქონების ამორიცხვა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და გ. გ-ის მიმართ ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტიდან ქონების ამორიცხვის შესახებ.

მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სარჩელი არ ცნო, ხოლო გ. გ-ი დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას.

ხაშურის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ლ. შ-ის 2011 წლის 15 ივნისის ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტიდან ამოირიცხა სარეცხი მანქანა «სამსუნგი» 1 ცალი, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო საჩივარი შეიტანა ნ. გ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ აპელანტმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა იმ ნაწილში, რომლითაც აღმასრულებლის მიერ ქონების აღწერის აქტიდან ამოირიცხა სარეცხი მანქანა «სამსუნგი». საქმის მასალების მიხედვით, 2006 წლის 2 დეკემბრისათვის მითითებული მოძრავი ნივთი შეფასებულია 630 ლარად.

ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ 1000 ლარზე ნაკლებია, რის გამოც იგი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე მოსამართლისათვის დაბრუნება. მხარის განმარტებით, სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მოცემულ დავაში არასათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი არ დაიშვება და განუხილველად დარჩება. აღნიშნული მოთხოვნა იმპერატიული ხასიათისაა და სასამართლოს შეფასებაზე დამოკიდებული არ არის.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხაშურის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ლ. შ-ის 2011 წლის 15 ივნისის ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტიდან ამოირიცხა 1 ცალი სარეცხი მანქანა «სამსუნგი».

საქმის მასალებში წარმოდგენილი საბანკო კრედიტისა და გირავნობის შესახებ 2006 წლის 2 დეკემბრის №1187 ხელშეკრულების თანახმად, «სამსუნგის» მარკის სადავო სარეცხი მანქანა შეფასებულია 630 ლარად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას – 1000 ლარს არ აღემატება, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის ღირებულება

### განჩინება

№ას-1354-1372-2011

1 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალაგვიძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ჭ-ემ სარჩელი აღძრა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში დ. კ-ას მიმართ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა დ. კ-ასთან. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ი. კ-ა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე დროებით საცხოვრებლად გადავიდა მშობლებთან, ამის შემდეგ დაიძაბა ურთიერთობა მეუღლესა და მის ოჯახთან. შვიდი თვეა მათ შორის შეწყვეტილია ცოლქმრული ურთიერთობა. არის უმუშევარი, იმყოფება მშობლების კმაყოფაზე და მოითხოვს დ. კ-ას დაეკისროს არასრულწლოვანი შვილის – 2010 წლის 15 ოქტომბერს დაბადებული ი. კ-ას რჩენა-აღზრდისათვის ალიმენტის 150 ლარის გადახდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლებით: არის სკოლის მოსწავლე და არსად მუშაობს, იმყოფება მშობლების კმაყოფაზე, ბავშვისათვის, რაც საჭიროა, ყველაფერს შეიძენს მისი მშობლები, ბებია და ბაბუა, სანამ მუშაობას დაიწყებს. ოფიციალურად ერთი ლარის გადახდის საშუალება არა აქვს.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ჭ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა დ. კ-ას ნ. ჭ-ის სასარგებლოდ დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის – 2010 წლის 15 ოქტომბერს დაბადებული ი. კ-ას რჩენა-აღზრდისათვის, 2011 წლის 16 მაისიდან ყოველთვიურად ალიმენტის – 70 ლარის ოდენობით გადახდა, მის სრულწლოვანებამდე, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. კ-ამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივლისის განჩინებით დ. კ-ას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგი საფუძვლებით: დ. კ-ა სააპელაციო საჩივრით ითხოვს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და მისთვის ალიმენტის სახით დაკისრებული 70 ლარის 20 ლარამდე შემცირებას. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატამ განმარტა, რომ ვინაიდან სააპელაციო საჩივრით დავის საგნის ღირებულება 600 ლარია და არ აღემატება 1000 ლარს, სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და იგი დაუშვებელია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. კ-ამ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ყოვლად უსაფუძვლოდ დააკისრა ალიმენტი 70 ლარის ოდენობით, რომლის გადახდაც მისთვის ფიზიკურად შეუძლებელია. ის სკოლის მოსწავლეა და შემოსავალი არ გააჩნია და არც სხვა რაიმე დამატებითი შემოსავლები აქვს.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. კ-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

მოცემული დავა ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ალიმენტის გადახდევინებას და მისი ღირებულება განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით. ამავე მუხლის პირველი ნაწილის «ვ» ქვეპუნქტის მიხედვით კი, გასაცემის ან გადასახდელის შემცირების ანდა გადიდების შესახებ სარჩელის დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმ თანხით, რომლითაც მცირდება ანდა დიდდება გასაცემი ან გადასახდელი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ჭ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე დ. კ-ას 2010 წლის 15 ოქტომბერს დაბადებული არასრულწლოვანი შვილის – ი. კ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის 70 ლარის გადახდა ყოველთვიურად სარჩელის აღძვრიდან - 2011 წლის 16 მაისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, რაც დ. კ-ამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო საჩივრით მხარე არ დაეთანხმა აღნიშნულ ოდენობას 50 ლარის ნაწილში და მოითხოვა მისთვის ალიმენტის სახით ყოველთვიურად არა 70 ლარის, არამედ 20 ლარის დაკისრება, შესაბამისად, აპელანტმა გადაწყვეტილება სადავოდ გახადა მისთვის 50 ლარის დაკისრების ნაწილში. ამდენად, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა გამოანგარიშდეს ერთ წელზე (12 თვეზე) 50 ლარის გაანგარიშებით, რაც შეადგენს 600 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დ. კ-ას სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება 600 ლარით სწორად განსაზღვრა და მიიჩნია, რომ იგი კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას – 1000 ლარს არ აღემატება, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

დ. კ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

#### **განჩინება**

ას-1216-1236-2011

27 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. პ-ის მიმართ ალიმენტის სახით არასრულწლოვანი ხ. და გ. პ-ების სასარგებლოდ ყოველთვიურად 100-100 ლარის დაკისრების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი მხოლოდ 50-50 ლარის ანაზღაურების ნაწილში ცნო, დანარჩენ ნაწილში კი მის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად 80-80 ლარის გადახდა, რაც ზ. პ-მა ერთი შვილის – ხ. პ-ის სარჩენად დაკისრებული თანხის ნაწილში გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია ალიმენტის დაკისრება, რომელზეც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა გამოიანგარიშება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი ალიმენტის ერთობლიობიდან – 960 ლარიდან (80X12).

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით და ჩათვალა, რომ ზ. პ-ის სააპელაციო საჩივრის ღირებულება კანონით დადგენილ ზღვრულ 1000 ლარს არ აღემატება, რაც მისი განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ზ. პ-მა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძველებით:

პალატამ არ გაითვალისწინა, რომ ქვემდგომ სასამართლოში იხილება ზ. პ-ის სარჩელი ხ. პ-ის აღსაზრდელად მამისათვის გადაცემის შესახებ და ამ შემთხვევაში ალიმენტის გადახდის საჭიროება აღარ იარსებებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. პ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი არ დაიშვება და განუხილველად დარჩება. აღნიშნული მოთხოვნა იმპერატიული ხასიათისაა და სასამართლოს შეფასებაზე დამოკიდებული არ არის.

მოცემულ შემთხვევაში ზ. პ-ის სააპელაციო საჩივრის ღირებულება შეადგენს 960 ლარს, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, დავის საგნის ფასი ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელებზე განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით ზ. პ-ს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილების – ხ. და გ. პ-ების სარჩენად ალიმენტის – ყოველთვიურად 80-80 ლარის გადახდა, რაც აპელანტმა გაასაჩივრა მხოლოდ ერთი შვილის – ხ. პ-ისათვის გადასახდელი ალიმენტის ნაწილში. ამდენად, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა განისაზღვროს 80 ლარის ერთ წელზე (12 თვეზე) გაანგარიშებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ზ. პ-ის სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას – 1000 ლარს არ აღემატება, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ზ. პ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

#### **განჩინება**

№ას-1471-1484-2011

21 ნოემბერი 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ალიმენტის ოდენობის შემცირება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. დ-ის მიმართ ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ შემდეგი დასაბუთებით: საჩხერის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით თ. დ-ის

სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი 110 ლარი. ამავე გადაწყვეტილებით მას განესაზღვრა მისი შვილის 2006 წლის 28 ივლისს დაბადებული თეიმურაზ გ-ის ნახვის უფლება დედის თანდასწრებით და სოციალური მუშაკის რეკომენდაციების გათვალისწინებით. თ. დ-ემ არ შეასრულა აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების მეორე პუნქტი და არ აძლევს ბავშვის ნახვის უფლებას. იგი არის სოციალურად დაუცველი. ამჟამად არ მუშაობს, აქვს ქრონიკული ჰეპატიტი და პირველი ხარისხის სიმსუქნე. არის უკიდურესად გაჭირვებული, ჰყავს პენსიონერი დედა, რომლის პენსიითაც გაჭირვებით გააქვთ თავი.

თ. დ-ემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: თავად არ მუშაობს, არ გააჩნია არანაირი შემოსავალი, ბავშვი საჭიროებს მკურნალობას, რაც მოითხოვს დამატებით ხარჯებს, შესაბამისად ალიმენტის შემცირების შემთხვევაში გაუძნელდება ბავშვის რჩენა. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით გ. გ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 სექტემბრის განჩინებით გ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგი დასაბუთებით: განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის საგანს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ალიმენტის ოდენობის 40 ლარით შემცირების ნაწილში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის «გ» ქვეპუნქტის თანახმად დავის საგნის ღირებულება უნდა განისაზღვროს 480 ლარით ( $40 \times 12 = 480$ ). იმის გათვალისწინებით, რომ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1 000 ლარს, პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და გ. გ-ის სააპელაციო საჩივარი როგორც დაუშვებელი დატოვა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. გ-მა და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: თ. დ-ემ არ შეასრულა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და არ აძლევს ბავშვის ნახვის საშუალებას, რითაც მამის უფლებები ირღვევა. იგი უკრძალავს ბავშვთან ურთიერთობას და პოლიციით ემუქრება. ინტერნეტითაც კი დაუბლოკა ბავშვის სურათების ნახვა. ასევე უფლებას არ აძლევს დედამისს – ვერა გ-ს მონახულოს თავისი ერთადერთი შვილიშვილი, რაც გრძელდება 2007 წლიდან. არის სოციალურად დაუცველი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, არის უმუშევარი. მის საკუთრებაში არსებული ბინა ამჟამად დაყადაღებულია. აღნიშნულ ბინას შვილს უტოვებს, თუმცა ვინაიდან შესაძლებელია აუქციონის წესით ბინა გასხვისდეს, ბავშვი უბინაოდ დარჩება. მისი ყოველთვიური შემოსავალი მხოლოდ დედის პენსია და სოციალურად დაუცველ ოჯახთათვის გამოყოფილი თანხაა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ გ. გ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლი 1-ელი პუნქტის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, დავის საგნის ღირებულება ალიმენტის საქმეებზე განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით. საქმის მასალებით ირკვევა, რომ გ. გ-ს ალიმენტის სახით დაკისრებული აქვს 90 ლარის გადახდა თ. დ-ის სასარგებლოდ მათი შვილის 2006 წლის 28 ივლისს დაბადებული თ. გ-ის სრულწლოვანებამდე. აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა 40 ლარით ალიმენტის შემცირებას. ამდენად, გ. გ-ის სააპელაციო საჩივრის ღირებულება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ელი პუნქტის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, შეადგენს 480 ლარს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ 1000 ლარზე ნაკლებია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლო სააპელაციო საჩივარს განუხილველად დატოვებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი სწორად შეაფასა განსახილველ სააპელაციო საჩივარი, კანონის დაცვით დატოვა იგი განუხილველი და, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

გ. გ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 სექტემბრის განჩინება.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის ღირებულება

### განჩინება

№ას-1478-1490-2011

24 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

რ. პ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. თ-ისა და გ. რ-ის მიმართ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში აპელანტმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სრულად გაასაჩივრა და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ რ. პ-მა სააპელაციო საჩივარში ნასყიდობის საგნის ღირებულება განსაზღვრა 1000 ლარით, რაც არ აკმაყოფილებს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებულ დასაშვებობის პირობებს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე რ. პ-მა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ არასწორად განსაზღვრა სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება. მართალია, სააპელაციო საჩივარში მხარემ დავის საგანი 1000 ლარად შეაფასა, თუმცა სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლით და გაეთვალისწინებინა, რომ რეალურად სადავო უძრავი ნივთის ღირებულება 1000 ლარზე ბევრად მეტია.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. პ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი არ დაიშვება და განუხილველად დარჩება. აღნიშნული მოთხოვნა იმპერატიული ხასიათისაა და სასამართლოს შეფასებაზე დამოკიდებული არ არის.

მოცემულ შემთხვევაში რ. პ-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა ახალციხის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც მხარეს უარი ეთქვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე. ნასყიდობის საგნის ღირებულება რ. პ-მა როგორც თავდაპირველად სარჩელში, ისე სააპელაციო საჩივარში განსაზღვრა 1000 ლარით. იგივე ოდენობაა დაფიქსირებული ნასყიდობის ხელშეკრულებაშიც.

ამდენად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ სააპელაციო პალატას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, უნდა გამოეკვლია დავის საგნის რეალური ღირებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას – 1000 ლარს არ აღემატება, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

რ. პ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

#### **განჩინება**

№ას-1587-1586-2011

1 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტიდან ქონების ამორიცხვა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ა. ა-ემ და გ. ვ-ემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში აჭარის სააღსრულებო ბიუროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ე. ვ-ის მიმართ ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტიდან ქონების ამორიცხვის შესახებ.

მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სარჩელი არ ცნო, ხოლო ე. ვ-ე დაეთანხმა მოსარჩელის მოთხოვნას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ყადაღისაგან გათავისუფლდა აჭარის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის იოსებ ორაგველიძის მიერ 2011 წლის 2 მარტის მოვალის ქონების აღწერისა და დაყადაღების შესახებ აქტის საფუძველზე აღწერილი და დაყადაღებული შემდეგი ნივთები: «შარფისა» და «დაევუს» მარკის 2 ტელევიზორი და 1 ცალი დივიდი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის საგანს წარმოადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოვალის ქონების აღწერისა და დაყადაღების შესახებ 2011 წლის 2 მარტის აქტიდან ამორიცხული და ყადაღისაგან გათავისუფლებული მოძრავი ნივთები – 1 ცალი «შარფის» მარკისა და 1 ცალი «დაევუს» მარკის ტელევიზორები, ასევე 1 ცალი დივიდი.

საქმეში წარმოდგენილი ბანკი «...ისა» და სს «... ბანკის» სამომხმარებლო და საბანკო კრედიტის ხელშეკრულებების თანახმად, ტელევიზორი «შარფის» ღირებულებაა 269 ლარი, დივიდის – 99 ლარი, ხოლო ტელევიზორი «დაევუს» – 289 ლარი, ანუ საერთო ჯამში ყადაღისაგან გათავისუფლებული ნივთების საერთო ღირებულება შეადგენს 657 ლარს.

ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ 1000 ლარზე ნაკლებია, რის გამოც იგი უნდა დარჩეს განუხილველად.



სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება. მხარის განმარტებით, სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მოცემულ დავაში არასათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი არ დაიშვება და განუხილველად დარჩება. აღნიშნული მოთხოვნა იმპერატიული ხასიათისაა და სასამართლოს შეფასებაზე დამოკიდებული არ არის.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას, რომლითაც მოვალის ქონების აღწერისა და დაყადაღების შესახებ 2011 წლის 2 მარტის აქტიდან ამოირიცხა და ყადაღისაგან გათავისუფლდა მოძრავი ნივთები.

საქმეში წარმოდგენილი ბანკი «...ისა» და სს «... ბანკის» სამომხმარებლო და საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებით ირკვევა აღნიშნული ნივთების ღირებულება: ტელევიზორი «შარფის» ღირებულება შეადგენს 269 ლარს, დივიდის – 99 ლარს, ხოლო ტელევიზორი «დაევუს» – 289 ლარს, ანუ სულ ყადაღისაგან გათავისუფლებული ნივთების საერთო ღირებულებაა 657 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას – 1000 ლარს არ აღემატება, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

#### **განჩინება**

ას-1082-1111-2011

9 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით სს «...ბანკის» სარჩელი ნ. ს-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა. ნ. ს-ს მო-

სარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა **767.09** ლარის გადახდა და ასევე დაეკისრა დარჩენილი ძირითადი თანხის (**449.06**) **0.2%** ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე **2010** წლის ნოემბრიდან სესხის სრულად დაფარვამდე. საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ს-მა და მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2011** წლის **27** მაისის განჩინებით ნ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ, სააპელაციო საჩივრზე დავის საგნის ღირებულება კანონით დადგენილ **1000** ლარზე ნაკლები იყო, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **374-ე** მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ს-მა და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ გაურკვეველია დავის საგანი რა ოდენობის იქნება, რადგან გამოტანილი გადაწყვეტილებით მასზე დაკისრებულ თანხებს ემატება ყოველვადაგადაცილებულ დღეზე სესხის სრულ დაფარვამდე **0,2%**.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ნ. ს-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **365-ე** მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება **1000** ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სარჩელით, რომელშიც ჩამოყალიბებულია მოსარჩელის მოთხოვნა, გასაჩივრებული გადაწყვეტილებითა და კანონით. კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს **1000** ლარს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ნ. ს-ი სააპელაციო საჩივრით ნაწილობრივ ასაჩივრებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2011** წლის **8** თებერვლის გადაწყვეტილებას, რომლითაც მას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა **767.09** ლარის გადახდა და ასევე, დარჩენილი ძირითადი თანხის (**449.06**) **0.2%** ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე **2010** წლის ნოემბრიდან სესხის სრულად დაფარვამდე, ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება არ აღემატება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **365-ე** მუხლით გათვალისწინებულ **1000** ლარს, შესაბამისად სააპელაციო პალატამ მართებულად დატოვა იგი განუხილველად დაუშვებლობის გამო, რის გამოც არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2011** წლის **27** მაისის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **419-ე** და **420-ე** მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ს-ი კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2011** წლის **27** მაისის განჩინება.
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

#### **განჩინება**

№სს-1108-1135-2011

9 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

**დავის საგანი:** მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ა. ჭ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ყ.-თ-ის» მიმართ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 545 ლარის გადახდა, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში შპს «ყ.-თ-მა» გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საფოსტო გზავნილის მიხედვით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება 2011 წლის 8 აპრილს ჩაბარდა შპს «ყ.-თ-ს» იურიდიულ მისამართზე ქ.თბილისი, ... №18ა. საზოგადოების წარმომადგენელმა, მთავარმა იურისტმა ი. ნ-ლმა სააპელაციო საჩივარი სასამართლოში წარადგინა 2011 წლის 26 აპრილს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა დაარღვია, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დატოვებული უნდა იქნეს განუხილველად.

სასამართლომ მიუთითა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შპს «ყ.-თ-ს» ა. ჭ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 545 ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი წარადგინა შპს «ყ.-თ-მა». შესაბამისად, შპს «ყ.-თ-ის» სააპელაციო საჩივარში დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება 545 ლარით, რაც არ აკმაყოფილებს ქონებრივ-სამართლებრივ დავაში სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ წინაპირობას – 1000 ლარზე ნაკლებია და წარმოშობს წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს «ყ.-თ-მა» შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად აითვალა სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა, ვინაიდან სადავო ვადის გასვლის ბოლო დღე დაემთხვა დასვენების – სააღდგომო უქმე დღეს, რის შემდეგაც სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა პირველ სამუშაო დღეს – 2011 წლის 26 აპრილს, საპროცესო ვადის დაცვით.

ასევე უსაფუძვლოა გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება სააპელაციო საჩივრის ღირებულებასთან დაკავშირებით, ვინაიდან სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოცემული დავა განხილულ იქნა არაგანსჯადი სამოქალაქო სასამართლოს მიერ, მაშინ, როცა საქმე განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალ-წარმოების წესით განსახილველ კატეგორიას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ყ.-თ-ის» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

მოცემულ შემთხვევაში შპს «ყ.-თ-მა» სააპელაციო საჩივრით სადავო გახადა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილების კანონიერება, რომლითაც მას ა. ჭ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 545 ლარის გადახდა. ამდენად, მისი სააპელაციო საჩივრის ღირებულება შეადგენს 545 ლარს, რაც კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე ნაკლებია და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობისა და განხილვის შესაძლებლობას გამორიცხავს.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ სასამართლომ არასწორად გამოიანგარიშა სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა. მართალია, სააპელაციო პალატამ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ აღნიშნული ვადის ბოლო დღეები დაემთხვა უქმე დღეებს, ხოლო სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა მომდევნო სამუშაო დღეს, მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, ხსენებული გარემოება წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობად ცნობის წინაპირობა ვერ გახდება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინებით შპს «ყ.-თ-ის» სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველად და აღნიშნული განჩინების გაუქმების სამართლებრივ საფუძველზე კერძო საჩივრის ავტორს არ მიუთითებია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «ყ.-თ-ის» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა**

**განჩინება**

№ას-282-271-2012

7 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** სამუშაოზე აღდგენა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2011 წლის 15 ნოემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ქ. ფ-ემ მოპასუხე ქუთაისის 23-ე საჯარო სკოლის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მასთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მოპასუხე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის 2011 წლის 18 ოქტომბრის №1/კ-05 ბრძანების ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ფ-ემ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 იანვრის განჩინებით ქ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით; აღნიშნული გადაწყვეტილება ქ. ფ-ის წარმომადგენელ დ. დ-ეს ჩაბარდა 2011 წლის 28 დეკემბერს; ქ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ იქნა 2012 წლის 13 იანვარს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 15 დეკემბრის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი აპელანტის წარმომადგენელ დ. დ-ეს გაეგზავნა და ჩაბარდა 2011 წლის 28 დეკემბერს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2012 წლის 11 იანვარი. ამასთან, ვინაიდან წარმომადგენელს სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, მაგრამ მან სააპელაციო საჩივარი საქალაქო სასამართლოში წარადგინა 2012 წლის 13 იანვარს (14-დღიანი ვადის 2 დღის დაგვიანებით), სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დაუშვებელი იყო და განუხილველად უნდა დარჩენილიყო.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება ქ. ფ-ემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. კერძო საჩივრის ავტორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას შემდეგი საფუძვლებით:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება აპელანტის წარმომადგენელს კანონით დადგენილი წესით არ ჩაბარებია. კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი აპელანტის წარმომადგენელს გაეგზავნა არა მის მიერ მითითებულ მისამართზე, არამედ მხარის (აპელანტის) მისამართზე, შესაბამისად, მას გზავნილი ვერ ჩაბარდებოდა. აღნიშნული გარემოება დასტურდება შპს „სკს-ს“ წერილით, სადაც აღნიშნულია, რომ ფოსტამ კურიერის მეშვეობით განახორციელა სასამართლო გზავნილის ე. ნ.-ისათვის ჩაბარება, კერძოდ, გზავნილის ჩაბარება ვერ მოხერხდა უშუალოდ ქ. ფ.-ისათვის (ადრესატისათვის), რადგან იგი ქუთაისში არ იმყოფებოდა, ამასთან, გზავნილი ვერ ჩაბარდა ასევე მის წარმომადგენელს დ. დ.-ეს, ვინაიდან მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, ამიტომ სასამართლო გზავნილი ჩაბარდა ე. ნ.-ეს, რომელმაც განაცხადა, რომ იცნობდა ქ. ფ.-ეს და უზრუნველყოფდა მისთვის გზავნილის ჩაბარებას. აღნიშნული დასტურდება ასევე ე. ნ.-ის წერილობითი განცხადებით, რომელმაც დაადასტურა, რომ გზავნილზე დ. დ.-ის ხელმოწერა არ იყო, ეს სახელი და გვარი დაწერა შპს „სკს-ს“ კურიერმა;

კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, გზავნილი აპელანტის წარმომადგენელს გადასცა ე. ნ.-ემ 2012 წლის 3 იანვარს, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარიც დროულად წარადგინა სასამართლოში, ამიტომ არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ფ.-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 იანვრის განჩინება და ქ. ფ.-ის სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძველად დაედო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი 2011 წლის 28 დეკემბერს ჩაბარდა აპელანტის წარმომადგენელ დ. დ.-ეს, შესაბამისად, სასამართლომ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა ამ თარიღიდან აითვალა.

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის აპელანტის წარმომადგენლისათვის გზავნილის 2011 წლის 28 დეკემბერს ჩაბარების ფაქტს და განმარტავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი აპელანტის წარმომადგენელ დ. დ.-ეს ჩაბარდა 2012 წლის 3 იანვარს ე. ნ.-ის მეშვეობით. მართალია, გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე წარმომადგენლის სახელით შესრულებულია ხელმოწერა, მაგრამ ეს ხელმოწერა მას არ ეკუთვნის. აღნიშნული გარემოება დასტურდება ამავე გზავნილზე მეორე ხელმოწერი პირის – ე. ნ.-ის და ფოსტის კურიერის განმარტებებით, ასევე იმით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი აპელანტის წარმომადგენელს გაეგზავნა არა მის მიერ მითითებულ მისამართზე, არამედ მხარის (აპელანტის) მისამართზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით.

ხსენებული ნორმა სასამართლოს ავალდებულებს, რომ უწყება ადრესატს გაუგზავნოს და ჩააბაროს მხარის მიერ მითითებულ მისამართზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, თუ ადრესატს უწყება გაეგზავნა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, არსებობს პრეზუმფიცია, რომ ამ მისამართზე მიტანილ უწყებაზე ადრესატის სახელით შესრულებული ხელმოწერა ამ უკანასკნელს ეკუთვნის, საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი აწევს ადრესატს. აღნიშნული პრეზუმფიცია არ მოქმედებს, თუ ადრესატს უწყება შეცდომით გაეგზავნა არა მხარის მიერ მითითებულ, არამედ სხვა მისამართზე. ამ დროს უწყება ჩაბარებულად ვერ ჩაითვლება, თუ თავად ადრესატი არ დაადასტურებს უწყების მიღებას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათი, რომელზეც შესრულებულია ორი ხელმოწერა დ. დილიძის და ე. ნ.-ის სახელით. მითითებული ბარათით ირკვევა, რომ აპელანტის წარმომადგენელ დ. დ.-ეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნა არა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე (ქ.ქუთაისი, ... 2), არამედ სხვა მისამართზე (ქ.ქუთაისი, ... 18). მართალია, ეს უკანასკნელი მისამართი მხარის (აპელანტის) მისამართია, მაგრამ ამ მისამართზე სასამართლო გზავნილი შეიძლება ჩაბარებოდა მხარეს და არა მის წარმომადგენელს, რომელსაც სხვა მისამართი გააჩნია. ამ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმომადგენლისათვის გზავნილის ჩაბარებულად მიჩნევის პრეზუმფიცია არ მოქმედებს, ვინაიდან იგი სადავოდ ხდის მისთვის გზავნილის ჩაბარებას. წარმომადგენლის ეს მოსაზრება დასაბუთებულია ფოსტის კურიერის და შეტყობინების ბარათზე ხელმოწერი პირის – ე. ნ.-ის განმარტებებით. რაც შეეხება გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე ე. ნ.-ის ხელმოწერას, პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ვერ ჩითვლება აპელანტ ქ. ფ.-ისათვის გასაჩივრებული განჩინების ჩაბარებად, ვინაიდან არც შეტყობინების ბარათიდან და არც ე. ნ.-ის განმარტებიდან არ ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი წარმომადგენს აპელანტთან ერთად მცხოვრებ მისი ოჯახის წევრს (სსკ-ის 74.1 მუხლი). ამდენად, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი აპელანტის წარმომადგენელს



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ განუხილველად დატოვა ასევე მ. კ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარიც.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ლ. ს-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა განუხილველად ლ. ს-ის სააპელაციო საჩივარი და არ გაითვალისწინა, რომ მას პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება გააჩნდა, როგორც საქმეში ჩაბმულ მხარეს, მოპასუხეს.

ასევე დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით აპელანტის უფლებები არ შელახულა, რადგან მითითებულ სადავო ბინაში ცხოვრობს ლ. ს-ი, ამდენად, ბინის ნაწილის მ. კ-ისათვის მიკუთვნება უშალოდ ეხება მხარის ინტერესებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ს-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კანონმდებელი განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე პირთა წრეს და ასეთად მიიჩნევს მხარეებს, მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და ასევე იმ პირებს, ვის უფლებებსაც უშუალოდ შეეხო გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ განუხილველად დატოვა ლ. ს-ის სააპელაციო საჩივარი იმ მოტივით, რომ აპელანტი ზემოხსენებული ნორმით დადგენილ პირთა წრეს არ განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ ლ. ს-ის მიერ გასაჩივრებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება მის კანონიერ ინტერესებს არ შეეხება. აღნიშნული გადაწყვეტილებით მ. კ-ის სარჩელი ლ. ს-ისა და გ. კ-ის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. კ-ი ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ... ქ.№71-ში მდებარე №33 ბინის 1/2-ის მესაკუთრედ, ხოლო სარჩელს ლ. ს-ის უკანონო მფლობელობიდან მოძრავი ნივთების გამოთხოვის თაობაზე ეთქვა უარი.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრედ მ. კ-ის აღრიცხვით შეილახა ლ. ს-ის უფლებები, რადგან ამჟამად აღნიშნულ ბინაში სწორედ აპელანტი ცხოვრობს.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მითითებას, რომ ლ. ს-ის უფლებამოსილების საკითხი სადავო ქონებასთან მიმართებით გადაწყდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 იანვრის კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი გ. კ-სა და ლ. ს-ს შორის ქ.თბილისში, ი-ის ქ.№71-ში მდებარე №33 ბინის 1/2-ზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება. შესაბამისად, ლ.ს-ი აღარ წარმოადგენს იმ ქონების მესაკუთრეს, რომლის მიკუთვნებასაც მოსარჩელე ითხოვს.

სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია ლ. ს-ის პოზიცია, რომ მას, როგორც საქმეში მოპასუხედ ჩაბმულ მხარეს, უფლება ჰქონდა, შეეტანა სააპელაციო საჩივარი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტი მ. კ-ის სარჩელზე მოპასუხეს წარმოადგენს მხოლოდ მოძრავი ნივთების ლ. ს-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნის ნაწილში, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ლ.სესტიამვილის სასარგებლოდ არ დაკმაყოფილდა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ს-ი არ იყო უფლებამოსილი, სააპელაციო საჩივარი შეეტანა სადავო გადაწყვეტილებაზე და სააპელაციო პალატამ იგი განუხილველად მართებულად დატოვა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ლ. ს-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის ღირებულება

### განჩინება

ას-326-311-2012

26 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** წილის დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ს-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ს-ისა და შპს „მ-ის“ დირექტორ რ. ა-ის მიმართ მოპასუხეთა შორის 2004 წლის 13 ოქტომბერს შპს „ს-ას“ საწესდებო კაპიტალის მოსარჩელის კუთვნილი 50%-ის დათმობის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

დ. ს-ემ ასევე სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს „მ-ის“ დირექტორ რ. ა-ის წინააღმდეგ მის მიერ მოპასუხისათვის შპს „ს-ას“ 50%-იანი წილის დათმობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

მოცემული სარჩელები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით არც დ. და არც ნ. ს-ეების სარჩელები არ დაკმაყოფილდა, რაც დ. ს-ემ გასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტის მოთხოვნაა წილის უსასყიდლოდ დათმობის (ჩუქების) ხელშეკრულების გაუქმება, ამასთან, წილის ღირებულება თავად აპელანტის (მოსარჩელის) მიერ შეფასებულია 1000 ლარად, შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრით დავის საგნის ღირებულება უნდა განისაზღვროს 1000 ლარით. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე დ. ს-ემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის არსებითად განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება 1000 ლარით. მართალია, სადავო წილის დათმობის ხელშეკრულებაში წილის ღირებულებად მითითებულია 1000 ლარი, თუმცა საქმის განხილვისას არა ერთხელ დადასტურდა და თავად მოპასუხემაც მიუთითა, რომ წილის რეალური ღირებულება ბევრად აღემატებოდა ხსენებულ თანხას. ამჟამად აღნიშნული წილი შეადგენს 200 000 ლარს.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ს-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი არ დაიშვება და განუხილველად დარჩება.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ასევე ადგენს დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის წესს, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით.



მითითებული ნორმა სავალდებულოა სააპელაციო ინსტანციისათვისაც ამავე კოდექსის 372-ე მუხლის საფუძველზე, რომლითაც საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ამდენად, ხსენებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულებას მიუთითებს თავად აპელანტი, მაგრამ სასამართლო უფლებამოსილია, არ გაიზიაროს აღნიშნული ოდენობა, თუ ჩათვლის, რომ დავის საგნის საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება მხარის მიერ მითითებულ ფასს. შესაბამისად, მოცემული საკითხის შეფასებისას სასამართლო ხელმძღვანელობს რეალურად არსებული საბაზრო ფასებით.

განსახილველ შემთხვევაში დ. ს-ის სააპელაციო საჩივრის საგანია შპს „ს-ას“ წილთა 50%-ის უსასყიდლოდ დათმობის შესახებ ხელშეკრულების გაუქმება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხსენებულ ხელშეკრულებაში სადავო წილი შეფასებულია 1000 ლარად, რის გამოც სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულებაც სწორედ ამ ღირებულებით უნდა განისაზღვრის. საკასაციო პალატა სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას ვერ გაიზიარებს და თვლის, რომ სადავო საჩივრის ფასი უნდა დადგინდეს ხსენებულ საკითხზე საქმეში წარმოდგენილი ინფორმაციის სრულად შეფასების შედეგად.

დასაბუთებულია კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ საქმის მასალებში მოწინააღმდეგე მხარე შპს „მ-ის“ დირექტორი რ. ა-ე თავად ადასტურებს სადავო 50%-იანი წილის გაცილებით მეტ ღირებულებას, ვიდრე ეს სადავო ხელშეკრულებაშია ასახული. ამასთან, მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია რ. ა-ის განმარტება, რომ სადავო 50% წილის შპს „მ-ისათვის“ გადაფორმებისას შპს „ს-ას“ საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 574475 ლარს, რაც 2011 წლისათვის გაიზარდა 2 000 000 ლარამდე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილ იქნა სარჩელი, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას – საჩივრის შეტანის დროისათვის არსებული ფასები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ ხელახლა უნდა შეამოწმოს დ. ს-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი, რა დროსაც სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა განსაზღვროს შპს „ს-ას“ 50%-იანის წილის საბაზრო ღირებულების საფუძველზე სააპელაციო საჩივრის შეტანის მომენტისათვის.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

დ. ს-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 იანვრის განჩინება და საქმე დ. ს-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

№ას-1389-1406-2011

28 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სს «№ ჩაის ფაბრიკის» გაყიდვისას მოსარჩელის წილი ქონების შენარჩუნება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. მ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: სს «ზ. ფაბრიკის», შპს «ს-ის სამყაროსა» და სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს მიმართ სს «ზ. ფაბრიკის» ყიდვა-გაყიდვისას მოსარჩელის კუთვნილი წილის შენარჩუნების მოპასუხეთათვის დავალდებულების მოთხოვნით.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივლისის განჩინებით მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელე მ. მ-ეს კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა 2011 წლის 12 მარტს, რომლის ჩაბარებაზეც ადრესატმა 2011 წლის 22 მარტს განაცხადა უარი. აღნიშნულის გამო, გზავნილზე არის კურიერის აღნიშვნა: «მ. მ-ემ არ ჩაიბარა იმ მოტივით, რომ ნათესავი ყავს გარდაცვლილი და თვის ბოლომდე დავრჩები იქ». მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში შეტანილია 2011 წლის 3 ივლისს. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით, 70-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 71-ე მუხლით, 75-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 374-ე მუხლით და იმის გათვალისწინებით, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი მ. მ-ეს გაეგზავნა 2011 წლის 12 მარტს და მან მის ჩაბარებაზე 2011 წლის 22 მარტს უარი განაცხადა, სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მ. მ-ისათვის სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების დღედ მიიჩნია 2011 წლის 22 მარტი, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა იყო 2011 წლის 5 აპრილი. ვინაიდან მ. მ-ეს სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, მაგრამ სააპელაციო საჩივარი ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 2011 წლის 3 ივლისს (3 თვის დაგვიანებით), პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მ. მ-ის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების წინაპირობა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. მ-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება მ. მ-ის მიერ გზავნილის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან, მითითებულს ადგილი არ ჰქონია, 2011 წლის 22 მარტს ის საერთოდ არ იმყოფებოდა ზუგდიდში, მ. მ-ემ 2011 წლის 21 მარტს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს მიმართა განცხადებით და, მისი თქმით, შემდგომ წავიდა «სატირალში». გასაჩივრებული გადაწყვეტილება მ. მ-ეს, მისი დაქინებული მოთხოვნისა და სასამართლოსათვის არაერთი მიმართვის შემდეგ ჩაბარდა 2011 წლის 24 ივნისს. აღნიშნული განპირობებულია, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა უკანონო ქმედებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 სექტემბრის განჩინებით «სახელმწიფო ბაჟის შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის «მ<sup>1</sup>» ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლდა, ხოლო მოცემული კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს კერძო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება გაეგზავნა მ. მ-ეს და ადრესატმა 2011 წლის 22 მარტს უარი განაცხადა სასამართლო კორესპოდენციის ჩაბარებაზე იმ მოტივით, რომ გარდაეცვალა ნათესავი და «თვის ბოლომდე აპირებდა იქ დარჩენას». სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მ. მ-ემ სააპელაციო საჩივარი ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 2011 წლის 3 ივლისს.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის VIII თავზე, რომლითაც განსაზღვრულია სასამართლო შეტყობინებისა და დაბარების წესები და ამომწურავადაა რეგულირებული სასამართლო კორესპოდენციის მიღება-გაგზავნის წესები. ამავე თავის 70-ე მუხლის 1-ელი ნაწილით განსაზღვრულია სასამართლო შეტყობინების ზოგადი წესი და დადგენილია, რომ მხარე ინფორმირებულად ითვლება იმ შემ-

თხვევაში, თუ შეტყობინება ჩაბარდა მას პირადად ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლით რეგულირებულია ისეთი საკითხი, როდესაც ადრესატი უარს აცხადებს უწყების ჩაბარებაზე, კერძოდ: თუ ადრესატმა ან ამ კოდექსის 74-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებულმა სუბიექტმა, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამონაკლისისა, უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც სასამართლოს უბრუნდება. ასეთ შემთხვევაში უწყება ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება და სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით – სასამართლო გზავნილით, რომელსაც აქვს კურიერ ბ. ჯ-ას აღნიშვნა დასტურდება შემდეგი: «მ. მ-ემ არ ჩაიბარა იმ მოტივით, რომ ნათესავი ყავს გარდაცვლილი და თვის ბოლომდე დავრჩები იქ». აღნიშნული გარემოება სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის 1-ელი ნაწილით განსაზღვრული ურთიერთობაა და სააპელაციო პალატამ სწორად გამოიყენა ზემოაღნიშნული ნორმა. თავის მხრივ, კანონის მითითება, რომ «ასეთ შემთხვევაში უწყება ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება და სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე», მიანიშნებს იმაზე, რომ სასამართლოს აქვს სრული უფლება, კორესპოდენცია ჩათვალოს ადრესატისათვის ჩაბარებულად.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ სასამართლოს მსჯელობა ზემოაღნიშნულზე არასწორია, რადგანაც მხარის მიერ მითითებული არგუმენტი, 2011 წლის 22 მარტს არ იმყოფებოდა ზუგდიდში, დაუსაბუთებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით განსაზღვრულია მტკიცების ტვირთი სამოქალაქო პროცესში და ამ ნორმის 1-ელი და მე-3 ნაწილებით დადგენილია, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

დასახელებული ნორმისა და კერძო საჩივარზე დართული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა არ იზიარებს მ. მ-ის არგუმენტს სასამართლო შეტყობინების ჩაბარებაზე უარის თქმის ფაქტის არარსებობასთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად კი, მხარემ წარმოდგენილი მტკიცებულებით გასაჩივრებული განჩინების საწინააღმდეგო პოზიციის დადასტურება ვერ უბრუნველყო. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ მ. მ-ის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების ასლებით დასტურდება კერძო საჩივარში მითითებული გარემოების საწინააღმდეგო: ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე ნ.ანთიას წერილობითი პასუხს აქვს მ. მ-ის მინაწერი, სადაც კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს შემდეგს: «ამ წერილში აღნიშნული გადაწყვეტილება და განჩინებები თითქოს მეორედ მბარდება ეს არის სიცრუე. იყო ფაქტი რომ ქ. გალში მაზლის გასვენებასთან დაკავშირებით მივდიოდი და ბ. ჯ-ას ვუთხარი დაბრუნებისთანავე ჩავიბარებდი, დაბრუნების მერე ბ. ჯ-ასგან მე ჩაბარდა არა ერთი დოკუმენტი ზ/აღნიშნულის გარდა. თუ კიდევ არსებობს მსგავსი მოტივით დაბრუნებული დოკუმენტები დაუყოვნებლივ მომეცით». მითითებული გარემოების ანალიზის საფუძველზე საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. მ-ემ საქმეში არსებული გზავნილის უტყუარობა დაადასტურა, რადგანაც მოსამართლის თანაშემწის წერილობითი პასუხი სხვა საქმის მასალებთან ერთად შეეხება ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების განმეორებით გაგზავნის ფაქტს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ მას გადაწყვეტილების ჩაბარებაზე უარი არ განუცხადებია, ვერ გაიზიარებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარეთათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მოდავე მხარე, რომელიც არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას უფლებამოსილია, შეიტანოს სააპელაციო საჩივარი მისი კანონით დადგენილი წესით გადაცემიდან 14 დღის ვადაში.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 433<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლი ამოქმედებულია მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მიმართ, დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად უნდა ჩაითვალოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარეთათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მხარემ უარი განაცხადა გადაწყვეტილების ჩაბარებაზე 2011 წლის 22 მარტს, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის 1-ელი ნაწილისა და მე-60 მუხლის 1-ელი ნაწილისა, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დენა დაიწყო 2011 წლის 23 მარტს და ამოიწურა ამავე წლის 5 აპრილს. საქმეში წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი კი შეტანილია 2011 წლის 3 ივლისს, კანონით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადის დარღვევით, რაც, სამოქალაქო

ლაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად მისი განუხილველად დატოვების უტყუარი წინაპირობაა.

რაც შეეხება მოცემული კერძო საჩივრის მითითებას, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში ნაცვლად 13 ივლისი 2011 წლის მითითებულია 13 ივლისი 2010 წელი, საკასაციო პალატა იზიარებს აღნიშნულ მითითებას, თუმცა განმარტავს, რომ ეს გარემოება შესაძლოა, განჩინების მიმღები სასამართლოს მიერ უსწორობის გასწორების წინაპირობა გახდეს და აღნიშნული მისი გაუქმების საფუძველია არაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. მ-ის კერძო საჩივარი უსაფუძველოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, ხოლო გასაჩივრებულ განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძველობის გამო.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივრის ავტორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

№ას-1554-1554-2011                      29 დეკემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

დ. ჩ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ჯ-ას წინააღმდეგ ალიმენტის დაკისრების თაობაზე.

წალენჯიხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით დ. ჩ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. ჯ-ას არასრულწლოვანი შვილის – ნ. ჯ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა, თვეში 100 ლარის ოდენობით 2011 წლის პირველი ივლისიდან მის სრულწლოვანებამდე.

წალენჯიხის რაიონული სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ჯ-ამ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახლი გადაწყვეტილების მიღებით ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა თვეში 40 ლარის ოდენობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 სექტემბრის განჩინებით გ. ჯ-ას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ჯ-ამ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ სააპელაციო საჩივარი მან წარადგინა არა 2011 წლის 31 აგვისტოს, როგორც ეს გასაჩივრებულ განჩინებაშია მითითებული, არამედ 2011 წლის 25 აგვისტოს – კანონით დადგენილ ვადაში, რის დასადასტურებლადაც კერძო საჩივარს თან დაურთო შპს «ს. ფ-ის» ქვითრები.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ გ. ჯ-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ წალენჯიხის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება გ. ჯ-ას პირადად ჩაჰბარდა 2011 წლის 12 აგვისტოს; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე-61-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14 დღიანი ვადის დენა დაიწყო 2011 წლის 13 აგვისტოს და ამოიწურა ამავე წლის 26 აგვისტოს. ამდენად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა იყო 2011 წლის 26 აგვისტო. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილია 2011 წლის 31 აგვისტოს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, რომლის აღდგენაც დაუშვებელია.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მას სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა არ დაურღვევია, ვინაიდან მან სააპელაციო საჩივარი წალენჯიხის რაიონულ სასამართლოში ფოსტის მეშვეობით გააგზავნა 2011 წლის 25 აგვისტოს, ანუ კანონით დადგენილ ვადაში, რის გამოც მოითხოვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილება.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს და ვერც კერძო საჩივარზე დართულ შპს «ს. ფ-ის» ქვითრებს მიიჩნევს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად, ვინაიდან ეს ქვითარები არ შეიცავს გ. ჯ-ას მიერ აღნიშნული ორგანიზაციისათვის ჩაბარებული კორესპონდენციის დასახელებას.

ამდენად, კერძო საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო შესაბამისი მტკიცებულებებით დაესაბუთებინა, რომ სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში შეტანა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, მისი მტკიცების ტვირთს შეადგენდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია კანონით დადგენილ ვადაში შესრულოს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს საპროცესო მოქმედების შესრულების უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტმა დაკარგა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, ვინაიდან კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინა სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გ. ჯ-ას სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად დაუშვებლობის გამო და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ჯ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 სექტემბრის განჩინება.
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

ას-423-401-2012

30 აპრილი, 2012 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯ. ც-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: **2009 წლის 3** აპრილს კომპანიამ, ნ. ნ-ის სახელზე, გასცა ავტორანსპორტის დაზღვევის სერტიფიკატი. **2009 წლის 20** ივნისს, დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას მიადგა ზიანი, კერძოდ, ნ. ნ-ე ავტომანქანით მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს დაეჯახა, რომლის შედეგად დაზიანდა დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება. შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიცია და ბრალეულად აღიარა ჯ. ც-ი, რომელმაც დაარღვია გზის გასწვრივ პირუტყვის ძოვების წესები. დამზღვევის ნ. ნ-ის სასარგებლოდ გაიცა სადაზღვევო ანაზღაურება **14.361.18** ლარის ოდენობით, რაც სამოქალაქო კოდექსის **832-ე** და **1003-ე** მუხლების შესაბამისად, უნდა დაეკისროს ზიანის გამომწვევ პირს – ჯ. ც-ს.

წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო ჯ. ც-მა შემდეგი დასაბუთებით: მოპასუხეს მიაჩნია, რომ **2009 წლის 20** ივნისს პირუტყვის ძოვების წესები არ დაურღვევია. ავტოსაგზაო შემთხვევას ხელი შეუწყო მძღოლის დაუდევრობამ, რაც გამორიცხავს მის მიერ ზიანის ანაზღაურებას.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს **2011 წლის 20** დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ჯ. ც-ს დაეკისრა **7180.59** ლარის გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **2012 წლის 10** თებერვლის განჩინებით შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი საფუძვლებით: დადგენილია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ დადგენილი წესით და მოსარჩელეს, შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის“ მენეჯერ მ.კ-ს, პირადად ჩაჰბარდა **2012 წლის 12** იანვარს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **369-ე, 70-ე** და **71-ე** მუხლების შესაბამისად, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს **2011 წლის 20** დეკემბრის გადაწყვეტილების გასაჩივრების ბოლო ვადა იყო **2012 წლის 26** იანვარი, ხოლო შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-მა“ ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში სააპელაციო საჩივარი წარადგინა **2012 წლის 27** იანვარს (**1** დღის დაგვიანებით), ანუ სააპელაციო საჩივრის შეტანის **14-დღიანი** ვადის დარღვევით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს **2012 წლის 10** თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-მა“ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არასწორად მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი მის მიერ წარმოდგენილ იქნა **2012 წლის 27** იანვარს, მაშინ, როცა ფოსტას – შპს „ჯ. ე-ს“ ჩაჰბარდა გადაწყვეტილების გასაჩივრების **14-დღიანი** ვადის ბოლო დღეს, **2012 წლის 26** იანვარს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დაცვით. შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-მა“ წარმოდგენილ კერძო საჩივარს დაურთო საფოსტო ქვითარი და შპს „ჯ. ე-ის“ მომართვა, რითაც დასტურდება, რომ ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში გადასაგზავნი დოკუმენტაცია ფოსტას ჩაჰბარდა **2012 წლის 26** იანვარს, ხოლო **2012 წლის 27** იანვარს კი მის მიმღებს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **369-ე** მუხლის **1-ელი** ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა **14** დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის **70-ე-78-ე** მუხლების ან **259<sup>1</sup>** მუხლის შესაბამისად, ასევე **259<sup>1</sup>** მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

დადგენილია, რომ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს **2011 წლის 20** დეკემბრის გადაწყვეტილება კერძო საჩივრის ავტორს ჩაჰბარდა **2012 წლის 12** იანვარს. შესაბამისად, გასაჩივრების ვადის დენა დაიწყო **2012 წლის 13** იანვარს და ამოიწურა ამავე წლის **26** იანვარს. კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად ასახელებს იმ ფაქტს, რომ სააპელაციო საჩივარი ფოსტას წარუდგინა კანონით დადგენილ **14-დღიან** ვადაში, რასაც ადასტურებს საფოსტო გზავნილის ქვითრით და შპს „ჯ. ე-ის“ მომართვით, სადაც მითითებულია, რომ ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში გადასაგზავნი დოკუმენტაცია ფოსტას ჩაჰბარდა **2012 წლის 26** იანვარს, ხოლო **2012 წლის 27** იანვარს კი მიმღებს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოში წარდგენის თაობაზე, შემდეგი დასაბუთებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **61-ე** მუხლის მე-**3** ნაწილის შესაბამისად, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაჰბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება. აღნიშნული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში წარდგენილად მიიჩნევა, თუ მხარე აღნიშნულს წარადგენს სასამართლოში ან ამავე ვადის დაცვით გააგზავნის ფოსტის მეშვეობით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი ადგენს სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის წესს. დასახელებული ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილია, რომ სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილის ქვითრისა და შპს „ჯ. ე-ის“ მიმართვის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ სააპელაციო საჩივრის წარდგენა განხორციელდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილ ვადაში

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 თებერვლის განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ჯ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 თებერვლის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **განუხილველად დატოვება**

#### **განჩინება**

№ას-1313-1175-2010 15 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. ხ-მემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას დ. ყ-შვილის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის 21 200 აშშ დოლარის დაკისრება, კერძოდ, სესხის ძირითადი თანხა – 500 აშშ დოლარი, სარგებელი 300 აშშ დოლარი, ხოლო მიუღებელი პროცენტის სახით ვადაგადაცილებული პერიოდისათვის ზიანი – 20 200 აშშ დოლარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით ზ. ხ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა ზ. ხ-მემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივლისის განჩინებით ზ. ხ-მის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და საქმის განხილვა დაინიშნა 2010 წლის 19 ოქტომბერს 11:00 საათზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2010 წლის 19 ოქტომბერს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე, ზ. ხ-მის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმის განხილვა გადაიდო 2010 წლის 26 ნოემბერს 10:30 საათზე, რის შესახებაც მხარეები გაფრთხილებულები იქნენ ხელწერილით, რომლითაც განემარტათ სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შედეგები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ნოემბერს, სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ზ. ხ-მის სააპელაციო საჩივარი, საოქმო განჩინებით, დარჩა განუხილველად.

მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ზ. ხ-მის წარმომადგენელმა მ. ნ-უამ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ 2010 წლის 26 ნოემბერს სასამართლო სხდომაზე ზ. ხ-მის გამოუცხადებლობა განპირობებული იყო აპელანტის ჯანმრთელობის მდგომარეობით,

რასაც ადასტურებს ქ. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის პაციენტის სამედიცინო ბარათი №1070, რომლის თანახმადაც, სასწრაფო დახმარება გამოძახებულ იქნა 2010 წლის 26 ნოემბერს დილის 8 საათსა და 17 წუთზე და მისი გადაადგილება საფრთხეს უქმნიდა პაციენტის სიცოცხლეს. ამასთან, ავადყოფნის გამო, მას არც ის შეეძლო, რომ გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე სასამართლოსათვის ეცნობებინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივის ავტორმა მოითხოვა სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიოდ ჩათვლა და საქმის წარმოების განახლება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ზ. ხ-ძის წარმომადგენელ მ. ნ-უას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. მითითებული ნორმა შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით, სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამავე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა სარჩელი განუხილველად იქნეს დატოვებული.

აღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, უპირველესად, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული იყო სასამართლო სხდომაზე და მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღის შესახებ. ამასთან, სასამართლო მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი მხოლოდ მაშინ, თუ დაადგენს, რომ სასამართლო სხდომის თარიღის შეტყობინების მიუხედავად, მხარე სასამართლო სხდომაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ სხდომის დღის შესახებ მხარეები გაფრთხილებულნი იყვნენ კანონით დადგენილი წესით, კერძოდ 2010 წლის 19 ოქტომბრის სხდომის ოქმით დგინდება, რომ საქმის განხილვა გადაიდო 2010 წლის 15 სექტემბერს 14.00 საათზე, რაზეც ხელწერილი ჩამოერთვათ მხარეებს და დაერთო საქმეს, მაგრამ ზ. ხ-ძე სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა და არც რაიმე საპატიო მიზეზი გამოუცხადებლობის შესახებ ან საქმის განხილვის გადადების თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებიათ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონის ზემოაღნიშნული ნორმები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში სრულიად ასაბუთებს ზ. ხ-ძის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მართლობიერებას.

წარმოდგენილი კერძო საჩივრით ზ. ხ-ძის წარმომადგენელი მ. ნ-უა სადავოდ ხდის გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების კანონიერებას და განმარტავს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას. აღნიშნულის დასადასტურებლად კერძო საჩივარს თან ერთვის ქ. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის პაციენტის სამედიცინო ბარათი №1070. დასახელებული ცნობით ირკვევა, რომ ზ. ხ-ძეს ჯანმრთელობის გაუარესების გამო (სახსრების ტკივილი), 2010 წლის 26 ნოემბერს გაეწია სასწრაფო სამედიცინო დახმარება.



საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება – ქ. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის პაციენტის სამედიცინო ბარათი №1070, არ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 26 ნოემბერს სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის საპატიობას, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის შეუძლებლობაზე. ამდენად, საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, კანონმდებელი ავადმყოფობის ცნობის წარდგენას მხოლოდ მაშინ მიიჩნევს საქმის განხილვის გადადების საფუძველად, როდესაც ავადმყოფობა დადასტურებულია სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. ქ. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის პაციენტის სამედიცინო ბარათში სასამართლო სხდომაზე აპელანტის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შეუძლებლობის შესახებ მითითებული არ არის, ამასთან, ასეთი დასკვნის საფუძველს არც ცნობაში ასახული დიაგნოზი იძლევა. გარდა ამისა, ცნობას ხელს არ აწერს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობის პირი. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებას, რომ 2010 წლის 19 ოქტომბერს დანიშნული სასამართლო სხდომა, ზ. ხ-ძის შუამდგომლობის საფუძველზე, გადაიდო იმ მოტივით, რომ, ვინაიდან მისმა ადვოკატმა – მ. ნ-უამ ვერ შესძლო პროცესზე გამოცხადება, იგი დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა თავისი უფლებების დაცვას, რაც ცხადყოფს, რომ აპელანტს ჰყავდა წარმომადგენელი და თუ თავად არ შეეძლო, ავადმყოფობის გამო, სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულიყო ან ამის შესახებ თავის დროზე, ანუ სხდომამდე ეცნობებინა სასამართლოსათვის, რისი ვალდებულებაც მას ჰქონდა სსსკ-ის 241-ე მუხლის მიხედვით, საქმის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნული შეეძლო მის წარმომადგენელს გაეკეთებინა. ამდენად, კერძო საჩივარში მითითებული მოტივი სასამართლო პროცესზე ზ. ხ-ძის გამოუცხადებლობის საპატიობის შესახებ, არ ექვემდებარება განხილვას.

ზემოაღწერილიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად, და, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. ხ-ძის წარმომადგენელ მ. ნ-უას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 ნოემბრის საოქმო განჩინება.
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **განუხილველად დატოვება**

#### **განჩინება**

№ას-20-15-2011

10 თებერვალი, 2011 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** სარჩოს ოდენობის გაზრდა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ი. კ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ხულოს მუნიციპალიტეტის სსიპ რიყეთის საჯარო სკოლის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრე-

ბული ყოველთვიური სარჩოს – 44.23 ლარის მის მიერ წარსულში დაკავებულ თანამდებობაზე არსებული ხელფასის ოდენობამდე – 250 ლარამდე გაზრდა. მოსარჩელის განმარტებით, მან რიყეთის საჯარო სკოლაში მუშაობისას მიიღო ტრავმა და დაენიშნა სარჩო მის თანამდებობაზე დადგენილი სარგოს შესაბამისად. ამჟამად მითითებული სარგო გაიზარდა, შესაბამისად, სარჩოც უნდა გადაანგარიშდეს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ი. კ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 14 სექტემბრის განჩინებით მოცემული საქმე განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს განსჯად სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის საჯარო სკოლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ი.კ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ საქმის განხილვის შესახებ ი.კ-მე გაფრთხილებულ იქნა სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით, თუმცა მხარეს საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოს არ აცნობა. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ელი და მე-3 ნაწილებით, 229-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიუთითა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ი. კ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის სააპელაციო საჩივრის არსებითად განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ აპელანტს სასამართლო უწყება არ ჩაბარებია და საქმის განხილვის დრო ეცნობა მხოლოდ სატელეფონო შეტყობინებით. 2010 წლის 22 ნოემბერს ი. კ-მე დაუკავშირდა ტელეფონით მოსამართლის თანაშემწეს და აცნობა, რომ ავადმყოფობის გამო ვერ შესძლებდა სასამართლოში გამოცხადებას. მხარეს არ წარმოუდგენია ავადმყოფობის დამადასტურებელი ცნობა, რადგან ვარაუდობდა, რომ საქმე იხილებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და სასამართლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებას არ გამოიტანდა. ი. კ-მისათვის არ იყო ცნობილი, რომ მოცემული საქმე განსახილველად გადაეცა სამოქალაქო საქმეთა პალატას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. კ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ელი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

დასახელებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, მთავარ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის შემთხვევაში, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს. კანონმდებელი ზუსტად განსაზღვრავს სააპელაციო სასამართლოში აპელანტისა და მისი მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო გამოუცხადებლობის კონკრეტულ სასამართლებრივ შედეგებს, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ავალებს სააპელაციო პალატას, გადაწყვიტოს დავა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის განკუთვნილი ნორმებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ელი წინადადების მიხედვით, თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. კანონის აღნიშნული დანაწესი უშუალოდ უკავშირდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცედურას და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი, თუ აპელანტი, რომელსაც საქმის განხილვის დრო კანონით დადგენილი წესით ეცნობა, სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადებულა და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოსათვის არ უცნობებია, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება არ მოუთხოვია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტი ი. კ-ძეს 2010 წლის 24 ნოემბერს საქმის განხილვის შესახებ კანონით დადგენილი წესით, კერძოდ, სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მხარეები, მათი წარმომადგენლები, შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქტით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას დგება აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე.

კანონის აღნიშნული დანაწესი დასაშვებად მიიჩნევს საქმის განხილვის თაობაზე მხარის სატელეფონო შეტყობინებით გაფრთხილებას, რაც მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარების ტოლფასია. ამდენად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება ი. კ-ძის მითითება, რომ მას 2010 წლის 24 ნოემბრის სასამართლო სხდომის შესახებ სასამართლო უწყება არ ჩაბარებია და საქმის განხილვის დრო ეცნობა მხოლოდ სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ი. კ-ძეს 2010 წლის 24 ნოემბრის სასამართლო სხდომის თაობაზე კანონის მოთხოვნათა დაცვით ეცნობა, თუმცა იგი საქმის განხილვაზე არ გამოცხადდა და არც თავისი გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოს არ აცნობა, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნით მართებულად დარჩა განუხილველად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ი. კ-ძის არგუმენტს, რომ აპელანტმა 2010 წლის 22 ნოემბერს ტელეფონით აცნობა მოსამართლის თანაშემწეს თავისი ავადმყოფობის ფაქტი და განუმარტა, რომ ვერ გამოცხადდებოდა საქმის განხილვაზე, ვინაიდან აღნიშნული გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი წესით დადასტურებული არ არის.

დაუსაბუთებელია ასევე კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ აპელანტმა მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოებით განხილვის შესახებ არ იცოდა, ვარაუდობდა, რომ დავას იხილავდა ადმინისტრაციული სასამართლო და იგი არ მიიღებდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. აღნიშნულის გამო მხარემ არ წარადგინა თავისი ავადმყოფობის ცნობა.

ზემოხსენებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალების შესაბამისად ი. კ-ძეს გაეგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 14 სექტემბრის განჩინების ასლი, რომლითაც მოცემული საქმე განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს განსჯად სამოქალაქო საქმეთა პალატას. ამდენად, მისი შინაარსი მხარისათვის ხელმისაწვდომი და ცნობილი უნდა ყოფილიყო. აქვე საგულისხმოა, რომ ი. კ-ძეს 2010 წლის 24 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობა არც შემდგომ არ წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ი. კ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **განუხილველად დატოვება**

#### **განჩინება**

ას-652-613-2011

24 ივნისი, 2011 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ჩ-მემ სარჩელი აღმრთ სასამართლოში კ-მისა და შპს «ს. ე-მის» მიმართ ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

სარჩელის თანახმად, 2007 წლის 10 ოქტომბერს ვ. ჩ-მემ რ. ყ-შვილისაგან გენერალური მინდობილობის საფუძველზე, შეიძინა 1991 წელს გამოშვებული, კ. ნ-მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა მერსედეს-ბენცი 609, სარეგისტრაციო ნომრით – ... . მოსარჩელემ, რომელსაც უფლება ჰქონდა ნებისმიერ დროს თავის სახელზე გადაეფორმებინა ავტომანქანა, 2010 წლის 16 აგვისტოს მიაკითხა საპატრულო პოლიციას, სადაც განუცხადეს, რომ ავტომანქანა დაყადაღებული იყო. მან აღმასრულებლისგან შეიტყო, რომ კ. ნ-მის მთელი ქონება, მათ შორის ავტომანქანაც დაყადაღებულ იქნა 2009 წლის 10 აგვისტოს, ანუ მისი გასხვისების შემდეგ.

მოპასუხე შპს «ს. ე-მამ» სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მოპასუხე კ. ნ-მემ სარჩელი ცნო.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. ჩ-მის სარჩელი კ. ნ-მისა და შპს «ს. ე-მის» მიმართ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების თაობაზე დაკმაყოფილდა, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ 2008 წლის 30 იანვარს ამავე სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის (საქმე №-) საფუძველზე, იმერეთის სააღსრულებო ბიუროს ... წერილით დადებული ყადაღისაგან გათავისუფლდა კ. ნ-მის სახელზე რიცხული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება შემდეგი რეკვიზიტებით: მარკა, მოდელი მერსედეს-ბენცი ..., ფერი - ყვითელი 4/8, გამოშვების წელი – 1991, სანომრე ნიშანი – ..., საიდენტიფიკაციო ნომერი – .

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ს. ე-მამ», მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 იანვრის განჩინებით შპს «ს. ე-მის» სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და ამავე სასამართლოს 2011 წლის 10 თებერვლის განჩინებით საქმის განხილვა დაიწყო 2011 წლის 15 მარტს 14:00 საათზე, რის შეახებაც კანონით დადგენილი წესით ეცნობათ მხარეებს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 მარტის განჩინებით სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, შპს «ს. ე-მის» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს «ს. ე-მის» წარმომადგენელმა ი. ფ-ურმა, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვის მიზნით იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად კერძო საჩივრის ავტორი მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტს ჩანიშნული სხდომის დაწყებამდე, მოწინააღმდეგე მხარეებთან ერთად, იმყოფებოდა სასამართლოს ფოიეში პირველ სართულზე. იმის გამო, რომ საქმის განხილვაზე მოსამართლის თანაშემწემ არ მოიწვია, იგი თავად დაუკავშირდა მას 14:15 საათზე, რომელმაც განუცხადა, რომ მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლოშივე შეადგინეს აქტი, რაც დაადასტურეს მოწინააღმდეგე მხარეებმაც, ასევე მიმართეს მანდატურის სამსახურს, რომელმაც განუცხადა, რომ მათ კომპეტენციაში მხარეთა პროცესზე გამოცხადების აღნიშვნა არ შედიოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განხილვის მიზნით, საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «ს. ე-მის» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 19 აგვისტოს განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე არცერთი მხარე არ გამოცხადდება.

მოცემულ შემთხვევაში შპს «ს. ე-მის» სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტის მთავარ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა, რომლებიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ინფორმირებულები იყვნენ სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ, თუმცა სასამართლო სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონის ზემოაღნიშნული ნორმები საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში სრულიად ასაბუთებს შპს «ს. ე-მის» სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მართლზომიერებას.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძვლად მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 მარტს ჩანიშნული სხდომის დაწყებამდე, მოწინააღმდეგე მხარეებთან ერთად, იმყოფებოდა სასამართლოს ფოიეში პირველ სართულზე. იმის გამო, რომ საქმის განხილვაზე მოსამართლის თანაშემწემ არ მოიწვია, იგი თავად დაუკავშირდა მას 14:15 საათზე, რომელმაც განუცხადა, რომ მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლოშივე შეადგინეს აქტი, რაც დაადასტურეს მოწინააღმდეგე მხარეებმაც, ასევე მიმართეს მანდატურის სამსახურს, რომელმაც განუცხადა, რომ მათ კომპეტენციაში მხარეთა პროცესზე გამოცხადების აღნიშვნა არ შედიოდა.

აღნიშნულს საკასაციო სასამართლო ვერ მიიჩნევს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლად, ვინაიდან, როგორც საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, მოსამართლის თანაშემწის მიერ შედგენილი აქტით ირკვევა (რომელსაც ხელს აწერს სასამართლოს მანდატური და თავად თანაშემწე), 2011 წლის 15 მარტს 14:15 საათზე, მან სასამართლოს ფოიეში პროცესზე მოსაწვევად გამოაცხადა მონაწილე პირების ვინაობა, თუმცა იქ მყოფ მოქალაქეებს შორის არც შპს «ს. ე-მის» წარმომადგენელი და არც მოწინააღმდეგე მხარეები არ გამოხმაურებიან და არ დაუდასტურებიათ მათი ვინაობა. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის განმარტება, რომ ისინი იმყოფებოდნენ სასამართლო ფოიეშის სხდომის დაწყებამდე, საკასაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული ვერ იქნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად, და, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს «ს. ე-მის» წარმომადგენელ ი. ფ-ურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 მარტის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **განუხილველად დატოვება**

#### **განჩინება**

№ას-321-307-2012

19 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

**დავის საგანი:** სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ა-მემ და მ. ტ-მემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში ს. ზ-სა და თ. ნ-მის მიმართ ს. ზ-სათვის სესხის – 3600 ევროსა და 2700 აშშ დოლარის დაკისრების, სესხის უზრუნველსაყოფად ქ.გორში, ... 9ა/33-ში მდებარე თ. ნ-მის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაციის, ასევე ნ. ა-მისათვის 3515 ლარის გადახდის შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი 3600 ავროსა და 200 აშშ დოლარის ნაწილში ცნო, დანარჩენ ნაწილში კი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ს. ზ-ს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა 3600 ავროსა და 200 აშშ დოლარის გადახდა, რისი გადახდევინების მიზნით სარეალიზაციოდ მიექცა თ. ნ-მის კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება, ს. ზ-ს ნ. ა-მის სასარგებლოდ დაეკისრა 3515 ლარის ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხისათვის 3515 ლარის დაკისრების ნაწილში ს. ზ-მა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ დაადგინა, რომ ს. ზ-ს სააპელაციო საჩივრის განხილვა აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე 2011 წლის 29 ნოემბრიდან გადაიდო 20 დეკემბრის 11.00 საათისათვის, რის შესახებაც მხარეებს ეცნობათ საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით. აღნიშნულის მიუხედავად, პროცესზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდა და არც აღნიშნულის მიზეზი პალატას არ ეცნობა. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე, 276-ე მუხლებით და სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ს. ზ-მა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

სასამართლოს მიერ დანიშნულ დროს აპელანტი პროცესზე ვერ გამოცხადდა 2011 წლის 20 დეკემბრის მსოფლიოსა და საქართველოში დიდთოვლების, ყინვების გამო, რასაც შედეგად მოჰყვა ტრანსპორტის გადაადგილების დიდი შეფერხება.

აღსაშვავია, რომ სასამართლოს სხდომაზე მხარეები შეთანხმდნენ მორიგების პირობებზე, რაც სხდომის ოქმში გაურკვეველი მიზეზით არ დაფიქსირდა.

სააპელაციო პალატას უნდა გადაედო საქმის განხილვა სხვა დროისათვის და მიეცა საშუალება მხარეთათვის, ჩამოეყალიბებინათ მორიგების პირობები და მიეღწიათ შეთანხმებისათვის.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. ზ-ს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

მითითებული ნორმა შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს. ამავ კოდექსის 275-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი, თუ მოდავე მხარეები, რომელთაც საქმის განხილვის შესახებ სასამართლო უწყებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდათ, სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ და არც თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა სასამართლოს არ აცნობეს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ეფუძნება ვარაუდს, რომ მხარეებმა დავის მიმართ იურიდიული ინტერესი დაკარგეს ან პროცესზე გამოცხადებასთან დაკავშირებული საპროცესო მოვალეობის არასაპატიოდ შეუსრულებლობით უპატივცემულობა გამოხატეს სასამართლოს მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ს. ზ-ს სააპელაციო საჩივრის განხილვა 2011 წლის 29 ნოემბრიდან აპელანტის შუამდგომლობის საფუძველზე გადაიდო ამავ წლის 20 დეკემბრის 11 საათისათვის. მხარეები ესწრებოდნენ 2011 წლის 29 ნოემბრის სასამართლო სხდომას და საქმის განხილვის გადადების თაობაზე გაფრთხილებულ იქნენ ხელწერილით, რომელიც საქმეშია წარმოდგენილი.

აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლოს მიერ დადგენილ დროს პროცესზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდა და არც გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე სასამართლოს არ აცნობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტ მხარეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა სარწმუნოდ არ დაუსაბუთებია. მითითებული ნორმა ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას საპატიოდ თვლის ავადმყოფობის, ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოების არსებობისას, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის საპროცესო მოქ-

მედების შესრულებას. ამასთან, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

ამდენად, კერძო საჩივრის ავტორი ვალდებულია, შესაბამისი მტკიცებულების წარდგენის გზით დაადასტუროს ის გარემოება, რასაც მისი არგუმენტები ეყრდნობა, კერძოდ, ს. ზ-ს განმარტებით, იგი 2011 წლის 20 დეკემბერს სააპელაციო სასამართლოში ვერ გამოცხადდა დიდთოვლობის გამო, თუმცა მითითებული ფაქტის არსებობა მხარემ ზემოხსენებული ნორმის დანაწესის დაცვით ვერ დაასაბუთა. ისეთი უამინდობის ფაქტის დასადგენად კი, რომელმაც ს. ზოზიროვს სასამართლოში გამოცხადებაში ობიექტურად ხელი შეუშალა, მხოლოდ მხარის განმარტება საკმარისი არ არის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ 2011 წლის 29 ნოემბრის სასამართლო სხდომის ოქმში არ დაფიქსირდა მხარეთა შორის არსებული მოლაპარაკება საქმის მორიგებით დასრულებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ს. ზოზიროვს მითითებულ ოქმზე კანონით დადგენილი წესით შენიშვნები არ წარუდგენია. რაც შეეხება მხარეთა მორიგებას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო საკითხზე შეთანხმების მიღწევა დასაშვებია როგორც საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, ისე მისი დასრულების შემდეგაც.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ს. ზ-ს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საჩივრის განუხილველად დატოვება**

#### **განჩინება**

№ას-47-39-2011

17 თებერვალი, 2011 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ვ. ლ-ქემ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. ძ-ელის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის მიერ მისი საცხოვრებელი ოთახების თავზე მოწყობილი საპირფარეშოსა და საკანალიზაციო მილების მოშლა. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ სამშენებლო წესების დარღვევით მოაწყო საპირფარეშო და საკანალიზაციო სისტემა და, არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაზე უარს აცხადებს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ იგი არც ერთ მეზობელს ზიანს არ აყენებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით ვ. ლ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დადგინდა საკანალიზაციო წყალ-გაყვანილობის მოშლა, რომელიც გადის მოსარჩელის საცხოვრებელი ფართის თავზე და უერთდება სადავო საპირფარეშოს, საპირფარეშოს მოშლაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინებით ვ. ლ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და რ. ძ-ელის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ აპელანტი რ. ძ-ელი და მისი წარმომადგენელი დ. დ-ძე საქმის განხილვაზე მიწვეული იყვნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაც-

ვით, თუმცა სასამართლოს მიერ დადგენილ დროს პროცესზე არ გამოცხადდნენ და არც თავისი გამოუცხადებლობის მიზეზი სააპელაციო პალატას არ აცნობეს. სასამართლომ იხელმძღვანელა ამავე კოდექსის 372-ე, 275-ე მუხლებით და დასაბუთებულად ჩათვალა მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობა სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე რ. ძ-ელის წარმომადგენელმა დ. დ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: 2010 წლის 21 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე აპელანტი რ. ძ-ელი და მისი წარმომადგენელი დ. დ-ძე არ გამოცხადდნენ საპატიო მიზეზით, კერძოდ, რ. ძ-ელს საქმის განხილვაზე გამოცხადება მინდობილი ჰქონდა წარმომადგენლისათვის. სასამართლო უწყება მხარეს ჩაბარდა 2010 წლის 22 ნოემბერს, 26 ნოემბერს კი გარდაიცვალა რ. ძ-ელის ბებია თ. ძ-ელი. შესაბამისად, ოჯახში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მას არ ჰქონდა საშუალება, ყურადღება მიექცია უწყებისათვის.

ასევე საპატიო მიზეზი გააჩნდა დ. დ-ძესაც, ვინაიდან 2010 წლის 20 დეკემბერს, გვიან საღამოს მან შეიტყო დედის ავადმყოფობის შესახებ, რომელიც დაავადებულია ონკოლოგიური ავადმყოფობით, და გაემგზავრა ოზურგეთის რაიონში მის მოსანახულებლად. აღნიშნულის გამო დ. დ-ძე ვერ გამოცხადდა სასამართლოში საქმის განხილვაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველებისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ძ-ელის წარმომადგენელ დ. დ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

მითითებული ნორმა შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, იხელმძღვანელოს საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისათვის განსაზღვრული წესებით, თუ სადავო ურთიერთობა სცდება კანონმდებლის მიერ სააპელაციო სასამართლოსათვის სპეციალურად დადგენილ ნორმათა რეგულირების სფეროს. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.

დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი, თუ მოდავე მხარეები, რომელთაც საქმის განხილვის შესახებ სასამართლო უწყებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდათ, სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ და არც თავისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის არსებობა სასამართლოს არ აცნობეს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ეფუძნება ვარაუდს, რომ მხარეებმა დავის მიმართ იურიდიული ინტერესი დაკარგეს ან პროცესზე გამოცხადებასთან დაკავშირებული საპროცესო მოვალეობის არასაპატიოდ შეუსრულებლობით უპატივცემულობა გამოხატეს სასამართლოს მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ აპელანტსა და მის წარმომადგენელ დ. დ-ძეს 2010 წლის 21 დეკემბერს რ. ძ-ელის სააპელაციო საჩივრის განხილვის დანიშნვის თაობაზე სასამართლო უწყებები ამავე წლის 22 და 17 ნოემბერს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ჩაბარდათ, რაც მათ სადავოდ არ გაუხდიათ.

აღნიშნულის მიუხედავად, არც თავად რ. ძ-ელი და არც მისი წარმომადგენელი დ. დ-ძე საქმის განხილვაზე არ გამოცხადდნენ და გამოუცხადებლობის მიზეზის თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებიათ. ამ გარემოებათა სამართლებრივი შეფასებით სააპელაციო სასამართლოს განჩინება რ. ძ-ელის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კანონიერია.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ვერ გახდება კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ აპელანტი 2010 წლის 21 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე ვერ გამოცხადდა 2010 წლის 26 ნოემბერს ბებიის – თ. ძ-ელის გარდაცვალების გამო, რადგან აპელანტის ოჯახის წევრი გარდაიცვალა საქმის განხილვამდე თითქმის ერთი თვით ადრე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებული ფაქტი რ. ძ-ელის სადავო გამოუცხადებლობაზე გავლენას ვერ იქონიებდა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მხარის პოზიციას ვერც აპელანტის წარმომადგენელ დ.დ-ძის სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის შესახებ, რადგან კერძო საჩივარზე დართული სამედიცინო ცნობით არ დასტურდება, რომ დ.დ-ძის დედა საჭიროებდა შვილის გადაუდებელ დახმარებას სწორედ 2010 წლის 21 დეკემბერს. ნიშანდობილივია, რომ ონკოლოგიური დაავადებები მიმდინარეობს დროის ხანგრძლივ პერიოდში და ავადმყოფობის სადავო დროს გართულება მხარემ ვერ დაასაბუთა. ასევე რომ არ იყოს, აპელანტი და მისი წარმომადგენელი ვერ უთითებენ, რა საპატიო მიზეზით ვერ აცნობეს სასამართლოს თავიანთი გამოუცხადებლობის თაობაზე.



აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი კერძო საჩივრით სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი დასაბუთებული არ არის.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

რ. მ-ელის წარმომადგენელ დ. დ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გადაწყვეტილების განმარტება**

**განჩინება**

№ას-506-475-2010

19 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით, ი. ც-ადის სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგად, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ი. ც-ადის სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი დ. მ-იას მიერ 2008 წლის 10 მარტს გაცემული გენერალური მინდობილობის საფუძველზე 2008 წლის 19 მარტის სერგო მ-ძესა და ნ. მ-ძეს შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება; გაუქმდა ბათუმში, ... ქ. №113/115-ში მდებარე ბინაზე საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურში ნ. მ-ძეზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია და აღნიშნული ბინა საკუთრების უფლებით აღირიცხა ი. ც-ადის სახელზე; დ. მ-იას, ნ. მ-ძესა და საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაეკისრათ ი. ც-ადის სასარგებლოდ პირველ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 900 ლარი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 150 ლარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა და შევიდა კანონიერ ძალაში.

2010 წლის 6 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ი. ც-ადემ (წარმომადგენელი ს. შ-ძე), რომელმაც მოითხოვა ამავე სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტის განმარტება.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მოცემულ საქმეზე გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი, რომელიც მიექცა აღსასრულებლად, თუმცა ბათუმის სააღსრულებო ბიურომ სააღსრულებო წარმოება ნაწილობრივ შეაჩერა. ამის მიზეზია ის, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მე-6 პუნქტიდან, რომლითაც დ. მ-იას, ნ. მ-ძესა და საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაეკისრათ ი. ც-ადის სასარგებლოდ პირველ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 900 ლარი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 150 ლარი, არ ირკვევა, თითოეულმა მოპასუხემ რამდენი უნდა გადაიხადოს. აქედან გამომდინარე, ი. ც-ადემ მოითხოვა იმის განმარტება, თითოეულ მოპასუხეს გადაწყვეტილებით დაკისრებული სახელმწიფო ბაჟის რა თანხა უნდა გადაეხადა ან/და აღნიშვნა, რომ მათი პასუხისმგებლობა სოლიდარულია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 აპრილის განჩინებით ი. ც-ადის განცხადება დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტი – დ. მ-იას, ნ. მ-ძესა და საჯარო რეესტრის ბათუმის სა-

რეგისტრაციო სამსახურს დაეკისროთ ი. ც-ადის სასარგებლოდ პირველ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 900 ლარი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში 150 ლარი, განიმარტა შემდეგნაირად: დ. მ-იას, ნ. მ-ძესა და საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს სოლიდარულად დაეკისროთ ი. ც-ადის სასარგებლოდ პირველ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 900 ლარი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში – 150 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტი მართლაც ბუნდოვანი იყო და საჭიროებდა განმარტებას. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტში საუბარია იმაზე, რომ დ. მ-იას, ნ. მ-ძესა და საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაეკისრათ ი. ც-ადის სასარგებლოდ პირველ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 900 ლარი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 150 ლარი, მთლიანობაში – 1050 ლარი. ამდენად, არ ირკვეოდა, ეს თანხა თითოეულმა რა ოდენობით უნდა გადაიხადოს, თუ უნდა იქნეს გადახდილი სოლიდარულად.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა განმცხადებლის მოთხოვნა და მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტი უნდა განიმარტოს შემდეგნაირად: დ. მ-იას, ნ. მ-ძესა და საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს სოლიდარულად დაეკისროთ ი. ც-ადის სასარგებლოდ პირველ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 900 ლარი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში 150 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 23 აპრილის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა დ. მ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და თითოეული მოპასუხის მიერ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის თანხის წილობრივად განსაზღვრა.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, ნ. მ-მ არ მუშაობს, მას არც რაიმე ქონება გააჩნია დაკისრებული თანხის გადასახდელად. ამასთან, არსებობს საკმაოდ დიდი ალბათობა იმისა, რომ არც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახური ანაზღაურებს დაკისრებულ თანხას. შესაბამისად, ამ თანხის გადახდა მხოლოდ კერძო საჩივრის ავტორს მოუწევს. იმისათვის, რომ არსებულ ვითარებაში დაცული იქნეს დ. მ-იას ინტერესები, ეს უკანასკნელი საჭიროდ მიიჩნევს სასამართლოს მიერ მოპასუხეთა წილობრივი პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დატოვებულ იქნეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 აპრილის გასაჩივრებული განჩინებით ამავე სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტი – დ. მ-იას, ნ. მ-ძესა და საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაეკისროთ ი. ც-ადის სასარგებლოდ პირველ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 900 ლარი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 150 ლარი – განიმარტა შემდეგნაირად: დ. მ-იას, ნ. მ-ძესა და საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს სოლიდარულად დაეკისროთ ი. ც-ადის სასარგებლოდ პირველ ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 900 ლარი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში 150 ლარი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში განმარტა, რომ 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტის მიხედვით მოპასუხეების – დ. მ-იას, ნ. მ-ძისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის პასუხისმგებლობა სოლიდარულია.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას, რომ სააპელაციო სასამართლოს განმარტებით არ განსაზღვრულა მოპასუხეთა წილობრივი პასუხისმგებლობის ფარგლები. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიცემული განმარტება უკვე ნიშნავს მხარეთა პასუხისმგებლობის საზღვრების განსაზღვრას სოლიდარული ვალდებულების არსის გათვალისწინებით. აღნიშნული, სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლიდან გამომდინარე, იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მოვალე ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში, ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების ერთჯერადი მოთხოვნის უფლება. თავის მხრივ, იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელიც მთლიანად ანაზღაურებს ზიანს, აქვს რეგრესული მოთხოვნის უფლება სხვა სოლიდარული მოვალის მიმართ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 256-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ თითოეულმა მოპასუხემ გადაწყვეტილების რა წილი უნდა შეასრულოს, ან აღნიშნოს, რომ მათი პასუხისმგებლობა სოლიდარულია.

იმის გათვალისწინებით, რომ ქუთაისის სააპელაციო 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით მოპასუხეებს – დ. მ-იას, ნ. მ-ძესა და საჯარო რეესტრის ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურს დაეკისრათ ი. ც-ადის სასარგებლოდ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1050 ლარის ოდენობით, სოლიდარული ვალდებულების არსიდან გამომდინარე, აღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულება კრედიტორის წინაშე წარმოადგენს მოპასუხეების მთლიანი შესრულების საგანს. გადაწყვე-

ტილების იმგვარად განმარტება კი, როგორც კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს – განისაზღვროს თითოეული მოპასუხის შესრულების წილი, იმგვარად, რომ კრედიტორის წინაშე თითოეულმა მხოლოდ ამ წილის ფარგლებში შეასრულოს ვალდებულება, ეწინააღმდეგება სოლიდარული ვალდებულების არსს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

დ. მ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 აპრილის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **გადაწყვეტილების განმარტება**

#### **განჩინება**

№ას-1093-1122-2011 10 ოქტომბერი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** გადაწყვეტილების განმარტება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 27 ივლისს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. ყ-ემ მოპასუხეების – ს. და ნ. ო-ეების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა საჯარო რეესტრის ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის დაავალდებულება, ნ. ო-ის საკუთრებაში აღერიცხა მისი კუთვნილი 1/2 წილი ქორწინების განმავლობაში შეძენილი, ქობულეთში, ... მდებარე (ნ. ო-ისა და ს. ო-ის) თანასაკუთრებიდან. გარდა ამისა, მოსარჩელემ მოითხოვა 2008 წლის 30 ივნისს გაცემული სააღსრულებო ფურცლებით გათვალისწინებული ვალდებულების აღსრულების მიქცევა ნ. და ს. ო-ეების საერთო საკუთრებიდან ნ. ო-ის 1/2 წილზე, რომელიც ამ უკანასკნელს გააჩნდა ქობულეთში, ... .

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ყ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. ო-ეს დაევა საჯარო რეესტრის ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურში აღერიცხა ს. ო-ის სახელზე რიცხული და მასთან ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებიდან, ქობულეთში, ... მდებარე 344 კვ.მ სახლის 15/30 ნაწილიდან მისი კუთვნილი 1/2 წილი; დადგინდა, რომ ქობულეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2008 წლის 30 ივნისს გაცემული №2-320 და №2-326 სააღსრულებო ფურცლებით გათვალისწინებული ვალდებულების აღსრულება მიქცეულიყო ნ. და ს. ო-ეების საერთო საკუთრებიდან, ქობულეთში, ... მდებარე 344 კვ.მ სახლის 15/30 ნაწილიდან, ნ. ო-ის 1/2 წილზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ო-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით ს. ო-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ყ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა, რომ ქობულეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2008 წლის 30 ივნისს გაცემული №2-320 და №2-326 სააღსრულებო ფურცლებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულება მომხდარიყო ქობულეთში, ... მდებარე ს. ო-ის სახელზე რიცხული სახლთმფლობელობის 1/2 ნაწილიდან; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ს. და ნ. ო-ებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ნ. ყ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 იანვრის განჩინებით ს. და ნ. ო-ების საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად. შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და გაიცა სა-აღსრულებო ფურცელი.

2011 წლის 28 აპრილს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარი-სა და გურიის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა ვ.მ-მა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. განმცხადებელმა მოითხოვა აღსრულების ხელშეწყობის მიზნით ამავე სასამართლოს 2010 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების განმარტება. განმცხადებლის თანახმად, ბუნდოვანი იყო სასამართლოს გადაწყვეტილების დადგენილებითი ნაწილი, კერძოდ, გაურკვეველი იყო ს. ო-ის სახელზე რიცხული რომელი უძრავი ქონების რეალიზაცია უნდა განხორციელდებოდა. განმცხადებლის მითითებით, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდებოდა, რომ ს. ო-ის საკუთრებაში ირიცხება 2407 კვ.მ მიწის ნაკვეთის და 334 კვ.მ შენობა-ნაგებობის 15/30 წილი, რომელიც მდებარეობს ქობულეთში, ..... არსებულ ვითარებაში, განმცხადებელმა მოითხოვა სასამართლოს მისთვის განმარტა, რას გულისხმობდა სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი, კერძოდ, ნიშნავს თუ არა აღნიშნული იმას, რომ სასამართლომ დაადგინა:

ა. ს. ო-ის საკუთრებაში არსებული 2407 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 334 კვ.მ შენობა-ნაგებობის 15/30 წილის რეალიზაცია;

ბ. ს. ო-ის საკუთრებაში არსებული 2407 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 334 კვ.მ შენობა-ნაგებობის 15/30 წილის 1/2 ნაწილის რეალიზაცია;

გ. მხოლოდ 334 კვ.მ შენობა-ნაგებობის 15/30 წილის რეალიზაცია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 მაისის განჩინებით აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ვ.მ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტი შემდეგნაირად განიმარტა: ქობულეთის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული 2008 წლის 30 ივნისის №2-320 სააღსრულებო ფურცლისა და ამავე სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის გაცემული №2-326 სააღსრულებო ფურცლებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულება მოხდეს ქ.ქობულეთში, ... მდებარე ს. ო-ის სახელზე რიცხული სახლთმფლობელობის 1/2 ნაწილიდან, ანუ ქ.ქობულეთში, ... მდებარე ს. ო-ის სახელზე რიცხული მიწის ნაკვეთის დაუზუსტებელი ფართობის 2407 კვ.მ-ისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის 334 კვ.მ-ის 15/30 ნაწილის 1/2 ნაწილიდან.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ქ.ქობულეთში, ... მდებარე უძრავი ქონების 15/30 ნაწილის მესაკუთრე არის ს. ო-ე. დასახელებული უძრავი ქონება მოიცავს, როგორც მიწის ნაკვეთს, ასევე შენობა-ნაგებობებს, კერძოდ, ს. ო-ის საკუთრებას წარმოადგენს ქ.ქობულეთში, ... მდებარე მიწის ნაკვეთის დაუზუსტებელი ფართობის 2407 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის 334 კვ.მ-ის 15/30 ნაწილი. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ თავისი 2010 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით აღნიშნული უძრავი ქონების (ქ.ქობულეთში, ... მდებარე მიწის ნაკვეთის დაუზუსტებელი ფართობის 2407 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის 334 კვ.მ-ის 15/30 ნაწილის) 1/2 ნაწილის რეალიზაცია დაადგინა, ქობულეთის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული 2008 წლის 30 ივნისის №2-320 სააღსრულებო ფურცლისა და ამავე სასამართლოს 2008 წლის 30 ივნისის გაცემული №2-326 სააღსრულებო ფურცლებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულების.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 27 მაისის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ს. ო-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების განმარტებით სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად შეცვალა სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლიდან გამომდინარე დაუშვებელია. აღმასრულებელი ითხოვდა სასამართლოს განმარტა, ს. ო-ის სახელზე რიცხულ რომელ ქონებაზე უნდა მიექცია აღსრულება, ხოლო სასამართლომ ზოგადად მიუთითა მთელი მისი ქონების 1/2 წილზე.

კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ სასამართლოს ზემოაღნიშნულმა განმარტებამ კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. აღნიშნული მეტწილად იმითაა განპირობებული, რომ განცხადების განხილვა მოხდა ზეპირი მოსმენის გარეშე. არსებული სახით სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება ლახავს კერძო საჩივრის ავტორის კანონიერ უფლებებს, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებით მის ქონებაზე მიექცა აღსრულება, მაშინ როდესაც იგი არ ყოფილა პირადი მოვალე და ქონება, რომელიც საკუთრების უფლებით ეკუთვნის, ქორწინებამდე მიღებული აქვს ჩუქებით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. ო-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან სასამართლო აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების

აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

ამ ნორმის თანახმად, მხარეს ან სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია მოითხოვოს გადაწყვეტილების განმარტება იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ბუნდოვანია, არაა გასაგებად ჩამოყალიბებული, ან შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ან შეუსაბამო დებულებებს, რაც ართულებს ან შეუძლებელს ხდის გადაწყვეტილების აღსრულებას. ამდენად, გადაწყვეტილების განმარტების მიზანია ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების აღსრულებას.

მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებლის განმარტებით, გაურკვეველია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი. აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა შემდეგი: ქობულეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2008 წლის 30 ივნისს გაცემული №2-320 და №2-326 სააღსრულებო ფურცლებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულება მოხდეს ქ.ქობულეთში, ... მდებარე ს. ო-ის სახელზე რიცხული სახლთმფლობელობის 1/2 ნაწილიდან.

საქმეზე წარმოდგენილი ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ ქ.ქობულეთში, ... მდებარე უძრავი ქონების 15/30 ნაწილის მესაკუთრე არის ს. ო-ე. დასახელებული უძრავი ქონება მოიცავს, როგორც მიწის ნაკვეთს, ასევე შენობა-ნაგებობებს, კერძოდ, ს. ო-ის საკუთრებას წარმოადგენს ქ.ქობულეთში, ... მდებარე მიწის ნაკვეთის დაუზუსტებელი ფართობით 2407 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის 334 კვ.მ-ის 15/30 ნაწილი.

განმცხადებლის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება მდგომარეობს იმაში, რომ გაურკვეველია, თუ კონკრეტულად რა დაადგინა სასამართლომ: ა. ს. ო-ის საკუთრებაში არსებული 2407 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 334 კვ.მ შენობა-ნაგებობის 15/30 წილის რეალიზაცია, ბ. ს. ო-ის საკუთრებაში არსებული 2407 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 334 კვ.მ შენობა-ნაგებობის 15/30 წილის 1/2 ნაწილის რეალიზაცია, თუ გ. მხოლოდ 334 კვ.მ შენობა-ნაგებობის 15/30 წილის რეალიზაცია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა თავისი 2010 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი. გადაწყვეტილების აღნიშნულ ნაწილში არსებული დათქმა იმის შესახებ, რომ აღსრულება უნდა განხორციელდეს ქობულეთში, ... მდებარე ს. ო-ის სახელზე რიცხული სახლთმფლობელობის 1/2 ნაწილიდან, გულისხმობს იმას, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მითითებული სახლთმფლობელობის სწორედ ის 1/2 ნაწილი, რაც აღსრულების დროისათვის საჯარო რეესტრის მონაცემებით ს. ო-ის საკუთრებაში ირიცხება. რამდენადაც განცხადებაზე თანდართული საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ ს. ო-ის საკუთრებას წარმოადგენს ქ.ქობულეთში, ... მდებარე მიწის ნაკვეთის (დაუზუსტებელი ფართობით) – 2407 კვ.მ-ის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის 334 კვ.მ-ის 15/30 ნაწილი, ამიტომ, ცხადია, რომ აღსრულება უნდა მოხდეს სწორედ მითითებული ქონების 1/2 ნაწილიდან.

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების განმარტებით ფაქტურად შეცვალა ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი. აღნიშნულს საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, გადაწყვეტილების განმარტებით მოხდა იმ უძრავი ქონების რეკვიზიტების დაზუსტება, დაკონკრეტება, რომლის რეალიზაციაც უნდა განხორციელდეს აუქციონზე.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გადაწყვეტილების არასწორი განმარტება გამოიწვია განმარტების საკითხის განხილვამ ზეპირი მოსმენის გარეშე. საკასაციო პალატა, უპირველესად, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაეწყვიტა ზეპირი მოსმენის გარეშე. გარდა ამისა, კერძო საჩივრის ავტორი ვერ უთითებს, თუ საქმის ზეპირი მოსმენის შემთხვევაში, კონკრეტულად რომელი საკითხების გამორკვევა იქნებოდა შესაძლებელი, რომლებიც გამოიწვევდნენ სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ს. ო-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## გადაწყვეტილების განმარტება

### განჩინება

№ას-1248-1198-2010

31 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** გზის განთავისუფლება, უკანონო ნაგებობის დემონტაჟი

#### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 2 ნოემბერს საჩხერის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ზ. გ-მემ მოპასუხე ნ. გ-ურის მიმართ მოპასუხისათვის მშენებლობის გაგრძელების აკრძალვისა და ნაგებობის დემონტაჟის დაავალდებულების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის მეზობლად მცხოვრებმა ნ. გ-ურმა სამანქანო გზის სავალ ნაწილზე მოსარჩელის საცხოვრებელ სახლს მიაშენა ფარდული ავტოფარეხის მოწყობის მიზნით. აღნიშნულის გამო ზ. გ-მის მიწის ნაკვეთს არ გააჩნდა ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზასთან. ტერიტორია, რომელზეც ავტოფარეხი მდებარეობდა, არ წარმოადგენდა მოპასუხის კუთვნილი მიწის ნაკვეთს. მოპასუხეს ტერიტორია დაკავებული ჰქონდა თვითნებურად, მას არ გააჩნდა მიწათსარგებლობის უფლება, ავტოფარეხის მშენებლობის ნებართვა და პროექტი. სადავო საკითხთან დაკავშირებით მოსარჩელემ მიმართა საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საჩხერის პოლიციას, რომლებმაც განუმარტეს, რომ პრობლემის გადასაწყვეტად უნდა მიემართა სასამართლოსთვის.

მოპასუხე ნ. გ-ურმა სარჩელი არ ცნო და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთითურთ, რომლის ნაწილსაც მოსარჩელე ედავება, ნ. გ-ურმა შეიძინა ა. ა-მისაგან 1987 წლის 9 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით. გამსხვისებელს საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტი მიღებული ჰქონდა 1987 წლის 26 აგვისტოს, რომლითაც ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ოდენობა 462კვ.მ-ს შეადგენდა. აქედან გამომდინარე, გამოირიცხებოდა ის გარემოება, რომ მოპასუხეს სადავო მიწის ნაკვეთი თვითნებურად ჰქონდა დაკავებული. რაც შეეხებოდა ავტოფარეხის ნებართვასა და პროექტს, აღნიშნულთან დაკავშირებით მოპასუხემ მიუთითა საჩხერის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ნ. გ-ურს ნება დაერთო, დაენგრია ძველი ავარიული საცხოვრებელი სახლი და მის ნაცვლად აეშენებინა ახალი ბინა, სადაც ავტოფარეხი გათვალისწინებული იყო სწორედ სადავო ტერიტორიაზე. უსახსრობის გამო მოპასუხემ მშენებლობა აწარმოა ნაწილ-ნაწილ, ხოლო ავტოფარეხის მშენებლობა, აღნიშნული პროექტის საფუძველზე, იმ დროს დაიწყო, როცა ამის საშუალება მიეცა. მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი რეგისტრირებული იყო ... ქუჩით, შესაბამისად, ზ. გ-მეს სახლთან მისასვლელი და დამაკავშირებელი გზაც აღნიშნული ქუჩიდან ჰქონდა. ამდენად, მითითება იმის შესახებ, რომ სადავო ტერიტორიაზე ავტოფარეხის არსებობა მოსარჩელეს საჯარო გზასთან აუცილებელი კავშირის შესაძლებლობას ართმევდა, უსაფუძვლოა.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 9 იანვრის განჩინებით საქმეში მესამე პირად მოსარჩელის მხარეზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე ჩაბმულ იქნა ზა. გ-მე.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით ზ. გ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განჩინებით ზ. გ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ივნისის განჩინებით გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 ნოემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით ზ. გ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ზ. გ-მის სარჩელი

დაკმაყოფილდა, ნ. გ-ურს დაევალა ზ. გ-მის საცხოვრებელ სახლთან (საჩხერეში, ... ქ. №2-ში მდებარე) მისასვლელ გზაზე მის მიერ უკანონოდ აშენებული ნაგებობის დემონტაჟი, მასვე აეკრძალა ზ. გ-მისათვის საცხოვრებელ სახლამდე მისასვლელი გზით სარგებლობაში ხელშეშლა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-ურმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივნისის განჩინებით ნ. გ-ურის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2010 წლის 30 სექტემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ. გ-ურმა და ამავე სასამართლოს 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 და მე-5 პუნქტების განმარტება მოითხოვა შემდეგი საფუძვლებით: მის მიერ დარღვეულია ავტოფარების მშენებლობის პროექტის მოთხოვნები, კერძოდ, ავტოფარების ნაწილი 40 სმ-ით არის გადაცილებული საპროექტო ნიშნულიდან, სხვა მხრივ ავტოფარების მშენებლობა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. ის საკითხი, თუ რა იგულისხმება უკანონო ნაგებობაში, უნდა განმარტოს გადაწყვეტილების გამომტანმა სასამართლომ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით ნ. გ-ურის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი განიმარტა იმდაგვარად, რომ: – «დაევალოს ნ. გ-ურს მოახდინოს ზ. გ-მის საცხოვრებელ სახლთან (მდებარე საჩხერე, ... ქ. №3) მისასვლელ გზაზე ნ. გ-ურის საცხოვრებელ სახლზე ავტოფარების მოწყობის მიზნით მიშენებული ფარდულის დემონტაჟი», ხოლო ამავე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი განიმარტა იმდაგვარად, რომ: – «აეკრძალოს ნ. გ-ურს ზ. გ-მისათვის მის საცხოვრებელ სახლამდე მისასვლელი იმ გზით სარგებლობაში ხელშეშლა, რომელიც ნ. გ-ურის საცხოვრებელ სახლზე მიშენებული ფარდულის დემონტაჟის შედეგად იქნება გამოთავისუფლებული». სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიიჩნია, რომ ამავე სასამართლოს 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 და მე-5 პუნქტები ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას, კერძოდ, მიუთითა, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ: – «დაევალოს ნ. გ-ურს მოახდინოს ზ. გ-მის საცხოვრებელ სახლთან (მდებარე, საჩხერე, ... ქ. №2) მისასვლელ გზაზე მის მიერ უკანონოდ გაკეთებული ნაგებობის დემონტაჟი», განმცხადებლისათვის გაუგებარია რა იგულისხმება «უკანონო ნაგებობაში». გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტში აღნიშნულია, რომ – «აეკრძალოს ნ. გ-ურს ზ. გ-მისათვის მის საცხოვრებელ სახლამდე მისასვლელი გზით სარგებლობაში ხელშეშლა», განმცხადებლისათვის გაუგებარია, რა იგულისხმება «მისასვლელ გზაში».

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. გ-ურმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ცნო, რომ ნ. გ-ურმა პროექტის დარღვევით ააშენა ავტოფარები იმ მიწის ნაკვეთზე, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ გზას. შესაბამისად, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება «უკანონო ნაგებობის დემონტაჟის შესახებ», თუმცა არ დაუზუსტებია, რომელი ნაგებობა ან მისი ნაწილი არის აშენებული უკანონოდ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ნ. გ-ურის მიერ აშენებული «უკანონო ნაგებობა» არის ის ნაგებობა, რომელიც აშენებულია დამტკიცებული პროექტის დარღვევით, რითაც ხელი ეშლება მოსარჩელე ზ.გ-მის გზით სარგებლობაში. აქედან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ტერმინის «უკანონო ნაგებობის» განმარტებისას, უნდა გამოერკვია, ნ. გ-ურმა რა ნაწილში დაარღვია ავტოფარების მშენებლობის პროექტი. არც საჩხერის გამგეობასა და არც სასამართლოს სადავოდ არ გაუხდია ის ფაქტი, რომ არსებობს მშენებლობის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ავტოფარების მშენებლობას, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში, ერთადერთი გადასაწყვეტი სადავო საკითხია ის, თუ რით არ შეესაბამება ნ. გ-ურის მიერ განხორციელებული მშენებლობა დამტკიცებულ პროექტს ანუ პროექტის (ავტოფარების) რა ნაწილია უკანონოდ (პროექტის დარღვევით) აშენებული. სასამართლო ვალდებული იყო, თავის განმარტებაში დაეზუსტებინა, თუ მიშენების რა ნაწილი წარმოადგენს უკანონო ნაგებობას. მოცემული განმარტებით, «უკანონო ნაგებობის» განმარტებაში შედის მთლიანად ავტოფარების ნაგებობა, მათ შორის, ავტოფარების, როგორც უკანონოდ (პროექტის დარღვევით) აშენებული ნაწილი, ისე ავტოფარების ის ნაწილიც, რომელიც პროექტით განსაზღვრულ ფარგლებს სცდება და, ამდენად, კანონიერია. შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბერს განჩინების არსებული სახით აღსრულების შემთხვევაში დემონტაჟს დაექვემდებარება, როგორც «უკანონო მიშენება», ისე ნაგებობის კანონიერად აშენებული ნაწილი, რაც დაუშვებელია. ამასთან, გადაწყვეტილების ამგვარად განმარტება, ეწინააღმდეგება თავად გადაწყვეტილებას, რადგან 2010 წლის 11 თებერვალს გადაწყვეტილებით დემონტაჟს ექვემდებარება მხოლოდ პროექტის დარღვევით აშენებული «უკანონო ნაგებობა». საქმეში წარმოდგენილია საჩხერის მუნიციპალიტეტს გამგეობის წერილობითი განმარტება და მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის დასკვნა იმის შესახებ, რომ ნ. გ-ურის მიერ განხორციე-

ლებული ავტოფარების მშენებლობა 40 სმ-ით სცდება დამტკიცებულ საპროექტო ნიშნულს, შესაბამისად, გაუგებარია, რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უარყო სასამართლომ საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზემოთ მოყვანილი განმარტება და რის საფუძველზე დაადგინა, რომ «პროექტის დარღვევით» განხორციელებულ უკანონო მშენებლობაში იგულისხმებოდა მთლიანად ავტოფარების ნაგებობა. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის მითითება იმ მტკიცებულებაზე, რომელსაც სასამართლო დაეყრდნო განმარტებისას და რომელიც გააბათილებდა საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის განმარტებებსა და დასკვნებს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტება განხორციელა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების სათანადო შეფასების გარეშე, რის გამოც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ ნ. გ-ურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით ნ. გ-ურის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი განიმარტა იმდაგვარად, რომ: – «დაევალოს ნ. გ-ურს მოახდინოს ზ. გ-მის საცხოვრებელ სახლთან (მდებარე საჩხერე, ... ქ. №3) მისასვლელ გზაზე ნ. გ-ურის საცხოვრებელ სახლზე ავტოფარების მოწყობის მიზნით მიშენებული ფარდულის დემონტაჟი», ხოლო ამავე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტში აღნიშნული: – «აეკრძალოს ნ. გ-ურს ზ. გ-მისათვის მის საცხოვრებელ სახლამდე მისასვლელი იმ გზით სარგებლობაში ხელშეშლა, რომელიც ნ. გ-ურის საცხოვრებელ სახლზე მიშენებული ფარდულის დემონტაჟის შედეგად იქნება გამოთავისუფლებული».

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა თხოვნით განმარტოს გადაწყვეტილება მისი შინაარსის შეუცვლელად. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ აღსრულებული არ არის და, თუ არ გავიდა დრო, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება შეიძლება აღსრულდეს.

მითითებული ნორმის თანახმად, კანონმდებელი გადაწყვეტილების განმარტების საფუძველად სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანებას მიიჩნევს, ხოლო განმარტების მიზნად კი, მისი აღსრულების უზრუნველყოფას, ამდენად, იმისთვის, რომ არსებობდეს გადაწყვეტილების განმარტების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინამძღვრები, განმცხადებელმა სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანება, რაც ამავე გადაწყვეტილების აღსრულების ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით, რომლითაც ნ. გ-ურს დაევალა მოახდინოს ზ. გ-მის საცხოვრებელ სახლთან (მდებარე, საჩხერეში, ... ქ. №2-ში) მისასვლელ გზაზე მის მიერ უკანონოდ გაკეთებული ნაგებობის დემონტაჟი, დაეყრდნო საქმეში წარმოდგენილ ს.ფ. 219-ზე არსებულ საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2009 წლის 8 აპრილის №229-ე ბრძანებას, რომლის თანახმადაც საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის სპეციალისტს დაევალა განხორციელებინა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები ნ. გ-ურის მიერ უნებართვოდ და პროექტის დარღვევით წარმოებულ ავტოფარების მშენებლობასთან დაკავშირებით. სასამართლო დაეყრდნო ასევე საქმეში წარმოდგენილ საჩხერის მუნიციპალიტეტის კომისიის დასკვნას, რომლის თანახმად ნ. გ-ური ავტოფარების მშენებლობას აწარმოებს პროექტის დარღვევით იმ მიწაზე, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაა. ამ მტკიცებულებების ანალიზით სასამართლომ დაადგინა, რომ ნ. გ-ურს მხოლოდ სახლის მშენებლობა უნდა ეწარმოებინა – ქ. №48-ში გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე და არა ავტოფარების, რომლის მშენებლობასაც ის აწარმოებს ..... ჩიხიდან არსებულ მიწის ფართზე (46 კვ.მ). ამავე დასკვნის საფუძველზე, სასამართლომ ასევე, დადგენილად ცნო, რომ ნ. გ-ური, რომელიც უნებართვოდ სარგებლობდა ..... ჩიხიდან მდებარე 46 კვ. მ მიწის ნაკვეთით და რომელზეც აწარმოებს ავტოფარების მშენებლობას, არ იყო მის საკუთრებაში რეგისტრირებული და აღნიშნულზე მან მიმართა აღიარების (მიწის ნაკვეთებზე) კომისიის სადავო მიწის მის საკუთრებაში აღრიცხვასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ანალიზიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით კანონიერად განმარტა გადაწყვეტილება და დააზუსტა, თუ რას მოიცავდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული უკანონო ნაგებობა. გადაწყვეტილების განმარტებით სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი არ შეუცვლია, არამედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით დადგენილი ფაქტი შესაბამისობაში მოიყვანა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან.



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად, ხოლო კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. გ-ურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

**გადაწყვეტილების განმარტება**

**განჩინება**

№ას-160-154-2011

23 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** გარიგების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ნივთის მიკუთვნება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ი. ს-შვილის კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. ე-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნოტარიუს გ. ბ-შვილისა და კ. ს-შვილის მიმართ სამკვიდრო ქონების თანამემკვიდრეთა შორის განაწილების თაობაზე 2007 წლის 4 აგვისტოს გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: 2006 წელს გარდაიცვალა ნ. ს-შვილი, რომელსაც დარჩა 7 პირველი რიგის მემკვიდრე. აღნიშნული მომენტისათვის მამკვიდრებლის მეუღლე ლ. ე-შვილი იმყოფებოდა საზღვარგარეთ. იმისათვის, რომ მის არასრულწლოვან შვილს – ი. ს-შვილს დაუბრკოლებლად მიეღო სამკვიდრო, ლ. ე-შვილმა აღნიშნული უფლებამოსილება მიანდო სრულწლოვან შვილს – ნი. ს-შვილს.

2007 წლის 4 აგვისტოს გაფორმდა სამკვიდროს განაწილების შესახებ გარიგება, რომლითაც მოსარჩელის წილი მოტყუებითა და ზეწოლით ნ. ს-შვილის მამის – კ. ს-შვილის სასარგებლოდ მნიშვნელოვნად შემცირდა.

ამდენად, ზემოხსენებული გარიგება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი იმ ნაწილში, რომლითაც კ. ს-შვილს სხვა მემკვიდრეებთან შედარებით მეტი წილი მიეკუთვნა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თელავის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე მესამე პირად შპს «ბანკი ...» ჩაბმულ იქნა სამოქალაქო დავაში. ამავე სასამართლოს 2008 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხე თელავის ნოტარიუს გ. ბ-შვილის მიერ დადასტურებული 2007 წლის 4 აგვისტოს სანოტარო აქტი სამკვიდრო ქონების თანამესაკუთრეთა შორის წილის გადანაწილების ხელშეკრულება კ. ს-შვილისათვის წილის გადაცემის ნაწილში ნაწილობრივ, კერძოდ: ა) მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (შპს «ტ.პ.გ. ... სახლიდან») გარდაცვლილ ნ. ს-შვილის კუთვნილი 20% წილი, მდებარე ... რაიონის სოფელ ..., ბ) 93.8 ჰექტარი მიწაზე, მათ შორის 78 ჰექტარ მიწაზე გაშენებული ვენახის, დასასვენებელი პარკი «ს-ო», დამხმარე ნაგებობის – 2498 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი, მდებარე ... რაიონის სოფელ ..., გ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მდებარე ..., ... ქ№4-ში, დ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მდებარე ..., ... ქ№3, ე) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მდებარე ..., ... ქ№5, ვ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მდებარე ..., ... ქ№-ში, ზ) საცხოვრებელი სახლი, მდებარე ..., ... ქ№1-ში, თ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მდებარე ..., ... გამზირზე, ი) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მდებარე ..., ... გამზირზე, კ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მდებარე ..., ... გამზირის №2-ში მდებარე 1158 კვ.მ მიწაზე განთავსებული შპს «ს-დან» ნ. ს-შვილის კუთვნილი წილი – 25%, მ) ..., ... მოედანზე მდებარე შენობა-ნაგებობა – ... კინოთეატრი, ნ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მასზე გაშენებული ვენახით, მდებარე ... რაიონის სოფელ ..., ო)

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მასზე გაშენებული ვენახით, მდებარე ... რაიონის სოფელ ..., პ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მასზე გაშენებული ვენახით, მდებარე ... რაიონის სოფელ ..., ე) ..., ... გამზირ №30-ში მდებარე შენობა-ნაგებობა და მიწის ნაკვეთი (ყოფილი «...» შენობა) რ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მდებარე ... რაიონში, ს) ... ტერიტორიაზე მდებარე მეძროხეობის ფერმა, დამაგრებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 195 ჰექტარზე საიჯარო ხელშეკრულებით, ტ) ... ტერიტორიაზე «ტ-ში» მდებარე მეცხვარეობის №6 ბრიგადის ფერმა 400 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწასთან ერთად, უ) იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული 300.0 ჰექტარ მიწაზე განთავსებული საძოვარი «ი-2», ფ) 2000 წელს გამოშვებული ტოიოტა «ლექსუსი», ქ) ცეცხლსასროლი იარაღები: «საიგა-მ-3 სისტემის კარაბინი, იჟ-94 სისტემის კომბინირებული თოფი, თთ – სისტემის პისტოლეტი, ზიგ-ზაუერის სისტემის პისტოლეტი, ვინჩესტერ იმპერატ, თ03-34 EPN №7560 ლ) 2006 წლის 27 ივლისს განვადების უფლებით სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან შეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ე) 2006 წლის 23 აგვისტოს იჯარა-გამოსყიდვის უფლებით შეძენილი სამი ტრაქტორი, შ) ნ.ს-შვილის მიერ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 2005-ში» შეტანილი 12000 შშ დოლარი, ამხანაგობის საკუთრებაში რიცხული მშენებარე უძრავი ქონების შესაძენად, საცხოვრებელი სახლის ბლოკი, სართული 5, 68.3 კვ.მ ბინა №3, ჩ) ქ. ..., ... გამზირის №30-ში მდებარე ნ. ს-შვილის მიერ 2004 წლის 8 სექტემბერს დაფუძნებული შპს «თ-ო», რომლის ერთადერთი დამფუძნებელი და დირექტორი იყო ნ. ს-შვილი (საწესდებო კაპიტალი 2300 ლარი).

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ნოტარიუსმა გ. ბ-შვილმა და კ. ს-შვილმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 თებერვლის განჩინებით ნოტარიუს გ. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. ამავე სასამართლოს 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კი კ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი, რომლითაც ი. ს-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს გ. ბ-შვილის 2007 წლის 4 აგვისტოს №2-119 სანოტარო აქტი კ. ს-შვილისათვის მთელი სამკვიდრო ქონების 1/7-ის გადაცემის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. ს-შვილის წარმომადგენელმა გ. ყ-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მაისის განჩინებით განუხილველად იქნა დატოვებული, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2010 წლის 31 აგვისტოს ი. ს-შვილის კანონიერმა წარმომადგენელმა ლ. ე-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის განმარტება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 იანვრის განჩინებით: 1) ი. ს-შვილის კანონიერი წარმომადგენლის – ლ. ე-შვილის განცხადება გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე დაკმაყოფილდა, 2) განიმარტა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი და ამ ნაწილში კონკრეტულად მიეთითა კ. ს-შვილის რა ქონების 1/7 წილის გადაცემის ნაწილში იქნა ცნობილი ბათილად ნოტარიუს გ. ბ-შვილის 2007 წლის 4 აგვისტოს №2-119 სანოტარო აქტი, 3) სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: «ბათილად იქნეს ცნობილი ნოტარიუს გ. ბ-შვილის 2007 წლის 4 აგვისტოს №2-119 სანოტარო აქტი კ. ს-შვილზე მთელი სამკვიდრო ქონების 1/7-ის გადაცემის ნაწილში, კერძოდ, კ. ს-შვილისათვის შემდეგი თითოეული ქონების 1/7-ის გადაცემის ნაწილში:

ა) მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (შპს «ტ.პ.გ. ... სახლიდან») გარდაცვლილ ნ. ს-შვილის კუთვნილი 20% წილი, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ... რაიონის სოფ. ...; სარეგისტრაციო №53/15/19/002 გაცემული 20.07.2007 წ.

ბ) 93.8 ჰა მიწის ფართობზე მათ შორის 78 ჰა მიწის ფართობზე გაშენებული ვენახის, დასასვენებელი პარკი «ს-ო», დამხმარე ნაგებობის, 2498 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი, რომელიც მდებარეობს: ... რაიონი, სოფელი ... . სარეგისტრაციო №53/15/10/005 გაცემული 16.07.2007 წ.

გ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ..., ... ქ. №4 სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.

დ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ..., ... ქ. №3 სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.

ე) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ..., ... ქ. №5 სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.

ვ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ..., ... ქ. №7 სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.

ზ) საცხოვრებელი სახლი, მდებარე: ..., ... ქ. №1 სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.

თ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე: ..., ... გამზირი. სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.

ი) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე: ..., ... გამზირი; სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.

კ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე: ..., ... გამზირი; სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.

ლ) შპს «თ-ი» 1158 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მამკვიდრებელ ნ. ს-შვილის კუთვნილი 25% წილი, მდებარე: ..., ... გამზირი №2. სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.

მ) შენობა-ნაგებობა ... კინოთეატრი, მდებარე: ..., ... მოედანი სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.

ნ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე გაშენებული ვენახით, მდებარე: ... რაიონი, სოფელი ... სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 17 ივლისს.

ო) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გაშენებული ვენახით, მდებარე: ... რაიონი, სოფელი ...; სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 19 ივლისს.

პ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე გაშენებული ვენახით, მდებარე: ... რაიონი, სოფელი ..., სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 17 ივლისს.

ჟ) მიწის ფართი და შენობა-ნაგებობები (ყოფილი «მ-ს» შენობა) მდებარე ..., ... გამზირი №... . სარეგისტრაციო №... გაცემული 17.07.2007 წ.

რ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ... რაიონში, (... საავტომობილო გზის 19 კმ-ზე, ხელმარცხნივ) სარეგისტრაციო №... გაცემული 13.07.2007 წ.

ს) ... ტერიტორიაზე მდებარე მეძროხეობის ფერმა 500 კვ.მეტრი, დამაგრებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 195 ჰა. მიწის ნაკვეთზე საიჯარო ხელშეკრულებით მდებარე: ... რაიონი «ა-ს» მიდებარე ტერიტორია. სარეგისტრაციო №... გაცემული 12.07.2007 წ.

ტ) ტ-ს ტერიტორიაზე მდებარე მეცხვარეობის №6 ბრიგადის ფერმა, 400 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწასთან ერთად მდებარე ... რაიონის ტერიტორია «ტ-ი» სარეგისტრაციო №... გაცემული 06.07.2007წ.

უ) სამოვარი «ი-2-ის» იჯარის უფლება, 300.0 ჰა მიწის ფართზე. ნ. ს-შვილთან იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 11.10.2002წ. დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის დადგენილებით №126, 49 წლის ვადით. მდებარე: ... რაიონი, სამოვარი «ი-ი», სარეგისტრაციო №... . გაცემული 06.07.2007წ.

ფ) ავტომანქანა ტოიოტა «ლექსუსი», ქარხნიდან გამოშვების წელი – 2000 წელი, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №..., ტრანსპორტის სარეგისტრაციო №... – 003, რეგისტრირებულია 30.05.2003 წელს, ..., ... №...

ქ) ცეცხლსასროლი იარაღი: 1. საიგა – მ – 3 სისტემის კარაბინი №00130122; 2) იჟ – 94 სისტემის კომბინირებული თოფი №019401576; 3) თთ – სისტემის პისტოლეტი თN 233; 4) ზიგ-ზაუერის სისტემის პისტოლეტი – 226 №1417; 5) ვინჩესტერი იმპერატ -12-ყ №27-784; 6) □□□-34EPEP№7560;

ღ) განვადების უფლებით 2006 წლის 27 ივლისის თარიღით შედგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან შეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა: 1. ტრაქტორი ბელარუსი – 1025 ერთი ცალი, შასი – 10300922, ძრავი – 199388, საერთო ღირებულება 39.761.00. ლარი; 2. ტრაქტორი ბელარუსი – 1025 ერთი ცალი, შასი – 10300914, ძრავი – 199915, საერთო ღირებულება 39.761.00 ლარი; 3. ტრაქტორი ბელარუსი – ერთი ცალი, შასი – 05709254, ძრავი – 687535, საერთო ღირებულება 24.763.00 ლარი; 4. ფრთიანი გუთანა, მოდელი – 16-16X4, ერთი ცალი, შასი – 06.06.13, საერთო ღირებულება 6.062.00 ლარი; 5. ფრთიანი გუთანა, მოდელი – 16-16X2, ერთი ცალი, შასი – 06.06.17, საერთო ღირებულება 2.965.00 ლარი; 6. დისკებიანი ფარცხი, მოდელი 14, ერთი ცალი, შასი – 06.06.05, საერთო ღირებულება 2.790.00 ლარი; 7. ლაფეტი, მოდელი – თ 20, ერთი ცალი, შასი – 06.06.05, საერთო ღირებულება 25.616.00 ლარი; 8. როტარული ფრეზი, მოდელი ღთ 222, შასი – 06.06.10; საერთო ღირებულება 3.773.00 ლარი, სულ მთელი სასოფლო სამეურნეო ტექნიკა შეფასებულია 122.491.00 ლარად;

ყ) 2006 წლის 23 აგვისტოს შედგენილი იჯარა-გამოსყიდვის უფლებით შეძენილი სამი ტრაქტორი: მარკა «ბელარუსი 82.1», 3 ცალი (პასპორტის ნორებით №80825276, №80825904; №8082617) გუთანა (მარკა «პლან-3-353») 3 ცალი (ლოტი №12 – ... რაიონი) საპრივატიზაციო ღირებულება 60 000 აშშ დოლარი.

შ) ნ. ს-შვილის მიერ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 2005-ში» შეტანილი 12 00 (თორმეტი ათასი) აშშ დოლარი, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 2005-ს» საკუთრებაში არსებული მშენებარე უძრავი ქონების (მდებარე: ... რაიონი, სოფელი ...), მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში ბინის შესაძენად, საცხოვრებელი სახლის ბლოკი, სართული №5, ბინა №3, 68.3 კვ.მ ფართი.

ჩ) ნ. ს-შვილის მიერ 2004 წლის 8 სექტემბერს დაფუძნებული შპს «თ-ო», რომლის ერთადერთი დამფუძნებელი და დირექტორი იყო ნ. ს-შვილი და რომლის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2300 ლარს, შპს «თ-ო» მდებარე: ქ. ..., ... გამზირი 30».

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსამარტივებელი გადაწყვეტილებით დადგინდა სანოტარო აქტის ბათილად ცნობა კ. ს-შვილისათვის სამკვიდრო ქონების გადაცემის 1/7-ნაწილში ცალკეული ნივთების ასახვის გარეშე. მხარის მოთხოვნა, სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით განსაზღვროს 2007

წლის 4 აგვისტოს სანოტარო აქტით გათვალისწინებული კ. ს-შვილისათვის გადაცემული ქონების ჩამონათვალი, განპირობებულია გადაწყვეტილების აღსრულების ინტერესით და ამ თვალსაზრისით, საფუძვლიანია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიეთითოს 2007 წლის 4 აგვისტოს სანოტარო აქტით კ. ს-შვილისათვის გადაცემული ქონების ჩამონათვალი და განიმარტოს, რომ სანოტარო აქტი ბათილად იქნას ცნობილი დასახელებული ქონების 1/7-ის გადაცემის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კ. ს-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი არ იყო ბუნდოვანი. აღსანიშნავია, რომ სასამართლო ვერ გასცდებოდა მოსარჩელის მოთხოვნას, რაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენდა მხოლოდ 2007 წლის 4 აგვისტოს სანოტარო აქტის ბათილობას და ქონების მიკუთვნებას არ ეხებოდა. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი და იმდგვარად განმარტა გადაწყვეტილების მე-4 მუხლი, რომ მთლიანად შეცვალა მისი შინაარსი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. ს-შვილის კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეთა ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი ბუნდოვანია.

დასახელებული ნორმის თანახმად, სასამართლო განმარტავს გადაწყვეტილებას იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს ბუნდოვან ან ორაზროვან დებულებას, ამასთან, განმარტების საკითხი ორიენტირებული უნდა იყოს მისი აღსრულების ხელშეწყობაზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მართებულად დააკმაყოფილა ი.ს-შვილის მოთხოვნა 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების განმარტების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში გარკვევით არ იყო მითითებული, თუ რა ნაწილში გაბათილდა 2007 წლის 4 აგვისტოს გარიგება კ. ს-შვილისათვის სამკვიდროს გაზრდილი წილის მიკუთვნების თაობაზე და კონკრეტულად რომელი ქონების 1/7 წილზე იყო საუბარი, რასაც შესაძლოა მომავალში უზუსტობა გამოწვია ნ. ს-შვილის სამკვიდრო ქონების კუთვნილებასთან დაკავშირებით, თუმცა გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არასწორად ჩამოყალიბდა, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის დანაწესს ეწინააღმდეგება სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს ახალი სახით, ვინაიდან ამგვარი დებულება ცვლის სარეზოლუციო ნაწილის შინაარსს. შესაბამისად, ამ ნაწილში კ. ს-შვილის კერძო საჩივარი დასაბუთებულია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატას ზემოხსენებული გადაწყვეტილება იმდგვარად უნდა განემარტა, რომ კ. ს-შვილისათვის სამკვიდრო ქონების 1/7-ის მიკუთვნების ნაწილში 2007 წლის 4 აგვისტოს სანოტარო აქტის ბათილად ცნობაში იგულისხმებოდა სანოტარო აქტის ბათილად ცნობა კ. ს-შვილისათვის სააპელაციო პალატის მიერ მითითებული კონკრეტული ქონების 1/7-ის გადაცემის ნაწილში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

კ. ს-შვილის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 სექტემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი და ამავე პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების მე-4 პუნქტი განიმარტოს იმდგვარად, რომ 2007 წლის 4 აგვისტოს №2-119 სანოტარო აქტი ბათილად იქნა ცნობილი კ. ს-შვილისათვის შემდეგი ქონების 1/7 წილის მიკუთვნების ნაწილში:

ა) მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (შპს «ტ.პ.გ. ... სახლიდან») გარდაცვლილ ნ. ს-შვილის კუთვნილი 20% წილი, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ... რაიონის სოფ. ...; სარეგისტრაციო №... გაცემული 20. 07.2007 წ.

ბ) 93.8 ჰა მიწის ფართობზე მათ შორის 78 ჰა მიწის ფართობზე გაშენებული ვენახის, დასასვენებელი პარკი «ს-ო», დამხმარე ნაგებობის, 2498 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი, რომელიც მდებარეობს: ... რაიონი, სოფელი ... . სარეგისტრაციო №... გაცემული 16.07.2007 წ.

- გ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ..., ... ქ.№4 სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.
- დ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ..., ... ქ.№3 სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.
- ე) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ..., ... ქ.№5 სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.
- ვ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ..., ... ქ.№7 სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.
- ზ) საცხოვრებელი სახლი, მდებარე: ..., ... ქ.№1 სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.
- თ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე: ..., ... გამზირი. სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.
- ი) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე: ..., ... გამზირი; სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.
- კ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე: ..., ... გამზირი; სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.
- ლ) შ.პ.ს. «თ-ი» 1158 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მამკვიდრებელ ნ. ს-შვილის კუთვნილი 25% წილი, მდებარე: ..., ... გამზირი №2. სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.
- მ) შენობა-ნაგებობა ... კინოთეატრი, მდებარე: ..., ... მოედანი სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 6 ივლისს.
- ნ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე გაშენებული ვენახით, მდებარე: ... რაიონი, სოფელი ... სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 17 ივლისს.
- ო) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, გაშენებული ვენახით, მდებარე: ... რაიონი, სოფელი ...; სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 19 ივლისს.
- პ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე გაშენებული ვენახით, მდებარე: ... რაიონი, სოფელი ..., სარეგისტრაციო №... გაცემული 2007 წლის 17 ივლისს.
- ჟ) მიწის ფართი და შენობა-ნაგებობები (ყოფილი «მ-ს» შენობა) მდებარე ... გამზირი №30. სარეგისტრაციო №... გაცემული 17.07.2007 წ.
- რ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მდებარე ... რაიონში, (... საავტომობილო გზის 19 კმ-ზე, ხელმარცხნივ) სარეგისტრაციო №... გაცემული 13.07.2007 წ.
- ს) ... ტერიტორიაზე მდებარე მეძროხეობის ფერმა 500 კვ.მეტრი, დამაგრებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 195 ჰა. მიწის ნაკვეთზე საიჯარო ხელშეკრულებით მდებარე: ... რაიონი «ა-ს» მიდებარე ტერიტორია. სარეგისტრაციო №... გაცემული 12.07.2007 წ.
- ტ) ... ტერიტორიაზე მდებარე მეცხვარეობის №6 ბრიგადის ფერმა, 400 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო მიწასთან ერთად მდებარე ... რაიონის ტერიტორია «ტ-ი» სარეგისტრაციო №... გაცემული 06.07.2007წ.
- უ) სამოვარი «ი-2-ის» იჯარის უფლება, 300.0 ჰა მიწის ფართზე. ნ. ს-შვილთან იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 11.10.2002წ. ... რაიონის გამგეობის დადგენილებით №126, 49 წლის ვადით. მდებარე: ... რაიონი, სამოვარი «ი-ი», სარეგისტრაციო №... . გაცემული 06.07.2007წ.
- ფ) ავტომანქანა ტოიოტა «ლექსუსი», ქარხნიდან გამოშვების წელი – 2000 წელი, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო №..., ტრანსპორტის სარეგისტრაციო №... – 003, რეგისტრირებულია 30.05.2003 წელს, ... №0042787.
- ქ) გეცხლსასროლი იარაღი: 1. საიგა – მ – 3 სისტემის კარაბინი №00130122; 2) იჟ – 94 სისტემის კომბინირებული თოფი №019401576; 3) თთ – სისტემის პისტოლეტი თN 233; 4) ზიგ-ზაუერის სისტემის პისტოლეტი – 226 №1417; 5) ვინჩესტერი იმპერატ -12-ყ №27-784; 6) □□□-34 PEP№7560;
- ღ) განვადების უფლებით 2006 წლის 27 ივლისის თარიღით შედგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან შეძენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა: 1. ტრაქტორი ბელარუსი – 1025 ერთი ცალი, შასი – 10300922, ძრავი – 199388, საერთო ღირებულება 39.761.00. ლარი; 2. ტრაქტორი ბელარუსი – 1025 ერთი ცალი, შასი – 10300914, ძრავი – 199915, საერთო ღირებულება 39.761.00 ლარი; 3. ტრაქტორი ბელარუსი – ერთი ცალი, შასი – 05709254, ძრავი – 687535, საერთო ღირებულება 24.763.00 ლარი; 4. ფრთიანი გუთანა, მოდელი – 16-16X4, ერთი ცალი, შასი – 06.06.13, საერთო ღირებულება 6.062.00 ლარი; 5. ფრთიანი გუთანა, მოდელი – 16-16X2, ერთი ცალი, შასი – 06.06.17, საერთო ღირებულება 2.965.00 ლარი; 6. დისკებიანი ფარცხი, მოდელი 14, ერთი ცალი, შასი – 06.06.05, საერთო ღირებულება 2.790.00 ლარი; 7. ლაფეტი, მოდელი – თ 20, ერთი ცალი, შასი – 06.06.05, საერთო ღირებულება 25.616.00 ლარი; 8. როტარული ფრეზი, მოდელი ღთ 222, შასი – 06.06.10; საერთო ღირებულება 3.773.00 ლარი, სულ მთელი სასოფლო სამეურნეო ტექნიკა შეფასებულია 122.491.00 ლარად;
- ყ) 2006 წლის 23 აგვისტოს შედგენილი იჯარა-გამოსყიდვის უფლებით შეძენილი სამი ტრაქტორი: მარკა «ბელარუსი 82.1», 3 ცალი (პასპორტის ნორმებით №80825276, №80825904; №8082617) გუთანა (მარკა «პლენ-3-35») 3 ცალი (ლოტი №12 – ... რაიონი) საპრივატიზაციო ღირებულება 60 000 აშშ დოლარი.

შ) ნ. ს-შვილის მიერ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 2005-ში» შეტანილი 12 00 აშშ დოლარი, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «... 2005-ს» საკუთრებაში არსებული მშენებარე უძრავი ქონების (მდებარე: ... რაიონი, სოფელი ...), მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში ბინის შესაძენად, საცხოვრებელი სახლის ბლოკი, სართული №5, ბინა №3, 68.3 კვ.მ ფართი.

ჩ) ნ. ს-შვილის მიერ 2004 წლის 8 სექტემბერს დაფუძნებული შპს «თ-ო», რომლის ერთადერთი დამფუძნებელი და დირექტორი იყო ნ. ს-შვილი და რომლის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2300 ლარს, შპს «თ-ო» მდებარე: ქ. ..., ... გამზირი 30.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სასამართლო უწყების გაგზავნა-ჩაბარება

### განჩინება

№ას-150-142-10

13 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ჯ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «ქართული ფილმის» მიმართ სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ჯ-იას სარჩელი მოპასუხე სს „ქართული ფილმის“ მიმართ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე 14 000 ლარისა და დაყოვნებული თანხის – 0.07%-ის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდ გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა მ. ჯ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის განჩინებით მ. ჯ-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება მოსარჩელე მ. ჯ-იას 2-ჯერ გაეგზავნა სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ 2009 წლის 12 დეკემბრის შეტყობინების ბარათით დგინდება, რომ ადერსატი მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს, ბინის გაყიდვის გამო. მას მისამართის შეცვლის თაობაზე სასამართლოსათვის არ უცნობებია.

იმის გათვალისწინებით, რომ, სსკ-ის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, წლებით, თვეებით, ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, კონკრეტულ შემთხვევაში გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2009 წლის 13 დეკემბერს და ამოიწურა 2009 წლის 28 დეკემბერს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარი წარდგენილია 2010 წლის 4 იანვარს.

ამდენად, აპელანტის მიერ გაშვებულ იქნა გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა. აღნიშნული გარემოება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, მისი განუხილველად დატოვების საფუძველია.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ჯ-იამ. მან მიუთითა, რომ არასწორია სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ თითქოს მას რამდენჯერმე გაეგზავნა სასამართლოს გადაწყვეტილება და არ ჩაჰბარდა, ვინაიდან ადერსატი მითითებულ მისამართზე აღარ ცხოვრობს ბინის გაყიდვის გამო. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით კი იგი დღემდე ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე და მას ბინა არ გაუყიდა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ მ. ჯ-იას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების

გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლოს სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდა ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი ნორმის თანახმად სასამართლო უწყება ჩაბარებულად ითვლება თუ იგი ჩაბარდა ან მხარეს ან მის წარმომადგენელს, ანუ ერთ-ერთ მათგანს.

დადგენილია, რომ მ. ჯ-იას მიერ მითითებულ ცნობილ მისამართზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილება გაეგზავნა ორჯერ და ორჯერვე მოსარჩელე მ. ჯ-იას მიერ მითითებულ მისამართზე ვერ ჩაჰბარდა ამ უკანასკნელს.

კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრების 14 დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2009 წლის 13 დეკემბერს და ვადა ამოწურულად ჩათვალა 2009 წლის 28 დეკემბერს. მ. ჯ-იამ კი სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2010 წლის 4 იანვარს, რის გამოც სასამართლომ გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი 14 -დღიანი ვადა გაშვებულად ჩათვალა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული ნორმის თანახმად სასამართლო უწყება მ. ჯ-იას გაეგზავნა ორჯერ მის მიერ მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისი, ... ბ. №28. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მ. ჯ-იას არ ჰქონდა მითითებული ალტერნატიული, სხვა მისამართი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლის თანახმად, სასამართლო უწყება მხარეს ჰბარდება მის მიერ მითითებულ მისამართზე, რომელიც შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი (ფაქტობრივი) ადგილსამყოფელი. ასევე შეიძლება ჩაჰბარდეს მის მიერ მითითებულ ალტერნატიულ მისამართზე ან სამუშაო ადგილის მიხედვით. აღნიშნული მუხლის ბოლო წინადადებაში მითითებულია, რომ უწყება შეიძლება ჩაჰბარდეს მხარეს ზემოთ მითითებულის გარდა სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართის მიხედვით, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არ ბარდება სასამართლო უწყება მხარეს მის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართისა და სამუშაო ადგილის მიხედვით, სასამართლო აბარებს მხარეს უწყებას სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლოსთვის მხარის მისამართი შეიძლება ცნობილი იყოს საქმის მასალებიდან გამომდინარე. მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებობს რწმუნება, რომლის თანახმად მ. ჯ-იამ რწმუნება გასცა ლ. ა-შვილისა და შ. ძ-ძის მიმართ. აღნიშნულ რწმუნებაში არის მათი საიდენტიფიკაციო მონაცემები, მათ შორის მისამართი. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მათ მისამართზეც უნდა გაეგზავნა გადაწყვეტილება, რაც არ გაუკეთებია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო უზრუნველყოფს მოქალაქის კონსტიტუციით მინიჭებულ სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას. სასამართლო ვალდებულია, კანონმდებლობით მინიჭებული ყველა შესაძლებლობის გამოყენებით არ დაარღვიოს მხარის უფლება, უზრუნველყოს სასამართლო გადაწყვეტილებების გასაჩივრება.

კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ ვერ უზრუნველყო მხარისათვის სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარება და ჩაბარებულად ჩათვალა გადაწყვეტილება ისე, რომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უწყების ჩაბარების ყველა შესაძლებლობა, რითაც დაირღვა მხარის უფლება სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი საფუძვლიანია, რის გამოც უნდა გაუქმდეს მოცემულ საქმეზე გასაჩივრებული განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. ჯ-იას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 იანვრის განჩინება და საქმე დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სასამართლო უწყების გაგზავნა-ჩაბარება

### განჩინება

№ას-202-189-2011

14 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. პ-ოვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. კ-ძის მიმართ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2010 წლის 18 იანვარს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად ლ. კ-ძემ მას ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიაყენა. აღნიშნული შემთხვევის შედეგად მოსარჩელემ მიიღო ქალა-ტვინის ტრავმა, რის შემდეგაც, ჩატარებული აქვს ტრავმატოლოგის, ქირურგის, ნერვოპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის კონსულტაციები. ასევე მიღებული აქვს მედიკამენტები, რომლებიც შექმნილია მისი მიერ. მოსარჩელის მითითებით, აღნიშნული საგზაო შემთხვევის შედეგად მას 500 ლარის ოდენობით მატერიალური და 1 000 ლარის ოდენობით მორალური ზიანი მიადგა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. პ-ოვას სარჩელი მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 იანვრის განჩინებით ნ. პ-ოვას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად აპელანტის გამოუცხადებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. პ-ოვამ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

განჩინებაში აპელანტის გამოუცხადებლობის მიზეზად მითითებულია – «აღნიშნული პიროვნება მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს». კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, აღნიშნულ მისამართზე იგი უკვე 42 წელია ცხოვრობს და კურიერმა სასამართლო უწყება შეცდომით მიიტანა ... ქ. №106ა-ში მდებარე ბინა №39-ში. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, იგი ცხოვრობს არა 106ა-ში, არამედ 106-ში. ნ. პ-ოვამ ასევე მიუთითა, რომ, კურიერის დაუდევრობის გამო იგი სასამართლოზე ვერ გამოცხადდა და ვერ დაიცვა თავისი ინტერესები.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. პ-ოვას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი.

მოცემულ შემთხვევაში უწყება გაეგზავნა ნ. პ-ოვას მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე, თუმცა მას ვერ გადაეცა შეტყობინება იმ მიზეზით, რომ ადრესატი აღარ ცხოვრობს მოცემულ მისამართზე. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ დასაბარებელი პირი ცხოვრობდა მოცემულ მისამართზე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, ფაქტობრივად აქ აღარ ცხოვრობს. კერძოდ, როგორც გზავნილზე იყო მითითებული, ადრესატი სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით, ხოლო ამავე კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია, რომ, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. მოცემული მუხლი კი ითვალისწინებს, რომ, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ



ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით, ერთხელ მაინც, იმავე ან სასამართლო-სათვის ცნობილ სხვა მისამართზე.

საქმეში წარმოდგენილ 2011 წლის 5 იანვრის შეტყობინების ბარათში აღნიშნულია, რომ «ამ მისამართზე ცხოვრობს ყ-ძე». ხოლო მეორე გაგზავნისას, იმავე წლის 13 იანვრის შეტყობინების ბარათზე მითითებულია, რომ ადრესატი «აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობს». ამდენად, აპელანტს ორჯერ გაეგზავნა შეტყობინება მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე და ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე იგი ჩაბარებულად ითვლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას კურიერის მიერ შეტყობინების ბარათზე დაფიქსირებული ინფორმაციის უსწორობაზე, კერძოდ, იმის შესახებ, რომ ნ. პ-ოვას შეტყობინების ბარათზე მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლოს ავალდებულებს, მხარეს გაუგზავნოს შეტყობინება მის მიერ საქმეში მითითებულ მისამართზე. მოცემულ შემთხვევაში ზემოაღნიშნული ვალდებულება სასამართლოს მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 70-ე-78-ე მუხლები) არის შესრულებული, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება კანონიერია.

რაც შეეხება ფოსტის თანამშრომლის მიერ ვალდებულების არასწორად განხორციელებას აღნიშნული ფოსტის მართლსაწინააღმდეგო ქმედების (დელიქტი) შედეგად სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება იყოს, რაც ცალკე დავის საგანს წარმოადგენს და საკასაციო სასამართლო, დავას იხილავს რა კერძო საჩივრის ფარგლებში, ამ მიმართებით მხარეთა ქმედების შეფასებას ვერ მოახდენს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე-420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. პ-ოვას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სასამართლო უწყების გაგზავნა-ჩაბარება**

### **განჩინება**

ას-376-356-2011

19 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი,  
ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** სასამართლო შეტყობინება და დაბარება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2010 წლის 26 ოქტომბერს კ. გ-ამ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ზუგდიდის მე-... საჯარო სკოლის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით კ. გ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება კ. გ-ამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 თებერვლის განჩინებით, სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, კ. გ-ას სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

აღნიშნული განჩინება კ. გ-ამ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. მისი მითითებით, იგი სასამართლო სხდომის შესახებ სათანადო წესით გაფრთხილებული არ ყოფილა. სხდომის თაობაზე ეცნობა ადვოკატ ფ. კ-იას, რომლის სახელზე გაცემული მინდობილობა საქმეში იყო წარმოდგენილი, თუმცა, რეალურად, მის ინტერესებს ადვოკატი მ. კ-ია იცავდა. გარდა ამისა, ფ. კ-იას სატელეფონო შეტყობინებით სასამართლო სხდომის დღედ 11 და არა 10 თებერვალი აცნობეს. ადვოკატი მ. კ-ია 11 თებერვალს გამოცხადდა ქუთაისის სააპელაციო სა-

სამართლოში, მაგრამ მოსამართლის თანაშემწესთან სატელეფონო საუბრის შედეგად გაარკვია, რომ სხდომა ჩატარდა 10 თებერვალს და მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ კ. გ-ას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ იგი გაფრთხილებული არ ყოფილა სასამართლო სხდომის თაობაზე.

საქმეში წარმოდგენილი ტელეფონით სასამართლოში დაბარების შესახებ აქტით ირკვევა, რომ სასამართლოს მთავარი სხდომის თაობაზე ეცნობა კ. გ-ას წარმომადგენელს – ფ. კ-იას.

კერძო საჩივრის ავტორი უთითებს, რომ, რეალურად, მის ინტერესებს ორდერის საფუძველზე იცავდა მ. კ-ია. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებთ ეცნობება სასამართლო სხდომის დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ მხარეს რამდენიმე წარმომადგენელი ჰყავს, სასამართლო უწყება ჩაბარებულად ითვლება ერთ-ერთი მათგანისათვის ჩაბარების შემთხვევაშიც. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი იყო ფ. კ-იას სახელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც ძალაში იყო და რომლის მიხედვით, ამ უკანასკნელს სააპელაციო ინსტანციაში მხარის ინტერესების დაცვის უფლებამოსილება ჰქონდა მინიჭებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილი იყო სასამართლო სხდომის თაობაზე მხოლოდ ფ. კ-იასათვის ეცნობებინა.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ მის წარმომადგენელს არასწორად შეატყობინეს სასამართლო სხდომის თარიღი, საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ იმავე აქტის მიხედვით, მოსამართლის თანაშემწემ ფ. კ-იას 2011 წლის 10 თებერვლის სასამართლო სხდომის შესახებ აცნობა, ხოლო იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ მხარეს სხვა თარიღი ეცნობა და არა ის, რაც აქტშია დაფიქსირებული, კერძო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია. სასამართლოს მოხელის მიერ შედგენილ აქტში მითითებული მონაცემების უსწორობა კი, მხარის მხოლოდ სიტყვიერი განმარტების საფუძველზე ვერ დადასტურდება. მოცემულ შემთხვევაში, კ. გ-ას შეეძლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსაგან გამოეთხოვა სატელეფონო შეტყობინების აუდიოჩანაწერი, საიდანაც ნათლად გაირკვეოდა, რა თარიღი ეცნობა მის წარმომადგენელს. აღნიშნული კი, მხარეს არ განუხორციელებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კ. გ-ას კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 410-ე, 70-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

- კ. გ-ას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 10 თებერვლის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სასამართლო უწყების გაგზავნა-ჩაბარება**

**განჩინება**

№ას-1419-1434-2011 7 ნოემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** უძრავი ქონების 1/2 წილის მესაკუთრედ ცნობა და მასზე მოპასუხის უფლების გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2011 წლის 17 თებერვალს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა რ. ჟ-მა მოპასუხე ზ. ჟ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის საკუთრებად რეგისტრირებული, წყალტუბოს რაიონის სოფელ მ-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 წილის მესაკუთრედ ცნობა და აღნიშნულ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების გაუქმება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით რ. ჟ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ჟ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 აგვისტოს განჩინებით რ. ჟ-ის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივარი სააპელაციო სასამართლოს წარედგინა ხარვეზით, კერძოდ, აპელანტს არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი; არსებული ხარვეზის შესავსებად აპელანტს, 2011 წლის 30 ივნისის განჩინებით განესაზღვრა ვადა, განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღე და განემარტა, რომ თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზს არ შეავსებდა სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად; ხარვეზის შესახებ განჩინება აპელანტ რ. ჟ-ს გაეგზავნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, მის მიერ მითითებულ მისამართზე: წყალტუბოს რაიონის სოფელ მ-ში; დასახელებული მისამართიდან გზავნილი დაბრუნდა ჩაუბარებელი სახით, შემდეგი მინაწერით: «გამგეობის თანამშრომლის განმარტებით პიროვნებას მისამართზე სახლი აქვს გაყიდული. 13.07.2011».

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლიდან გამომდინარე, რ. ჟ-ს ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაბარდა 2011 წლის 13 ივლისს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხარვეზის შევსებისათვის აპელანტს ვადა ჰქონდა 2011 წლის 18 ივლისამდე, რა ვადაშიც მას ხარვეზი არ შეუვსია.

იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტს სასამართლოს განჩინება ხარვეზის შევსების თაობაზე ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით, თუმცა ხარვეზი შევსებული არ ყოფილა, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის შესაბამისად რ. ჟ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა რ. ჟ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი. საქმის მასალების არასწორი შეფასების შედეგად სასამართლომ გააკეთა არასწორი დასკვნები საქმის წარმოების პერიოდში მის მიერ სასამართლოსათვის მისამართის მიუწოდებლობის თაობაზე. სასამართლოში დავის მიმდინარეობის პერიოდში აპელანტს მისამართი არ შეუცვლია. სარჩელში, ისევე როგორც სააპელაციო საჩივარში იგი მიუთითებდა მის მისამართს: წყალტუბოს რაიონი, სოფელი მ-ი, სადაც არის რეგისტრირებული პირადობის მოწმობის მიხედვით. ამავედროულად, აპელანტი მიუთითებდა ალტერნატიულ მისამართს: ქ.ქუთაისი, ა-ის ქუჩის №1/40. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს ყველა კორესპონდენცია გაგზავნილია სწორედ ამ უკანასკნელ მისამართზე. იმ ფაქტს, რომ რ. ჟ-ს სარჩელში ორი მისამართი ჰქონდა მითითებული, ხელი არ შეუშლია სასამართლოსათვის მისთვის სხვადასხვა სახის კორესპონდენციის ჩაბარებაში. გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად გაიზიარა გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათზე არსებული მინაწერი მისი კუთვნილი სახლის გაყიდვის შესახებ. საქმე იმაშია, რომ ბარათის შინაარსის მიხედვით არ ირკვევა, კონკრეტულად ვინ განაცხადა რ. ჟ-ის სახლის გაყიდვის ფაქტის შესახებ, ამასთან, ეს განაცხადი არ დასტურდება ხელის მოწერით და არც ის დასტურდება, თუ ვის ეკუთვნის ბარათზე არსებული ხელმოწერა. კერძო საჩივრის ავტორი ყურადღებას მიაქცევს ასევე იმ გარემოებაზე, რომ მას ჰყავს წარმომადგენელი ნ.ალფაიძე, რომლის სახელზე გაცემული რწმუნებულებაც დღეისათვის ძალაშია. თუკი სასამართლომ ვერ გაიგო აპელანტის მისამართი, იგი ვალდებული იყო განჩინება ხარვეზის შესახებ გაეგზავნა აპელანტის რწმუნებულისათვის, რომლის საცხოვრებელი ადგილიც მითითებულია რწმუნებულებაში. სააპელაციო სასამართლომ

წარმომადგენელ ნ.ალფაიძეს გაუგზავნა მხოლოდ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება, რაც არასწორია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ჟ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 აგვისტოს განჩინება და რ. ჟ-ის სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის განჩინებით აპელანტ რ. ჟ-ს მიეცა 5 დღის ვადა სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად, კერძოდ, მას დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 1291 ლარის ოდენობით. აღნიშნული განჩინება აპელანტს გაეგზავნა სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე – წყალტუბოს რაიონი, სოფელი მ-ი. სასამართლო გზავნილი სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნდა უკან ჩაუბარებელი სახით. გზავნილის ჩაუბარებლობის მიზეზად მითითებულია იმ გარემოებაზე, რომ ადრესატს სახლი გაყიდული აქვს.

დადგენილია ასევე, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარში მიუთითა როგორც მისი ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი) – წყალტუბოს რაიონი, სოფელი მ-ი, ასევე ალტერნატიული მისამართი – ქ.ქუთაისი, ... ქ.№1/40. მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს წარმოებით დგინდება, რომ მოსარჩელე რ. ჟ-ისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება ხორციელდებოდა სარჩელეში მის მიერ მითითებულ ალტერნატიულ მისამართზე. სხვა შემთხვევაში, საქალაქო სასამართლომ სასამართლო სხდომის დროსა და ადგილის შესახებ რ. ჟ-ის ინფორმირება მოახდინა ტელეფონის მეშვეობით, რის შესახებაც საქმეში წარმოდგენილია შესაბამისი ტელეფონოგრამა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლო უწყება ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩააბარდა 73-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. 73-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილი ითვალისწინებს, რომ თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის შინაარსი, რომელიც უწყების ადრესატისათვის ჩაუბარებლობის პირობებში სასამართლოს მისთვის ცნობილ სხვა მისამართზე უწყების გაგზავნას ავალდებულებს, იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართში უწინარესად იგულისხმება თავად მხარის მიერ მითითებული ალტერნატიული მისამართი, მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც ალტერნატიულ მისამართზე სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარება მანამდე შესაძლებელი იყო. სხვაგვარად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შინაარსი აზრს დაკარგავს და სარჩელეში (სააპელაციო საჩივარში) მხარის მიერ ალტერნატიული მისამართის დასახელებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება. ასეთ შემთხვევაში არსებობს ალბათობა იმისა, რომ სასამართლომ ვერ შეძლოს გზავნილის მხარისათვის ჩაბარება.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ განჩინება სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ გაგზავნილია აპელანტის მიერ დასახელებულ მხოლოდ ძირითად მისამართზე, მაშინ როდესაც მან მიუთითა მისი ალტერნატიული მისამართიც. ამასთან, საქმეში მოიპოვებოდა რ. ჟ-ის ტელეფონის ნომერი, რაც დამატებით იძლეოდა მისი ინფორმირების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 აგვისტოს განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. ჟ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 15 აგვისტოს განჩინება და საქმე რ. ჟ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სასამართლო უწყების გაგზავნა-ჩაბარება

### განჩინება

№ას-1690-1674-2011

9 იანვარი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების ბათილად ცნობა, ნოტარიუსის დავალდებულება სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე

#### აღწერილობითი ნაწილი:

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით პ. მ-ის სარჩელი მოპასუხე ნოტარიუს ე. ო-ის მიმართ, რომლითაც მან მოითხოვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების ბათილად ცნობა და სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე ნოტარიუსის დავალდებულება, არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება პ. მ-მა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით პ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლზე, რომელიც ამავე კოდექსის 372-ე მუხლის საფუძველზე გამოიყენება სააპელაციო წესით საქმის განხილვისას. ამ ნორმის მიხედვით, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტს უწყება გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე. საქმეში წარმოდგენილი შპს «ს.კ.ს-ს» ადმინისტრატორ ზ.ნ-ის 2011 წლის 5 ოქტომბრის აქტის თანახმად, ადრესატი სახლში არ იმყოფებოდა მაცხოვრებლების განმარტებით, პ. მ-ი არ იმყოფებოდა საქართველოში, იგი წასული იყო რუსეთის ფედერაციაში. გარდა ამისა, მოსამართლის თანაშემწის 2011 წლის 26, 28, 30 სექტემბრის, ასევე, 4 ოქტომბრის აქტებით სატელეფონო შეტყობინების თაობაზე, ირკვეოდა, რომ პ. მ-თან კავშირი ვერ შედგა ტელეფონის დროებით გამორთულობის გამო. რაც შეეხებოდა მოწინააღმდეგე მხარეს – ე. ო-ეს, მას უწყება ჩაბარდა 2011 წლის 26 სექტემბერს, რაც დასტურდებოდა საქმეში არსებული 2011 წლის 26 სექტემბრის აქტით სატელეფონო შეტყობინების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.

ზემოთითებულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა პ. მ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსათვის მისი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების დავალდება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო აუცილებელი გახდა მისი გამგზავრება სომხეთის რესპუბლიკაში სამკურნალოდ. სწორედ ამ მიზეზით, 2011 წლის 19 აგვისტოს, მან განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, რა დროსაც ითხოვა, რომ მკურნალობისათვის სჭირდებოდა გარკვეული დრო და ამიტომ, არ ჩაენიშნათ საქმის განხილვა 2011 წლის ოქტომბრის ბოლომდე. ამავდროულად, აპელანტმა კუთვნილი ტელეფონი ჩართო როუმინგულ მომსახურე-

ბაზე. როგორც გამოირკვა მის მიერ გაგზავნილ განცხადებაზე, ფოსტამ არასწორად მიუთითა სასამართლოს მისამართი, კერძოდ, მიუთითა უზენაესი სასამართლოს მისამართი. აქედან გამომდინარე, სომხეთის რესპუბლიკაში აპელანტის გამგზავრების შემდეგ მისი განცხადება დაბრუნებულა უკან. 3. მ-ი სომხეთიდან დაბრუნდა 2011 წლის 5 ოქტომბერს, რაც დასტურდება მისი პასპორტით, მაგრამ 5 ოქტომბერს აპელანტთან არავინ მისულა და არ ჩაუბარებია არანაირი უწყება. საქმეზე არ დგინდება, თუ კონკრეტულად ვინ განუცხადა კურიერს იმის თაობაზე, რომ ის იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციაში, კურიერი ვალდებული იყო კონვერტზე გაეკეთებინა ასეთი აღნიშვნა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ 3. მ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ელი და მე-3 ნაწილების თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის მიხედვით, თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდება არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. ამავე კოდექსის 275-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა.

გასაჩივრებული განჩინებით 3. მ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას საფუძვლად დაედო სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის სხდომაზე მხარეთა, მათ შორის, აპელანტის (კერძო საჩივრის ავტორის) გამოუცხადებლობა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით მოწვეულნი იყვნენ საქმის განხილვაში. კერძოდ, საქმის მასალებით დგინდება, რომ აპელანტს კანონით დადგენილი წესით, სააპელაციო საჩივარში მის მიერ მითითებულ მისამართზე (ქ.ახალქალაქი, ნ-ის 64) გაეგზავნა სასამართლო უწყება, რომელიც მას ატყობინებდა სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე, თუმცა აპელანტისათვის უწყების ჩაბარება ვერ მოხერხდა. კერძოდ: შპს «ს.კ.ს-ს» ადმინისტრატორ ზ. ნ-ის 2011 წლის 5 ოქტომბრის აქტის თანახმად, ადრესატი სახლში არ იმყოფებოდა, მეზობლების განმარტებით, 3. მ-ი არ იმყოფებოდა საქართველოში, იგი წასული იყო რუსეთის ფედერაციაში, ამიტომ მისთვის გზავნილის ჩაბარება ვერ მოხერხდა. მოსამართლის თანაშემწის 2011 წლის 26 სექტემბრის, 28 სექტემბრის, 30 სექტემბრის და 4 ოქტომბრის აქტებით სატელეფონო შეტყობინების თაობაზე, ირკვევა, რომ 3. მ-თან, მის მიერ მითითებული მობილური ტელეფონის ნომერზე, სატელეფონო კავშირი ვერ შედგა იმის გამო, რომ ტელეფონი დროებით იყო გამორთული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში აპელანტისათვის უწყება ჩაბარებულად უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმად, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

განსახილველ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორი თავად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ იგი სამკურნალოდ გაემგზავრა სომხეთის რესპუბლიკაში და, შესაბამისად, დროებით არ იმყოფებოდა სააპელაციო საჩივარში მის მიერ მითითებულ მისამართზე. ასეთ შემთხვევაში, აპელანტს ეკისრებოდა ვალდებულება სასამართლოსათვის ეცნობებინა მის მიერ მითითებული მისამართიდან საზღვარგარეთ გამგზავრების თაობაზე. საქმის მასალებით ირკვევა და კერძო საჩივრის ავტორიც არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ მისი განცხადება საქმის განხილვის გადადების თაობაზე სააპელაციო სასამართლოს არ ჩაბარებია. აქედან გამომდინარე, სასამართლო უყება აპელანტისათვის ჩაბარებულად უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს ასევე აპელანტისათვის უწყების ჩაბარებულად მიჩნევის საფუძველი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე და 73-ე მუხლების შესაბამისად. კერძოდ: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71.2 მუხლის მიხედვით, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაბარდა ამ კოდექსის 73.1<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. ამავე კოდექსის 73.1 მუხლის მიხედვით, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტის ან კურიერის მეშვეობით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება, და არ არის ვალდებული, დაიცვას

თანმიმდევრობა. ამავე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის თანახმად კი, თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატი-სათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს სასამართლოში დაბარების ფორმებს, კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დევეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ამ კოდექსის 72-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული საკითხები, რა დროსაც დგება აქტი, რომელიც ჩაეკერება საქმეში. აქტს ადგენს სასამართლოს შესაბამისი მოხელე.

ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო უწყება შეიძლება გაიგზავნოს ტექნიკური საშუალებით, მათ შორის, ტელეფონით. ტელეფონით დაბარების შემთხვევაში უწყების ჩაბარება დასტურდება ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ შედგენილი აქტით (სსკ-ის 73.2 მუხლის «ა» ქვეპუნქტი).

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტი სასამართლოში დაბარებული იყო როგორც ფოსტის მეშვეობით, ასევე ტექნიკური საშუალებით, კერძოდ, ტელეფონის მეშვეობით, ამასთან, არაერთხელ. ამდენად, სასამართლო უწყება აპელანტისათვის ჩაბარებულად უნდა ჩაითვალოს ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე და 73-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა განუხილველად ჰ. მ-ის სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ჰ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სასამართლო უწყების გაგზავნა-ჩაბარება**

#### **განჩინება**

№ას-451-421-2011

16 მაისი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**პ. ქათამაძე,**

**ბ. ალაგიძე**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

უ. ჯ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. კ-ის, ნ. ბ-ის, დ. კ-ის, მ. ბ-ისა და ლ. დ-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი დასაბუთებით: 2002 წლის 10 ოქტომბერს უ. ჯ-ს, ა. მ-სა და გ. ხ-ს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. 2002 წლის 12 დეკემბერს გ. ხ-მა ნ. ბ-ესა და დ. კ-ეს იპოთეკარის უფლება-მოვალეობები დაუთმეს 4920 აშშ დოლარის ნაწილში. დ. კ-ემ და ნ. ბ-ემ გ. ხ-ს ერთობლივად გადაუხადეს 4920 აშშ დოლარი, თუმცა ახალ გარიგებაში უ. ჯ-ს ვალდებულება დაფიქსირდა გაზრდილი ოდენობით. 2003 წლის ივნისში ნ. ბ-ემ და დ. კ-ემ მოსარჩელეს შესთავაზეს ახალი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების შედგენა. აღნიშნულის მიუხედავად, 2002 წლის 12 დეკემბერს ჯერ გაფორმდა შეთანხმება სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, ხოლო 2003 წლის 16 ივნისს უ. ჯ-სთან დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მოსარჩელემ თავის საკუთრებაში არსებული, 50000 ლარად შეფასებული საცხოვრებელი ბინა გაასხვისა 12840 აშშ დოლარად. მოსარჩელის განმარტებით, მ. კ-ე, ნ. ბ-ე და დ. კ-ე ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწი-

ლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში. დადგენილია მოპასუხეთა მიერ მოსარჩელის ქონების მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების ფაქტი, რაც დადასტურებულია ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ აღმრული სისხლის სამართლის საქმის მასალებით და საბოლოოდ განაჩენით, რომელსაც უნდა მიენიჭოს პრეიუდიციული ძალა.

მოპასუხეებმა ლ. დ-მა და მ. ბ-მა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი განაჩენების მიხედვით, სისხლის სამართალწარმოებაში დადგენილად იქნა ცნობილი უ. ჯ-ს ბინის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრება ნ. ბერიძის მიერ მ. კ-ისა და დ. კ-ის ხელშეწყობით. ისინი მოსარჩელის ქონებას მართლსაწინააღმდეგოდ არ დაუფლებიან. განაჩენებით არ არის დადგენილი ლ. ბ-ისა და მ. დ-ის დანაშაულებრივი კავშირი სხვა მოპასუხეებთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილებით უ. ჯ-ს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. კ-ემ და ნ. ბ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 მარტის განჩინებით დ. კ-ისა და ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივრები დარჩა განუხილველად. დადგენილია, რომ მოპასუხეებს, ნ. ბ-ესა და დ. კ-ეს, სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ეცნობათ გადაწყვეტილება უ. ჯ-ს სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ბ-ისა და დ. კ-ისათვის გადაწყვეტილება ჩაბარებულად ითვლება 2010 წლის 20 ოქტომბერს, გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს და გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლაც იწყება 2010 წლის 21 ოქტომბრიდან, 14-დღიანი საპროცესო ვადა ამოიწურა 2010 წლის 3 ნოემბერს, ანუ სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება აპელანტებს გააჩნდათ 2010 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით. დ. კ-ემ და ნ. ბ-ემ სააპელაციო საჩივრები წარადგინეს 2011 წლის 22 თებერვალს, კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე და 374-ე მუხლების საფუძველზე, პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტებმა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა დაარღვიეს და იგი უნდა დარჩეს განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ბ-ემ და დ. კ-ემ და მოითხოვეს მისი გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები ადგენენ მხარის შეტყობინების წესს, მათ შორის საჯაროდ გამოცხადების წესს. აღნიშნული წესებით საჯაროდ გამოცხადება, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეს ვერ ჰხარდება უწყება, შეტყობინება და სხვა მასალები მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლი მოპასუხის მისამართის მითითებას ავალებს მოსარჩელეს, მოსარჩელის მიერ მოპასუხეთა საცხოვრებელი ადგილი მითითებულია არასწორად, კერძოდ: ნ. ბ-ეს საცხოვრებელი ბინა გახლავთ №6 და არა №2. აქვე აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ერთი შეხედვით დამთხვევისა, ეს ბინები მდებარეობს სხვადასხვა შენობებში და მეზობლები არ იცნობენ ერთმანეთს, რაც გამოწვეულია იმით, რომ შპს „... ..“ ახორციელებს საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას, რის გამოც დარღვეულია დანომრვა.

დ. კ-ე კი, ბოლო 5-6 წელია მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს. ამასთან, მოპასუხისათვის განკუთვნილი გზავნილები იგზავნებოდა ისევ მოსარჩელის მისამართზე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კერძო საჩივრის ავტორებს მიაჩნიათ, რომ დაუშვებელი იყო საჯაროდ გამოცხადება. გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაიწყოს არა გამოცხადების დღიდან, არამედ იმ მომენტიდან, როცა მხარემ სააპელაციო სასამართლოში ჩაიბარა საქმის მასალები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამის სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამის სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.



სააპელაციო პალატამ დადგინდა, რომ ნ. ბ-ეს და დ. კ-ეს გადაწყვეტილება ჩაჰბარდათ 2010 წლის 20 ოქტომბერს, გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. დ. კ-ემ და ნ. ბ-ემ სააპელაციო საჩივრები წარადგინეს 2011 წლის 22 თებერვალს, კანონით დადგინილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული მისამართის მიხედვით. ამავე კოდექსის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად მოსარჩელე ვალდებულია ზუსტად მიუთითოს სარჩელში საკუთარი, მოპასუხის, მოწმის ასევე სხდომაზე მოსაწვევი პირის მისამართები.

საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორების მოსაზრებას და განარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმები სასამართლოს ავალდებულებს, მოპასუხეს გაუგზავნოს შეტყობინება მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მისამართის მითითების სისწორეზე პასუხისმგებლობა მხარეს აკისრია, რაც იმას ნიშნავს, რომ მისამართის არასწორად მითითებით გამოწვეული უარყოფითი საპროცესო შედეგი მხარემ უნდა იტვირთოს. მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დასტურდება, რომ კერძო საჩივრის ავტორებს (მოპასუხეებს) სასამართლო გზავნილი არაერთხელ გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისამართზე კერძოდ: ნ. ბ-ეს თბილისში, ... №78-ში ბინა №2-ში, დ. კ-ეს კი თბილისში, ... მე-8 კორპუსის, მე-2 სადარბაზო, ბინა ...-ში) საქალაქო სასამართლოში დაბრუნებული გზავნილის ფურცელზე მისი ჩაუბარებლობის მიზეზად მითითებულია, რომ დ. კ-ემ გაყიდა ბინა, ხოლო ნ. ბ-ე მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს. ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ნ. ბ-ის სახელზე გაგზავნილი იმ გზავნილში, რომელიც ასევე ჩაუბარებლობის მოტივით დაბრუნდა და სასამართლოს მიერ საჯარო გამოცხადების საფუძველი გახდა, მითითებულია მოსარჩელის მისამართი – თბილისი, ... ქ. №3 ბინა №7. ის გარემოება, რომ დ. კ-ე მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს დადასტურებულია საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებითაც.

ზემოთმითითებული ფაქტობრივი გარემოებები ექვეყნებ აყენებს მხარისათვის გზავნილის (სასამართლო გადაწყვეტილების) სწორ მისამართზე გაგზავნას და შეტყობინების საჯაროდ გავრცელების კანონით გათვალისწინებული წინაპირობების უტყუარად არსებობას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გავალისწინებით, საკასაციო პალატას ასკვნის, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს. სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას მხედველობაში უნდა მიიღოს ზემოთმითითებული გარემოებები და შესაბამისად გადაწყვიტოს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. ბ-ისა და დ. კ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 4 მარტის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სასამართლო უწყების გაგზავნა-ჩაბარება**

#### **განჩინება**

№ას-318-302-11

11 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ა-შვილის სარჩელი ე. გ-ნიას მიმართ უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება ე. გ-ნიამ სააპელაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელზე წარმოების შეწყვეტა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 იანვრის განჩინებით განუხილველი დარჩა ე. გ-ნიას სააპელაციო საჩივარი. საქმეზე დადგენილია, რომ:

აპელანტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 22 დეკემბრის განჩინებით განუსაზღვრა 10-დღიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის 160 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედნის წარსადგენად. იმავე განჩინებით მხარეს განემარტა, რომ ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად, დაუშვებლობის გამო.

ხარვეზის დადგენის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის განჩინება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად ე. გ-ნიას გაეგზავნა და 2010 წლის 25 დეკემბერს აპელანტის ოჯახის წევრს, ბიძას ჩაბარდა.

პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორების 10-დღიანი ვადის დენა დაიწყო გადაწყვეტილების ჩაბარების მომდევნო დღიდან, ე.ი 2010 წლის 26 დეკემბრიდან და ამოიწურა 2011 წლის 4 იანვარს, რომელიც იყო სამუშაო დღე – სამშაბათი. შესაბამისად, აპელანტს ხარვეზი უნდა გამოესწორებინა 2011 წლის 4 იანვრის ჩათვლით.

სააპელაციო პალატის სამართლებრივი მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება აღადგინოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტ ე. გ-ნიას არც ხარვეზის ვადის ამოწურვამდე და არც აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ სასამართლოსათვის არ მოუძარტავს განცხადებით ხარვეზის გამოსწორებისათვის სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გაგრძელების ან გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევისა და აღდგენის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 374-ე მუხლის თანახმად, ე. გ-ნიას სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 იანვრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. გ-ნიამ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ ჩაბარდა 2010 წლის 25 დეკემბერს ბიძას, ზვიად ქუთათელაძეს. მართალია ის ნამდვილად მისი ბიძაა, მაგრამ არ ცხოვრობს მასთან. ამასთან, პირადად მისთვის 2010 წლის 22 დეკემბრის ხარვეზის განჩინების შესახებ ცნობილი გახდა 2011 წლის 28 იანვარს. ე. გ-ნია ითხოვს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და ხარვეზის შესავსებად გაშვებული ვადა ჩაეთვალოს საპატიოდ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო ე. გ-ნიას კერძო საჩივარს, საქმის მასალებს, და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 იანვრის განჩინებით ე. გ-ნიას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. საქმის მასალებით ირკვევა, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის განჩინება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესის შესაბამისად ე. გ-ნიას გაეგზავნა და 2010 წლის 25 დეკემბერს აპელანტის ოჯახის წევრს, ბიძას ჩაბარდა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70.1 მუხლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 74.1 მუხლის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე ქმედუნარიან წევრს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება და დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ასევე ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ამ

ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარება ჩაითვლება უწყების ადრესატისათვის ჩაბარებად, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. აღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, ხარვეზის შესახებ განჩინების აპელანტის ბიძისთვის ჩაბარება, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია განჩინების უშუალოდ აპელანტისათვის ჩაბარებად.

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარებისას ე. გ-ნიას ბიძას არ განუცხადებია უფლებამოსილი პირისათვის, რომ იგი არ ცხოვრობდა ...ის 11ა, ბინა 5-ში, ამასთან, კერძო საჩივრის ავტორს არც იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოუდგენია საკასაციო სასამართლოსთვის, რომლებითაც დადასტურდებოდა ე. გ-ნიას ბიძის სხვა საცხოვრებელი ადგილი. ამდენად, საკასაციო პალატა მიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია ადრესატის ბიძისთვის ხარვეზის განჩინების ჩაბარება ადრესატისათვის ჩაბარებად.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის აპელირებას იმ გარემოებაზე, რომ იგი აღარ ცხოვრობს ზემოთმითითებულ მისამართზე, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ე. გ-ნიამ როგორც სააპელაციო საჩივარში, ასევე კერძო საჩივარში ძირითად მისართად (ფაქტობრივ ადგილსამყოფელად) მიუთითა ...ის 11ა, ბინა 5. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71.1 მუხლის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. ამავე კოდექსის 73.1 მუხლის შესაბამისად, სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გაგზავნოს უწყება, და არ არის ვალდებული, დაიცვას თანმიმდევრობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. ამავე კოდექსის 374-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ე. გ-ნიამ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ე. გ-ნიას მხრიდან ხარვეზის დროულად შეუვსებლობა წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. გ-ნიას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 იანვრის განჩინება.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **საქმის წარმოების შეწყვეტა-შეჩერება**

#### **განჩინება**

№ას-76-66-2011

17 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** საზოგადოების დასაფუძვნებლად შეტანილი წილის ოდენობის განსაზღვრა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. გ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «... ბანკის» მიმართ და მოითხოვა საპაიო კომერციული შემნახველი ბანკის დასაფუძნელად შენატანის ოდენობის დადგენა, კერძოდ, მოსარჩელის მიერ საპაიო კომერციული შემნახველი ბანკის დასაფუძნებლად შეტანილი თანხის – 1 198 102 კუპონის 1751,6 აშშ დოლარად გადაანგარიშების აღიარება, ხოლო სასამართლოს მთავარ სხდომაზე დამატებით მოითხოვა მოპასუხისათვის 1994-2003 წლის პერიოდზე დივიდენდების გადახდის დაკისრება, რასაც მოპასუხე არ დაეთანხმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით ლ.გ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 დეკემბრის განჩინებით აპელანტ ლ. გ-მის შუამდგომლობა, სარჩელზე უარის თქმის გამო, საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება და ლ. გ-მის სარჩელზე საქმის წარმოება შეწყდა. სასამართლო დაეყრდნო პროცესზე აპელანტის განმარტებას სარჩელზე უარის თქმისა და მომავალში სხვა საფუძვლებით ახალი სარჩელის შეტანის თაობაზე და იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, მე-3 მუხლებით, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლის მეორე ნაწილით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ლ. გ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სასამართლოს 2010 წლის 30 დეკემბრის სხდომის ოქმში არასწორად მიეთითა, თითქოს აპელანტმა უარი განაცხადა სარჩელზე. რეალურად ლ.გ-მემ განმარტა, რომ შესაძლოა, მომავალში გამოეხმო სარჩელი. აღნიშნულის თაობაზე მხარემ მიმართა სასამართლოს სხდომის ოქმში ცვლილებების შერანის თაობაზეც.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიგო ლ.გ-მის განმარტება და საქმის წარმოება შეწყვიტა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 11 იანვრის განჩინებით ლ.გ-მის შენიშვნები სასამართლო სხდომის ოქმთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა კერძო საჩივრის საფუძვლები, შეისწავლა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ ლ. გ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგი საფუძვლებით:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლით, რომლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, რასაც, 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, მოჰყვება სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა მოთხოვნით საქმის წარმოების შეწყვეტა.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 დეკემბრის სხდომის ოქმიდან დასტურდება, რომ აპელანტმა ლ. გ-მემ უარი განაცხადა სარჩელზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მართებულად შეწყვიტა საქმის წარმოება.

დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ სასამართლომ არასწორად გაიგო ლ.გ-მის განმარტება, რომელმაც სინამდვილეში ვარაუდი გამოთქვა მომავალში სარჩელის შესაძლო გამოხმობის შესახებ და სარჩელზე უარი არ განუცხადებია. მსგავსი სახის განმარტება ზემოხსენებულ სასამართლო სხდომის ოქმში დაფიქსირებული არ არის და არც სააპელაციო პალატის 2011 წლის 11 იანვრის განჩინებით ლ.გ-მის განცხადება სხდომის ოქმში ცვლილების შეტანის თაობაზე სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო სარწმუნოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 დეკემბრის სხდომის ოქმის შინაარსს და თვლის, რომ ლ. გ-მემ სარჩელზე უარი თქმის შესახებ თავისი ნება გამოხატა გარკვევით და არაორაზროვნად, რაც სააპელაციო პალატის მიერაც ადეკვატურად იქნა აღქმული.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ლ. გ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საქმის წარმოების შეწყვეტა-შერეობა

### განჩინება

№ას-264-248-2011

4 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

#### აღწერილობითი ნაწილი:

მ. და ფ. თ-ძეებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ი. ძ-შვილის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით მ. და ფ. თ-ძეების სარჩელი დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ძ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ნოემბრის განჩინებით ი. ძ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. ძ-შვილმა.

ი. ძ-შვილმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე მ. თ-ძის მოთხოვნის ნაწილში.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა განცხადება და მივიდა დასკვნამდე, რომ განცხადება საკასაციო საჩივარზე მ. თ-ძის მოთხოვნის ნაწილში უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ ნაწილში საკასაციო წარმოება შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამავე მუხლის მეორე ნაწილში კი მითითებულია, რომ სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

ვინაიდან, ი. ძ-შვილმა უარი განაცხადა საკასაციო საჩივარზე მ. თ-ძის მოთხოვნის ნაწილში, განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ ნაწილში საკასაციო წარმოება შეწყდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომადე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მთლიანად გათავისუფლება ან სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განახევრება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით, მხოლოდ ამ ინსტანციებისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ფარგლებში.

**სარეზოლუციო ნაწილი:**  
პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე, 272-ე, 399-ე, 372-ე, 284-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ი. მ-შვილის განცხადება საკასაციო საჩივარზე მ. თ-ძის მოთხოვნის ნაწილში უარის თქმის შესახებ, დაკმაყოფილდეს;  
მოცემულ ნაწილში შეწყდეს საკასაციო წარმოება;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საქმის წარმოების შეწყვეტა-შეჩერება**

#### **განჩინება**

№ას-203-190-2011

31 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** უსაფუძვლოდ მიღებული თანხის დაბრუნება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს «ს. მ-მა» სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. მ-ის მიმართ უსაფუძვლოდ მიღებული თანხის – 23 600 აშშ დოლარის მოსარჩელისათვის დაბრუნების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს «ს. მ-ის» სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე დ. მ-ს მოსარჩელე შპს «ს. მ-ის» სასარგებლოდ დაეკისრა 23 600 აშშ დოლარის შესაბამისი ეროვნული ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ გასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის განჩინებით დ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 6 სექტემბრის გადაწყვეტილება და შეწყდა სამართალწარმოება შპს «ს. მ-ის» სარჩელზე დ. მ-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტა, რომ სარჩელის (დავის) იდენტურობის დადგენისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი ელემენტების იდენტურობას. დასახელებული ნორმით განსაზღვრულია დავის იგივეობის სამი ძირითადი ნიშანი: მოდავე მხარეების, დავის საგნისა და დავის საფუძვლის იგივეობა. ამასთან, მოთხოვნის საფუძვლის იგივეობის დადგენისას არსებითი მნიშვნელობა აქვს სარჩელის ფაქტობრივ და არა სამართლებრივ საფუძველს.

განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების მხარეებს წარმოადგენენ მოსარჩელე – შპს «ს. მ-ი» და მოპასუხე – დ. მ-ი, დავის საგანია თანხის – 23600 აშშ დოლარის, როგორც უსაფუძვლოდ გადახდილის უკან დაბრუნება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 თებერვლის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, სადაც მხარეებს წარმოადგენენ ასევე მოსარჩელე – შპს «ს. მ-ი» და მოპასუხე – დ. მ-ი, დავის საგანია ფულადი ვალდებულების – 23600 აშშ დოლარის შესრულების მოთხოვნა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 თებერვლის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში იდენტურია არა მარტო მხარეები და მოთხოვნა, არამედ სარჩელის საფუძველიც. ორივე შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისგან იმ თანხის დაბრუნებას, რომელიც კეთილმეგობრული დამოკიდებულების გამო გადასცა მას, უკან დაბრუნების პირობით.

სარჩელის საფუძვლის სხვადასხვაობის დასტურად პალატამ არ ჩათვალა შპს «ს. მ-ის» წარმომადგენლის მოსაზრება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით განხილული დავის საფუძველს წარმოადგენდა სესხის სახით გაცემული თანხის, ხოლო წინამდებარე დავის საფუძველს – უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თანხის დაბრუნება. ორივე დავაში მოთხოვნილ იქნა მხარეთა შორის ერთ ფაქტობრივ ურთიერთობაში, ერთი მიზნით გადაცემული ერთი თანხა. მისი დაბრუნების საფუძვლად სხვადასხვა სამართლებრივი ნორმის მითითება ვერ აქცევს დავას განსხვავებულად და იგი ვერ შეცვლის ორივე ზემოაღნიშნული დავის ფაქტობრივი საფუძვლის იდენტურობას.

სასამართლოს მითითებით, სარჩელის დასაშვებობაზე გავლენას ვერ მოახდენს მოსარჩელის მოსაზრება, რომ დავა უსაფუძვლო გამდიდრებით დაიწყო მას შემდეგ, რაც სასამართლომ დაადგინა თანხის გადაცემის ფაქტი და ისიც, რომ მხარეთა შორის სასესიო ურთიერთობა არ ყოფილა (2010 წლის 26 თებერვლი გადაწყვეტილება). მოსარჩელეს იმავე დავაში, თუნდაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში შეეძლო, სარჩელის საფუძვლად დაესახელებინა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები და იგი არ გამოიწვევდა სარჩელის ცვლილებას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით გათვალისწინებულ მოპასუხის თანხმობის აუცილებლობას, ვინაიდან, სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი, რაც დისპოზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით მოსარჩელის მითითებით განისაზღვრება (განსხვავებით მისი სამართლებრივი საფუძვლისა, რომელიც სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს და მისი შეცვლის უფლება სასამართლოს მხარის მითითების გარეშე გააჩნია, ამასთან, იგი ვალდებულია, სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცეს სადავო საკითხს), ასეთ შემთხვევაში ცვლილებას არ განიცდის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს «ს. მ-მა» შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლი, როდესაც მიიჩნია, რომ არსებობდა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. აღნიშნული ნორმის მიზანია პროცესის ეკონომიურობის პრინციპის დაცვა და იმის უზრუნველყოფა, რომ მხარეებმა ერთსა და იმავე დავის საგანზე და საფუძველით არ მიმართონ სასამართლოს. კანონის ეს დანაწესი უნდა განიმარტოს იმავე კოდექსის მე-2 მუხლთან მიმართებით, რომელიც აწესებს მხარეთა უფლებას, მიმართოს სასამართლოს. მოცემულ შემთხვევაში მხარემ არ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება და ახალი სარჩელი აღმრა სასამართლოში, რადგან დაეთანხმა სასამართლოს მოსაზრებას, რომ მხარეთა შორის სესხის ურთიერთობა არ წარმოშობილა, არამედ თავისი მოთხოვნა უნდა დაეფუძნებინა უსაფუძვლოდ გამდიდრების მარეგულირებელ ნორმებზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძველები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნია, რომ შპს «ს. მ-ის» კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

დასახელებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლო არ განიხილავს საქმეს და შეწყვეტს მის წარმოებას იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს კანონიერი ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით ერთხელ უკვე გადაწყდა დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგნითა და იმავე საფუძველით.

კანონის მითითებული დანაწესის სწორად განმარტება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საქმის წარმოების შეწყვეტით მხარეს ერთმევა უფლება, სასამართლო წესით დაიცვას თავისი ინტერესი. აღნიშნული კი (სასამართლოსათვის მიმართვის უფლება) უზრუნველყოფილია მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით და მის ერთ-ერთ ძირითად, ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს (სსსკ-ის მე-2 მუხლი).

ამრიგად, სასამართლო ვალდებულია, საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე სათანადოდ შეამოწმოს, იდენტურია თუ არა ზემოხსენებული ნორმით განსაზღვრული სამივე ელემენტი – მხარეები, დავის საგანი და მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველი. ამ უკანასკნელში კანონმდებელი გულისხმობს მოთხოვნის როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ საფუძველს.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილება განსახილველი დავის იდენტური მხარეებით – მოსარჩელე შპს «ს. მ-სა» და მოპასუხე დ. მ-ს შორის, იმავე დავის საგანზე – 23 600 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე, თუმცა ხსენებული გადაწყვეტილებით განხილული სარჩელის საფუძვლად მითითებულია მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების არსებობა და მოსარჩელე მოითხოვს სესხის დაბრუნებას. განსა-

ხილველი სარჩელით კი შპს «ს. მ-მა» იმავე ოდენობის – 23600 აშშ დოლარის დაბრუნების შესახებ მოთხოვნა დააფუძნა განსხვავებულ საფუძველს – უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელ ნორმებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა კანონი, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, განსახილველ შემთხვევაში არსებობს თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმის წარმოების შეწყვეტის სამივე წინაპირობა და შეაფასოს ორივე წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველების – სასესხო ვალდებულებისა და უსაფუძვლოდ გამდიდრების იდენტურობა, თუნდაც დასაბრუნებელი თანხის ოდენობა ორივე შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვეოდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

შპს «ს. მ-ის» კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 25 იანვრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **საქმის წარმოების შეწყვეტა-შეჩერება**

#### **განჩინება**

№ას-1186-1147-2010

31 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ვ. როინიშვილი,**

**მ. სულხანიშვილი**

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. ბ-იანის სარჩელი ქ. თბილისში, ... ქუჩა №24-ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების: 2007 წლის 6 იანვარს ნ. პ-ძესა და ც. მ-შვილს შორის, 2007 წლის 7 სექტემბერს ლ. ღ-ძესა და თ. და ე. ქ-შვილებს შორის, 2007 წლის 7 სექტემბერს ლ. ღ-ძესა და მ. ს-ურს შორის, 2008 წლის 15 იანვარს ლ. ღ-ძესა და ნ. ყ-შვილს შორის, 2008 წლის 29 იანვარს ნ. ყ-შვილსა და ზ. კ-იანს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობისა და თბილისში, ... ქ.№24-ში მდებარე უძრავი ქონების ქ. ბ-იანისათვის მიკუთვნების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბ-იანის წარმომადგენელმა დ. ა-ავამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 სექტემბრის საოქმო განჩინებით, ა. პ-იანი არ იქნა დაშვებული ქ. ბ-იანის უფლებამოსილებით. ამავე სასამართლოს 2010 წლის 15 სექტემბრის განჩინებით კი, ქ. ბ-იანის წარმომადგენელ დ. ა-ავას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ დ. ა-ავას სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროისათვის შეწყვეტილი ჰქონდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მარწმუნებლის გარდაცვალების გამო, ვინაიდან სააპელაციო საჩივარი სასამართლოში წარდგენილ იქნა 2009 წლის 21 სექტემბერს, ხოლო სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდგომ, 2009 წლის 25 ნოემბერს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე, წარმოდგენილ იქნა ქ. ბ-იანის გარდაცვალების მოწმობა, საიდანაც დადგინდა, რომ ქ. ბ-იანი 2009 წლის 18 ივლისს გარდაიცვალა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი, ა. პ-იანის მიერ დ. ა-ავას სახელზე გაცემული მინდობილობით, დ. ა-ავას ვერ მიენიჭებოდა ა. პ-იანის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ვინაიდან საქმის მასალებით არ დგინდებოდა ქ. ბ-იანისა და ა. პ-იანის ნათესა-



ური კავშირი და აღნიშნულის დადასტურების შემთხვევაშიც, არ იყო წარმოდგენილი უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი დოკუმენტი – სამკვიდრო მოწმობა, რომლის საფუძველზეც, ა. პ-იანი გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ შეიძლება დაშვებულიყო. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილება გააჩნდა ქ. ბ-იანის უფლებამონაცვლეს, ხოლო დ. ა-ავა არ იყო აღჭურვილი დაინტერესებული პირის (უფლებამონაცვლის) მიერ გაცემული მინდობილობით და, შესაბამისად, მისი, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ, აღძრული საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 სექტემბრის საოქმო განჩინება ქ. ბ-იანის უფლებამონაცვლედ ა. პ-იანის დაშვებაზე უარის თქმის შესახებ და ასევე 2010 წლის 15 სექტემბრის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. ა-ავამ, მოითხოვა დასახელებული განჩინებების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძველებით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის 15 სექტემბერს ჩანიშნულ სასამართლო სხდომაზე წარმოადგინა ა. პ-იანის მიერ მის სახელზე გაცემული მინდობილობა და ასევე სომხეთის რესპუბლიკის ერევნის შენგავითის მუნიციპალიტეტის სახლთმფლობელობა «ლ-ს» მიერ გაცემული ცნობა მასზე, რომ ქ. ბ-იანის ერთადერთი უფლებამონაცვლე მისი შვილი – ა. პ-იანი იყო, ამასთან, სასამართლოს სთხოვა გონივრული ვადა სამკვიდრო მოწმობის წარმოსადგენად, მით უფრო, რომ საქმის განხილვის შესაჩერებლად ვადა 2010 წლის 25 ნოემბრამდე ჰქონდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ვადის მიცემაზე უსაფუძვლოდ უთხრა უარი იმ საფუძველით, რომ ა. პ-იანი ქ. ბ-იანის უფლებამონაცვლეს არ წარმოადგენდა.

ვინაიდან ქ. ბ-იანის გარდაცვალებიდან სააპელაციო საჩივრის შეტანამდე გასული იყო მხოლოდ ორი თვე და სამი დღე, რაც კანონით არასაკმარისი დრო იყო უფლებამონაცვლეობის დასადგენად, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის წარდგენას უფლებამონაცვლე ვერ შესძლებდა კანონით დადგენილ ვადაში, მით უმეტეს, რომ აღნიშნული ვადის აღდგენა შეუძლებელია. აღნიშნულის გათვალისწინებით, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ანალოგიით და მოეცა გონივრული ვადა უფლებამონაცვლეობის დამატებითი საჭირო დოკუმენტაციის წარმოსადგენად, მაშინ, როცა სამკვიდრო მოწმობა გაიცემოდა სხვა სახელმწიფოში და ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცვლა-გამოცვლისათვის საკმაოდ ხანგრძლივი დრო იყო საჭირო.

სასამართლოს მსჯელობა მასზე, რომ ქ. ბ-იანის მისამართზე გაგზავნილი უწყებების მიუხედავად, უფლებამოსილი პირს (უფლებამონაცვლეს) არ მოუმართავს სასამართლოსათვის, რაც მიუთითებს საქმის განხილვაზე დაინტერესებული მხარის ინტერესის არარსებობაზე, კერძო საჩივრის ავტორის აზრით, არასწორია, ვინაიდან აღნიშნული დასტურდება კერძო საჩივარზე თანდართული ა. პ-იანის განცხადებით, რომლითაც მან 2010 წლის 3 მარტს მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს დედის – ქ. ბ-იანის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე. აღნიშნულის დასადასტურებლად კი, კერძო საჩივრის ავტორმა წარმოადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქალაქეთა მისაღებში განცხადების ჩაბარების დამადასტურებელი ქვითარი №2/1979.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დ. ა-ავამ მოითხოვა ქ. ბ-იანის უფლებამონაცვლედ ა. პ-იანის დაშვებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 სექტემბრის საოქმო განჩინებისა და სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ ამავე სასამართლოს 2010 წლის 15 სექტემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და მიიჩნევს, რომ ა. პ-იანის წარმომადგენელ დ. ა-ავას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას. დასახელებული ნორმა ადგენს სასამართლოს ვალდებულებას, შეაჩეროს საქმის წარმოება იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი გარდაიცვლება და, დავის არსიდან გამომდინარე, დასაშვებია საქმის წარმოების გაგრძელება მისი უფლებამონაცვლის მონაწილეობით.

ამავე კოდექსის 281-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის წარმოება შეჩერდება ამ კოდექსის 279-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა. მითითებული ნორმა ადგენს საქმის წარმოების შეჩერების ვადას, რაც მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება 2009 წლის 21 სექტემბერს სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბ-იანის წარმომადგენელმა დ. ა-ავამ.

დადგენილია, რომ ქ. ბ-იანი გარდაიცვალა 2009 წლის 18 ივლისს, ანუ სააპელაციო საჩივრის შეტანამდე.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის საოქმო განჩინებით სააპელაციო საჩივარზე შეჩერდა საქმის წარმოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, უფლებამონაცვლის დადგენამდე.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 სექტემბრის საოქმო განჩინებით ქ. ბ-იანის სააპელაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 281-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან ქ. ბ-იანის გარდაცვალებიდან გასული იყო ერთ წელზე მეტი და აღნიშნულ დრომდე მისი უფლებამონაცვლე სასამართლოსათვის ცნობილი არ ყოფილა. მხოლოდ, 2010 წლის 15 სექტემბერს დაინიშნულ სასამართლო სხდომაზე, ქ. ბ-იანის წარმომადგენელმა დ. ა-ავამ წარმოადგინა 2010 წლის 5 მარტს ა. პ-იანის მიერ მის სახელზე გაცემული მინდობილობა და სომხეთის რესპუბლიკის, ერევნის შენგავითის მუნიციპალიტეტის სახლთმფლობელობა «ლილითის» მიერ 2009 წლის 28 სექტემბერს გაცემული ცნობა იმასთან დაკავშირებით, რომ ქ. ბ-იანის ერთადერთ მემკვიდრეს წარმოადგენდა მისი ვაჟიშვილი ა. პ-იანი, რომლის კუთვნილ ბინაშიც იგი (ქ. ერევნის ... ქუჩა, სახლი 1, ბინა 12-ში) გარდაცვალებამდე ცხოვრობდა. ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტებით დ. ა-ავამ მოითხოვა ა. პ-იანის ცნობა ქ. ბ-იანის უფლებამონაცვლედ, რაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 15 სექტემბრის საოქმო განჩინებით არ დააკმაყოფილა. აღნიშნულს საკასაციო სასამართლო მართლმორიდრად მიიჩნევს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სასამართლო სხდომაზე დ. ა-ავამ აღნიშნა, რომ მას სხვა დოკუმენტი უფლებამონაცვლეობის დასადასტურებლად არ გააჩნდა, ხოლო რაიმე შუამდგომლობა იმასთან დაკავშირებით, რომ უფლებამონაცვლეობის დასადასტურებლად შესაბამის მტკიცებულებას – სამკვიდრო მოწმობას მოგვიანებით წარმოადგენდა, მას სასამართლო სხდომაზე არ დაუყენებია. ამდენად, კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობა მასზე, რომ 2010 წლის 15 სექტემბერს ჩანიშნულ სასამართლო სხდომაზე სასამართლოს სთხოვა გონივრული ვადა სამკვიდრო მოწმობის წარმოსადგენად, გაზიარებული ვერ იქნება, ვინაიდან აღნიშნული საქმის მასალებით არ დასტურდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ მითითებული ცნობა არ წარმოადგენდა უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელ დოკუმენტს – სამკვიდრო მოწმობას, რაც გახდებოდა საფუძველი ა. პ-იანის ქ. ბ-იანის უფლებამონაცვლედ ცნობისა.

ამასთან, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ ქ. ბ-იანის გარდაცვალებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ სასამართლოსათვის ცნობილ ქ. ბ-იანის მისამართზე ორჯერ გააგზავნა სასამართლო უწყებები, თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, უფლებამოსილ პირს (უფლებამონაცვლეს) სასამართლოსათვის არ მიუმართავს, რაც ცხადყოფდა საქმის განხილვაზე დაინტერესებული მხარის ინტერესის არარსებობას. აღნიშნულის უარსაყოფად, კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ა. პ-იანმა 2010 წლის 3 მარტს განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს დედის – ქ. ბ-იანის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე. აღნიშნულის დასადასტურებლად კი, კერძო საჩივრის ავტორმა წარმოადგინა ა. პ-იანის განცხადება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქალაქეთა მისაღებში მითითებული განცხადების ჩაბარების დამადასტურებელი ქვითარი №2/1979.

საკასაციო სასამართლო ზემოთ დასახელებულ მტკიცებულებებს ვერ მიიჩნევს ა. პ-იანის მიერ სააპელაციო სასამართლოში განცხადების შეტანის მტკიცებულებად, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქალაქეთა მისაღების (10.03.2010წ. №2/1979) სარეგისტრაციო ბარათში ა. პ-იანის მიერ კორესპონდენციის (განცხადება) სააპელაციო სასამართლოსათვის ჩაბარების დღედ მითითებულია 2010 წლის 10 მარტი, მაშინ, როდესაც კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ა. პ-იანმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს დედის – ქ. ბ-იანის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე განცხადებით მიმართა 2010 წლის 3 მარტს. ამასთან, აღნიშნული ბარათით არ ირკვევა, რომ 2010 წლის 10 მარტს სასამართლოს მოქალაქეთა მისაღებისათვის ჩაბარებული განცხადება წარმოადგენს სწორედ იმ გზავნილს (კორესპონდენციას), რომელზეც კერძო საჩივრის ავტორი საუბრობს. ამდენად, შეუძლებელია გაირკვეს, ა. პ-იანის მიერ გაგზავნილი რომელი კონკრეტული კორესპონდენციის სასამართლოსათვის ჩაბარებას ადასტურებს დასახელებული ბარათი.

მოცემულ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ ქ. ბ-იანის გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში, მხარემ ვერ უზრუნველყო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენა, ხოლო სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროისათვის ქ. ბ-იანი უკვე გარდაცვლილი იყო და სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი – დ. ა-ავა არ იყო აღჭურვილი დაინტერესებული პირის (უფლებამონაცვლის) მიერ გაცემული მინდობილობით, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2010 წლის 15 სექტემბრის განჩინებით დ. ა-ავას სააპელაციო საჩივარი, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ შეტანილი, სწორად დატოვა განუხილველად და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### დაადგინა:

ა. კ-იანის წარმომადგენელ დ. ა-ავას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15  
სექტემბრის საოქმო განჩინება და ამავე სასამართლოს 2010 წლის 15 სექტემბრის განჩინება  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.